წლიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკ-ის ორგანო

ტელეფონები: მთ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოს—10—56, მთ. კონტორის—3—51.

შაბათი, 5 მარტი 1932 წ. № 54 (3308)

საბჭოთა კავშირი და იაპონია

უკვე ხუთ თვეზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც იაპონიის ჯარმა დაიკავა მანჯურიის დედა-ქალაქი მუკდენი და შორეულ აღმოსავლეთში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობს. მას შემდეგ არ ყოფილა ისეთი დღე, რომელსაც არ მოეტანოს მდგომარეობის ახალი გამწვავება შორეულ აღმოსავლეთში; არ ყოფილა ისეთი დეპეშა, რომელსაც არ დაედასტურებინოს მომხდარი ამბების მეტის მეტად დიდი მნიშვნელობა. სრულიად ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი განსაკუთრებულის ყურადღებით ადევნებს თვალს ამ მოვლენებს, რომელთა ნაწილი იშლება საბჭოთა კავშირის საზღვრებთან. შორეულ აღმოსავლეთის კონფლიქტის პირველსავე დღეებიდან საბჭოთა კავშირმა დაიკავა მტკიცე ნეიტრალიტეტის პოზიცია ჩაურევლობის და მშვიდობიანობის შენარჩუნების, საბჭოთა პოლიტიკა ცნობილ იქნა საყოველთაოდ თითქმის საბჭოთა ქვეყნის მოწინააღმდეგეთა მხრითაც კი, ეს პოლიტიკა, რომელსაც ატარებს საბჭოთა კავშირი, ბოლოს, აღიარებულ იქნა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის იოსიზავას პირით, რომელმაც დაადასტურა იაპონიის პარლამენტში; რომ იაპონიის მთავრობა აღიარებს საბჭოთა კავშირის მიერ სრული ჩაურევლობის თაცის ფაქტს. ამავე დროს ჩვენ მოწამენი ვართ მანჯურიაში ანტისაბჭოთა ინტრიგების შემდგომი გამოცოცხლების. ჩვენ მოწამენი ვართ საპროვოკაციო ღონისძიებათა მთელი სისტემის, რომელთა მნიშვნელობის შეუფასებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ჩვენს შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებთან იქმნება არანორმალური მდგომარეობა; რომელიც მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას. აღნიშნული არა ჯანსაღი ატმოსფერის ილუსტრაციას წარმოადგენს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის დღეს გამოქვეყნებული განცხადება. ამ უკანასკნელმა თავისი განცხადებას საფუძვლად დაუდო იაპონიის გენერალური კონსულის (ვლადივოსტოკში) განცხადება, რომელიც თავის მხრით ალბად სხვა წყაროების უქონლობის გამო, მიუთითებს „უცხოელზე, რომელიც დიდი ნდობის ღირსია“. აღნიშნული ცნობის ხასიათი, რომელიც ემყარება აშკარა ჭორების შემთხზველის არკეთილსინდისიერ ცნობებს, პირდაპირ ღაღადებს მისი სპეციფიურობის შესახებ ამ მიზნებით. ჯერ ერთი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს იმ პროვოკაციული ჭორების უარყოფა, რომ უახლოეს დროში თითქოს უნდა მოხდეს იაპონია-საბჭოთა შეტაკება, ვინაიდან „უცხოელის“ აზრით, ბოლშევიკებს სძულთ იაპონელები, ისე როგორც არ არის საჭირო მოჭორილი ცნობების გამომჟღავნება ვლადივოსტოკის რაიონში ას-ათასიანი საბჭოთა არმიის კონცენტრაციის შესახებ. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს არა მარტო ეს გარემოება, ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებს ის ფაქტი, რომ იაპონელი პოლიტიკოსები შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობის შესაფასებლად იღებენ მასალას მოწამლული წყაროებიდან იმის ნაცვლად, რომ სათანადო ყურადღებით მოეპყრან ფაქტებს.

ეს ფაქტები ლაპარაკობენ, ერთის მხრით, საბჭოთა კავშირის თანამიმდევრობითი სამშვიდობო პოზიციების შესახებ, ხოლო მეორეს მხრით— ამბების ისეთ განვითარების შესახებ, რომელმაც უნდა ჩააფიქროს მშვიდობიანობის ყველა ნამდვილი მომხრე, აღნიშნული ფაქტების გულდასმით ანალიზი გვიჩვენებს, რომ შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა ავალებს საბჭოთა კავშირს განამტკიცოს თავისი თავდაცვის უნარიანობა მისი საზღვრების ხელშეუხლებლობის დასაცავად, კერძოდ საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებთან სამხედრო გარნიზონების სათანადოდ გაძლიერების გზით. ამას, რასაკვირველია, ჩვენ არ ვმალავთ. საბჭოთა მთავრობას, რომელიც აწარმოებს აშკარა თანამიმდევრობითი სამშვიდობო პოლიტიკას, არა აქვს საფუძველი დაუმალოს მასებს თუ როგორ აფასებს იგი შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას, ხოლო ეს შეფასება და მდგომარეობის კეთილ სინდისიერი ანალიზი გვიჩვენებს, რომ სულ ცოტა, რაც ვალდებულია საბჭოთა კავშირმა გააკეთოს ამჟამად,—ეს არის ყველა საჭირო და შესაძლებელი ზომების მიღება თავისი საზღვრების ხელშეუხლებლობის დაცვისათვის გარედან თავდასხმისაგან. მართლაც, განა ფაქტები არ ლაპარაკობენ ამაზე, განა უკანასკნელი თვეების, კვირეების და დღეების განმავლობაში ჩვენ არ ვხედავთ სულ ახალ-ახალი ანტისაბჭოთა პროვოკაციების სერიოზულ ზრდას? არ შეიძლება გვერდი აუაროთ იმ ფაქტს რომ იაპონიის სამხედრო წრეების უაღრესად პასუხისმგებელი წარმომადგენელნი, და არა მარტო სამხედრო წრეების, აშკარად სვამენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის და მისი პრიმორიესა და ზაბაიკალიიდან მოწყვეტის საკითხს.

ჩვენ ხელთა გვაქვს დოკუმენტები, რომლებიც გამომდინარეობენ იაპონიის უმაღლეს სამხედრო წრეების წარმომადგენლებისაგან და რომლებიც შეიცავენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის და მისი ტერიტორიის ხელში ჩაგდების გეგმებს. ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია: „იმ საკითხზე— უნდა დაიწყოს თუ არა იაპონიამ ომი საბჭოთა კავშირთან—მე საჭიროდ მიმაჩნია ვსთქვა, რომ იაპონია საბჭოთა კავშირის მიმართ დაადგა მტკიცე პოლიტიკის გზას და იგი მზად არის დაიწყოს ომი ყოველ მომენტში. აღნიშნული ომის მთავარი მიზანი უნდა მდგომარეობდეს არა იმდენად იაპონიის კომუნიზმისაგან დაცვაში, რამდენადაც საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ ციმბირის დაუფლებაში“.

მეორე საბუთში ნათქვამია: „იაპონია-საბჭოთა ომი, თუ მხედველობაში მივიღებთ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა მდგომარეობას და უცხოეთის სახელმწიფოებში შექმნილ მდგომარეობას, ჩატარებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მალე. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ რამდენადაც დრო გადის, მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ხელსაყრელი ხდება მათთვის. მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ იმპერატორის მთავრობამ უნდა აწარმოოს პოლიტიკა იმ ანგარიშით; რომ რაც შეიძლება ჩქარა დაიწყოს ომი საბჭოთა კავშირთან“. იმავე საბუთში ნათქვამია:

„სავსებით შესაძლებელია, რომ შემუსვრის სტრატეგიის და ომის სასწრაფოდ დამთავრების მისწრაფების მიუხედავად, სხვადასხვა პირობების გამო, ჩვენ ვერ შევსძლოთ ომის ჩატარება მოქმედების დასახულ გეგმასთან სრულიად შეფარდებით. იბადება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი სამხედრო ოპერაციების საბოლოო მომენტის შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ უნდა განვახორციელოთ წინსვლა ბაიკალის ტბამდე, რაც შეეხება შემდგომ შეტევას დასავლეთისაკენ ეს გადაჭრილი უნდა იქნას იმ საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნება იმ დროისათვის, და განსაკუთრებით იმ სახელმწიფოთა მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომლებიც გამოვლენ დასავლეთიდან იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გავჩერდებით ზაბაიკალის რკინის გზასთან, იაპონიამ უნდა შეუერთოს ოკუპაციაქმნილი შორეულ აღმოსავლეთის მხარე მთლიანად იმპერიის სამფლობელოს.

ამ ტერიტორიაზე ჩვენი ჯარი უნდა დაბანაკდეს სამხედრო დასახლების წესით ე. ი. დიდი ხნით. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ განვახორციელოთ ეს ოკუპაცია და გვქონდეს შესაძლებლობა დავუცადოთ ამბების შემდგომ განვითარებას. იმის გამო, რომ იაპონიისათვის ძნელი იქნება ჩასცეს საბჭოთა კავშირს სასიკვდილო ლახვარი საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში ომის გზით, ჩვენი ომის ერთ - ერთი უმთავრესი მომენტი უნდა იყოს სტრატეგიული პროპაგანდა, რომლის საშუალებითაც ჩვენ უნდა ჩავაბათ დასავლეთის მეზობლები და სხვა სახელმწიფოები საბჭოთა კავშირთან ომში და გამოვიწვიოთ რღვევა, საბჭოთა კავშირის შიგნით და გარეთ თეთრი ჯგუფების გამოყენების გზით, აგრეთვე „ინოროდცების“ და ყველა ანტი-საბჭოთა ელემენტების გამოყენების გზით. საბჭოთა კავშირის ეხლანდელი მდგომარეობა უაღრესად ხელსაყრელია აღნიშნული კომბინაციების ჩასატარებლად“.

ბოლოს, კიდევ ერთი ამონაწერი იმავე საბუთიდან: „თუ დავუკვირდებით ქვეყნის საერთო მდგომარეობას, ჩვენ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირს არ შეუძლია ომის წარმოება. ეხლანდელი მომენტი განსაკუთრებით ხელსაყრელია იმისათვის, რომ ჩვენი იმპერია შეუდგეს შორეულ აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრას. დასავლეთის სახელმწიფოებს საბჭოთა კავშირის საზღვრებზე (პოლონეთი, და რუმინეთი) აქვთ შესაძლებლობა გამოვიდნენ ეხლა ჩვენთან შეთანხმებულად, მაგრამ ეს შესაძლებლობა აგრეთვე თანდათანობით შესუსტდება დროთა ვითარების გამო.

აღნიშნული დოკუმენტების შინაარსი შესაძლებელი იყო განგვეხილა როგორც მათი ავტორების პირადი აზრის გამოხატულება, მაგრამ აგრესიული გეგმების ეს ავტორები, წარმოადგენენ უაღრესად პასუხისმგებელ ადამიანებს იმისათვის, რომ მათ პირად აზრსაც არ ქონდეს სერიოზული პოლიტიკური წონა და არ გვაიძულებდეს განსაკუთრებული სიფხიზლით და ყურადღებით მოვეპყრათ ყველა იმას, რაც ხდება ჩვენი შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებთან. არც ერთ მიუდგომელ პოლიტიკოსს არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ფაქტის სიმპტომატიურ მნიშვნელობას, რომ ორი თვის განმავლობაში იაპონიის მთავრობამ ვერ დაინახა საჭიროდ მიეცა პასუხი საბჭოთა წინადადებაზე თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. მეტის მეტად დამახასიათებელია აგრეთვე ანტი - საბჭოთა გამოსვლები იაპონიაში, მეთევზეობის საკითხებთან დაკავშირებით.

ცხადია აგრეთვე ისიც, რომ იაპონიის პოლიტიკის სულის ჩამდგმელებს მანჯურიაში არ შეუძლიათ მოიხსნან პასუხისმგებლობა მათზე შესულ თეთრ გვარდიელთა ანტისაბჭოთა მუშაობისათვის. შეიძლებოდა უამრავი მითითებების მოყვანა იმ ფაქტზე, რომ თეთრგვარდიელების აგრესიული მუშაობა მანჯურიაში უშუალოდ დაკავშირებულია იაპონიის ოკუპაციასთან. არ არის საჭირო ლაპარაკი იმაზე, რომ ამის შესახებ სრულიად აშკარად სწერენ თვით თეთრი ემიგრანტები. იაპონიის როლის, როგორც თეთრგვარდიელების ანტი - საბჭოთა მუშაობის მფარველის შესახებ კითხულობენ მოხსენებებს პარიზის ყველა ემიგრანტულ ორგანიზაციებში.

იაპონიის გეგმების კავშირის თეთრგვარდიელების ანტი-საბჭოთა გამოსვლებთან არა ერთხელ აღნიშნავდა უცხოელი მეთვალყურეებიც. შეიძლება, ბოლოს, მოვიყვანოთ დაირენის იაპონური ოფიციოზური გაზეთის აზრიც, რომელიც აღნიშნავდა, რომ „თეთრგვარდიელთა მოძრაობა, მანჯურიის ახალი მთავრობის შექმნის მომენტიდან მეტის მეტად გამოცოცხლდა“.

ასეთია ფაქტები, რომელთა ფხიზელი შეფასება ლაპარაკობს, რომ იაპონიის მიერ დაპყრობილ მანჯურიაში ძლიერდება აგრესიული ტენდენციები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ასეთია ფაქტები, რომლებიც მოითხოვენ სიფხიზლეს და საჭირო ზომებს საბჭოთა კავშირის დაცვისათვის გარედან შემოჭრის ცდებისაგან. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა არ არის ფაქტების უგულებელყოფის პოლიტიკა. ჩვენ არა ერთხელ ვამტკიცებდით, რომ საბჭოთა კავშირი არ წამოეგება პროვოკაციის ანკესზე, მაგრამ ამასთან ერთად საბჭოთა კავშირს შესწევს უნარი თავის დროზე გამოამჟღავნოს და ამსხვრიოს პროვოკაციის მზადება მის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა აწარმოებდა, აწარმოებს და განაგრძობს მშვიდობიანობის მტკიცე პოლიტიკის წარმოებას, ჩინეთის ტერიტორიაზე მომხდარ ამბებში ჩაურევლობის პოლიტიკას. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, იმას, რომ საბჭოთა კავშირი ნებას მისცემს ვინც არ უნდა იყოს დაარღვიოს საბჭოთა კავშირის საზღვრების ხელშეუხლებლობა მის ტერიტორიაზე შემოჭრით და დაიკავოს საბჭოთა მიწის თუნდაც მეტად უმნიშვნელო ნაწილი. „არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ ჩვენი მიწის არც ერთ გოჯსაც არ მივსცემთ არავის“.

„იზვესტია“. 4 მარტი.

ჩინეთის ჯარის უკან დახევის სტრატეგიული მიზეზები

ჩინეთის ჯარის უკან დახევა თავდაცვის მეორე ხაზზე

შანხაი, 3 მარტი. ჩინეთის არმიის მაღალი თანამდებობის ოფიცერმა ვრცლად აღნიშნა ის სტრატეგიული მიზეზები, რომლებმაც აიძულეს ჩინეთის ჯარი დაეხია თავდაცვის მეორე ხაზზე. მისი განცხადებით, მეორე ხაზზე ბრძოლა ართმევს იაპონელებს იმ უპირატესობას, რომელიც მათ ჰქონდა ფრონტის პირველ ხაზზე, სადაც ისინი მოქმედებენ თავიანთი ფლოტის დახმარებით.

„იაპონიის არმია“,—აცხადებს შემდეგ ოფიცერი,—იძულებული იქნება შემდეგში აწარმოოს სამხედრო მოქმედება ფლოტის დაუხმარებლად. იაპონიის ქვეითა ჯარს არ ექნება გზები ტანკების და მძიმე არტილერიის მოსატანად თავიანთი ბაზებიდან. ჩინეთის მთავრობა არასოდეს არ დასდებს ისეთ შეთანხმებას, რომელიც შეელახავს ჩინეთის სუვერენულ უფლებებს. თუ იაპონიის არმია შეეცდება მიიტანოს იერიში ფრონტის მეორე ხაზზედაც, ჩინეთის არმია ბრძოლით უპასუხებს. ბრძოლა მხოლოდ ეხლა იწყება (ადს).

გენერალი ვან-კანი განთავისუფლებულია

შანხაი, 3 მარტი. გენერალი ვან-კანი, რომელიც დაატყვევეს იაპონელებმა ინგლისელების სასტუმრო „ასტორ ჰაუსში“, განთავისუფლებულია (ადს).

დროებითი ზავის პირობები, რომელსაც აყენებს იაპონია

ბერლინი, 4 მარტი. ვოლფის სააგენტოს გადმოცემით, იაპონიის სარდლობის მიერ შემუშავებული დროებითი ზავის ახალი პირობები საგრძნობლად განსხვავდება იმ პირობებისაგან, რომლებიც წამოყენებული იყო 28 თებერვალს ბრიტანეთის კრეისერზე მომხდარ მოლაპარაკების დროს. იაპონიის ახალი პირობები ითვალისწინებენ ჩინეთის ჯარის უკან დახევას შანხაიდან 20 კილომეტრის მანძილზე, რის შემდეგ იაპონია თანახმაა შეაჩეროს მტრული მოქმედება განსაზღვრული დროით, რომლის განმავლობაში ორივე მხარის სამხედრო სარდლობის მიერ შემუშავებული იქნება პირობები სამხედრო მოქმედების საბოლოოდ შეწყვეტის შესახებ. იაპონია მოითხოვს, რომ დროებითი ზავის დროს მოწვეულ იქნას „მრგვალი მაგიდის“ კონფერენცია, რომელშიდაც იაპონიისა და ჩინეთის გარდა მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლები. აღნიშნულმა კონფერენციამ უნდა გადასჭრას შანხაიდან ორივე მხარის ჯარის გაყვანის მეთოდების საკითხი, რის შემდეგ იქ აღდგენილი უნდა იქნას წინანდელი წესრიგი. იაპონელები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ჯერ უკან დაიხიოს ჩინეთის ჯარმა, რის შემდეგაც იაპონელები დაბრუნდებიან შანხაის და უსუნის რაიონებში, როდესაც შეიქმნება ნორმალური მდგომარეობა. იაპონია სიტყვას იძლევა გაიყვანოს თავისი ჯარი ამ რაიონებიდან. იაპონია აცხადებს, რომ თუ ერთ-ერთმა მხარემ დაარღვია ეს პირობები, მეორე მხარეს ეძლევა მოქმედების სრული თავისუფლება (ადს).

ამერიკა ფინანსიურ ზეგავლენას ახდენს იაპონიაზე

პარიზი, 4 მარტი. „აჟანს ეკონომიკ ე ფინანსიერ“ აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის რესპუბლიკა ფინანსიურ ზეგავლენას ახდენს იაპონიაზე. იაპონიის ბანკები ნიუ-იორკში ვერ ახერხებენ ვერც ახალი კრედიტების მიღებას და ვერც ძველი კრედიტების განახლებას, რაც აფერხებს ფინანსების მოწოდებას იაპონიის მიერ ბამბისა და სხვა ნედლეულის შესაძენად (ადს).

საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტი

პარიზი, 3 მარტი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტის განხილვის დროს კომუნისტური ფრაქციის სახელით გამოვიდა ამხ. ანდრე მარტი.

ამხ. მარტის მოჰყავს შემდეგი ცნობები საფრანგეთის საზღვაო შეიარაღების შესახებ:

სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტი 1922 წელს უდრიდა 959 მილიონ ფრანკს, მიმდინარე საბიუჯეტო წლისათვის კი განზრახულია 3.224 მილიონ ფრანკამდე გადიდება.

შემდეგ ამხ. მარტი აღნიშნავს, რომ შენიშნულია თანდათანობით ბიუჯეტის იმ ნაწილის ზრდა, რომელიც ხმარდება ახალი გემების აგებას. 1922 წლიდან აგებულია, თუ არ ჩავთვლით ტრალერებსა და ნავთის წამღებ გემებს, 73 ახალი სამხედრო გემი. გარდა ამისა, გამოსაცდელად არის 15 გემი, საცაა დამთავრდება 25 გემის შენება, ჩამოშვებულ ვერფებში არის 11 გემი. სულ მშენებლობაში ამჟამად არის 41 გემი. დასასრულ, სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ერთი დიდი გემის ასაგებად 27.500 ტონა წყალწყვით და რამდენიმე სხვა გემის. სულ ამხ. მარტი ასახელებს 15 ახალ სამხედრო გემს.

„ახალი ფლოტის აგების დროს,—აცხადებს ამხ. მარტი—ატარებდნენ ტენდენციას შექმნან სწრაფმავალი ფლოტი. სწრაფი სვლის გარდა, ყურადღება ექცეოდა ამ ფლოტის, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს პირველ ყოვლისა რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობა კოლონიებში, შორ მანძილზე მოქმედების უზრუნველყოფას“ (ადს).

კომდეპუტატის ამხ. დიუკლოს გამოსვლა დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 3 მარტი. სამხედრო ბიუჯეტის შესახებ დეპუტატთა პალატაში გამართულ კამათში გამოვიდა კომდეპუტატი ამხ. დიუკლო.

„კომფრაქცია,—ამბობს ამხ. დიუკლო,—ბრალს სდებს საფრანგეთის იმპერიალიზმს იმაზე, რომ იგი მხარს უჭერს იაპონიის ყაჩაღურ პოლიტიკას ჩინეთში, იმ პოლიტიკას, რომელიც მიზნათ ისახავს ჩინეთის დაყოფას, ჩინეთის საბჭოების განადგურებას და რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

ამხ. დიუკლო მიუთითებს იაპონიის იმპერიალიზმის ფართო საკოლონიზაციო გეგმებზე მანჯურიასა და მონღოლეთში და აცხადებს:

„მთელი თქვენი პოლიტიკა იმაში გამოიხატება, რომ თქვენ გსურთ აიძულოთ სხვები იფიქრონ, თითქოს ქვეყანა, რომელსაც ომი სურს, ეს არის საბჭოთა კავშირი, მაგრამ საბჭოთა კავშირი არ წამოეგება პროვოკაციის ანკესზე, რადგან იგი აწარმოებს მშვიდობიანობის თანამიმდევრობით პოლიტიკას. საბჭოთა კავშირმა იცის იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მას მოელის. მან იცის აგრეთვე, რომ საფრანგეთი სამხედრო მასალას გზავნის პოლონეთსა და საბჭოთა კავშირის სხვა მეზობელ ქვეყნებში“.

ამხ. დიუკლოს შემდეგ მოჰყავს ცნობა, რომ რენოს ქარხანა ამზადებს 50 ტანკს იაპონიისათვის და 30 პოლონეთისათვის.

„ყაზარმებში,—ამბობს შემდეგ ამხ. დიუკლო,—ეწევიან ანტისაბჭოთა პროპაგანდას და საბჭოთა კავშირს სახავენ ისეთ ქვეყნად, რომელთანაც ხვალ მოგვიხდება ომის წარმოება. ნუ დაუჯერებთ იმათ, რომლებიც გაიძახიან, რომ ბრძოლა ომის წინააღმდეგ გადადებულ უნდა იქნას მის დაწყებამდე. ასეთ „ბრძოლას“ მივყევართ, როგორც ეს 1914 წელს მოხდა, გამყიდველობისაკენ და კაპიტულიაციისაკენ. ამჟამად ყოველგვარი საშუალებით უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელსაც სურს ხვალვე ჩაგვაბას ომში იმ იმედით, რომ პროლეტარიატი პასივობას გამოიჩენს. მუშათა კლასმა უნდა იბრძოლოს მთლიანი ფრონტით ყველა ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ, მათ შორის სოციალისტების, როგორც ბურჟუაზიის მთავარი დასაყრდენობის წინააღმდეგაც“ (ადს).

ინგლისელი პოლკ. ლოურენსი ბაღდადში იმყოფება

თეირანი, 3 მარტი. ცნობილი ინგლისელი პოლკოვნიკი ლოურენსი ამჟამად იმყოფება ბაღდადში და მუშაობს გრეხემის გვარით ირაქის საჰაერო ბაზაზე (ადს).

საბჭოთა აფხაზეთის 11 წელი

საქართველოს ცაკის მისალმება აფხაზეთის მშრომელებს

აფხაზეთის მუშებს, კოლმეურნეებს და მშრომელთა ფართო მასებს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 11 წლის თავზე საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი უძღვნის მხურვალე სალამს.

განვლილი თერთმეტი წლის განმავლობაში აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას აქვს უდიდესი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

თუ ამ 11 წლის წინათ აფხაზეთი მენშევიკური „დამოუკიდებელ საქართველოს“ დროს წარმოადგენდა პრიმიტიული სოფლის მეურნეობის ქვეყანას — დღეს იგი მთელი საბჭოთა კავშირის და ამიერ-კავკასიის [illegible] რესპუბლიკის მუშათა კლასის დახმარებით, ხდება სოციალისტური მეურნეობის ქვეყნად. [illegible] წინად გაჩანაგებული სახალხო მეურნეობა, შრომისა და [illegible] სახალხო მეურნეობის მთელი რიგი ახალი დარგები, [illegible] და გაძლიერება სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორის, გაფართოება და გამაგრება კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ქსელის და საბჭოთა აფხაზეთი დღეს უკვე ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად ხდება.

მძლავრი შავი ზღვის [illegible] ბაზის შექმნით, ტყვარჩელის ქვანახშირის [illegible], არსებული [illegible], თამბაქოს და სხვა ტექნიკური კულტურების ფართო განვითარებით, აფხაზეთი [illegible].

თუ წინათ აფხაზეთის მშრომელებს არ ჰქონდათ საშუალება ესწავლათ სამშობლო ენაზე, დღეს მათი კულტურული განვითარებისათვის უკვე ფართო ასპარეზია შექმნილი.

ყველა ამ წარმატებათა მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის და პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად გატარების საფუძველზე.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს მთელი მშრომელი მოსახლეობის სახელით მხურვალედ ესალმება აფხაზეთის მშრომელებს და დარწმუნებულია, რომ საბჭოთა აფხაზეთის მშრომელები ხუთწლედის მეოთხე გადამწყვეტ წელში [illegible] ხუთწლიან გეგმას და [illegible] იბრძოლებენ იმისათვის, რომ გაშალონ სოციალისტური მეურნეობის საწარმოო ძალები, რომლის საფუძველზე მეორე ხუთწლედში ჩვენ ავაშენებთ უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას.

გაუმარჯოს, საბჭოთა აფხაზეთის არსებობის თერთმეტი წლის თავს.

საქ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — ფ. მახარაძე.

ამხ. ლიტვინოვი გაემგზავრა ჟენევაში

მოსკოვი, 3 მარტი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი 3 მარტს, 22 საათსა და 30 წუთზე გაემგზავრა ჟენევაში.

საფინანსო და საკრედიტო კრიზისის გამწვავება გერმანიაში

მოსკოვი, 4 მარტი. „პრავდა“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება საფინანსო და საკრედიტო კრიზისის გამწვავების შესახებ გერმანიაში: „ქაღალდის მარკის დასაფარავი ოქროს ვალუტა უდრის დაახლოებით ერთ მილიარდ მარკას—25 პროცენტს. მაგრამ ერთ მილიარდ მარკიდან 100 მილიონი დოლარი შეადგენს იმ კრედიტს, რომელიც გერმანიის რეიხსბანკს მისცეს საერთაშორისო სარეპარაციო ბანკმა და საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის ბანკებმა (თვითეულმა მათგანმა 25 მილიონი დოლარი). 4 მარტს თავდება ამ კრედიტის გადახდის ერთი თვით გადადებული ვადა და საჭირო ხდება გადახდის ვადის გაგრძელება. თუ ვადის გადადების თხოვნა არ იქნა შეწყნარებული თუნდ ერთი კრედიტორის მიერაც, ეს იქნებოდა საფინანსო კატასტროფის მომასწავებელი, რადგან ვადის გაგრძელებაზე უარის განცხადებით ავტომატურად ირღვევა აგრეთვე ამას წინად დადებული შეთანხმება გერმანიის მოკლევადიანი ვალის გადახდის ვადის გადიდების შესახებ 6 მილიარდი მარკის რაოდენობით.

საფრანგეთში დაწესებულ იქნა კონტინგენტი გერმანიის ექსპორტის ათი სხვადასხვაგვარი ჯგუფისათვის, კერძოდ ნახშირის, კოქსის, ხის, ღვინისა და სხვათათვის. თუ 1931 წელს გერმანიის მასების გაუგონარი ექსპლოატაციის საშუალებით მოხერხებულ იქნა აქტიური წლიური ბალანსის მიღება ორი მილიარდისა და 900 მილიონი მარკის რაოდენობით, 1932 წლისათვის, როგორც გვიჩვენებს ამ წლის პირველი ორი თვის გამოცდილებამ, მდგომარეობა გაცილებით უფრო ცუდი იქნება.

ბრიუნინგის მთავრობამ, გაზეთ „ბერზენ-ცეიტუნგ“-ის გამოანგარიშებით, ბანკებსა და ტრესტებს მისცა არა ნაკლებ ორი მილიარდი მარკისა „გაჯანსაღებისათვის“ დაგეგმილი თანხების გარდა, მთავრობამ „მანსფელდ“-ის კონცერნს მისცა 15 მილიონ მარკაზე მეტი, ქვემო სილეზიის სამთო საწარმოებს—11 მილიონი მარკა, მანესმანს—9 მილიონი მარკა, ბორზიხს—2,5 მილ. მარკა და სხვ. მშრომელთა ჯიბიდან ძალით მილიონების ამოცარცვას ბანკირებისა და მრეწველების სასარგებლოდ „ფორვერტს“-ი სიხარულით ასაღებს, როგორც „სახელმწიფოებრივების“ ზომას.

საქართველოს სახკომსაბჭოს მისალმება

სოხუმი. აფხაზეთის ცაკს

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 11 წლის შესრულების დღეს, მხურვალე პროლეტარულ სალამს უგზავნის აფხაზეთის მშრომელ მასებს. საბჭოთა აფხაზეთი [illegible] ბრძოლისა და [illegible] ქარცეცხლში [illegible] წინააღმდეგ, ძალადობის პოლიტიკის „[illegible]“-ს წინააღმდეგ. [illegible] აფხაზეთი წარმოადგენდა [illegible] კოლონიას, [illegible] აფხაზეთი გახდა საერთაშორისო იმპერიალიზმის [illegible]. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, აფხაზეთი განთავისუფლდა ნაციონალური ჩაგვრისაგან, დაადგა სოციალისტური განვითარების გზას და მიაღწია უდიდეს წარმატებებს [illegible] სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და ნაციონალური კულტურის განვითარების დარგში.

გაუმარჯოს საბჭოთა აფხაზეთს!

გაუმარჯოს ოქტომბრის პირმშოს, ნაციონალური მშვიდობიანობის და სოციალისტური მშენებლობის მძლავრ იარაღს ა.-კ. ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს— სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას!

გაუმარჯოს მუშათა კლასის რკინის ორგანიზაციას — ლენინის პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მუშათა კლასს სოციალიზმის გამარჯვებისათვის მთელს მსოფლიოში!

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

გერმანიის უმუშევრების მასიური გამოსვლა

ბერლინი, 3 მარტი. მთელს გერმანიაში უმუშევრები კომპარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებენ ბრძოლას შემდეგი ლოზუნგით: „საბჭოთა გერმანიისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის და საბჭოთა ჩინეთის დასაცავად.

პრუსიის ოლქის 26 პუნქტში გაიმართა უმუშევართა დემონსტრაციები დახმარების შემცირების წინააღმდეგ, ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ფაშიზმის და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ, საპრეზიდენტო არჩევნებზე მუშა კანდიდატის ამხ. ტელმანისათვის.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100.000-მდე უმუშევარმა. ჰამბურგის უდიდეს მოედანზე, სადაც შეიკრიბნენ უმუშევრები ქალაქის ყველა რაიონებიდან, გაიმართა გრანდიოზული კრება. რამდენიმე ათასი უმუშევარი ვერ შეიჭრა კრებაზე. კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა შორეულ-აღმოსავლეთის არმიის სარდალს ამხ. ბლიუხერს. ათასზე მეტი უმუშევარი ჩაეწერა აქტიურად გერმანიის კომპარტიისათვის დასახმარებლად საპრეზიდენტო არჩევნებში.

კრების დამთავრების შემდეგ გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. დემონსტრანტები ქუჩებში გავლის დროს მოუწოდებდნენ — მისცენ ხმა ამხ. ტელმანს და მზად იყვნენ ბრძოლისათვის სოციალური და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. დემონსტრაცია გაემართა ფაშისტების კლუბისაკენ, რომელშიდაც გამოდიოდა ჰიტლერი. თოფის ტყვიებით დაიჭრა რამდენიმე მუშა. უმუშევრები განაგრძობდნენ დემონსტრაციულ მსვლელობას ქალაქის ყველა რაიონებში.

გუშინ საღამოს ბერლინში ადგილი ჰქონდა უმუშევართა ძლიერ გამოსვლებს. მუშათა რაიონის ნეიკელნის შრომის ბირჟაზე მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება უმუშევრებსა და პოლიციას შორის. მშიერი უმუშევრები საათობით უცდიდნენ რიგში ძლიერ ყინვაში. უკანასკნელი დღეების განმავლობაში 16.000 უმუშევარი მთელი დღე ელოდა კუთვნილ დახმარებას რამდენიმე პფენიგის რაოდენობით. ლოდინით მოქანცულმა მუშებმა განაცხადეს პროტესტი. შეიქმნა ძლიერი ხელჩართული ბრძოლა. 40 კაცს ეჭირა ფეხზე. წაიყვანეს, შრომის ბირჟის ხელმძღვანელობამ გამოიძახა პოლიცია, რომელმაც რეზინის ჯოხებით გარეკა დემონსტრანტები.

უმუშევართა რიცხვი, რომელიც მეტად მცირე დახმარების მიღებას მოკლებულნი არიან თანდათან მატულობს. ბერლინის რაიონში მდებარე ყველა ტყეები და მინდვრები გარშემორტყმულია პოლიციით. მუშათა უდიდესი გაჭირვების შესახებ ლაპარაკობენ თვითმკვლელობის მასიური ფაქტები. (ადს)

ბრძოლა მესამე ბოლშევიკური გაზაფხულისათვის

სათესლე მასალის შეგროვებასა და მანქანა-იარაღების შეკეთებაში თვითდინება აღმოფხვრილი კიდევ არ არის

1 მარტისათვის ტრაქტორების შეკეთების გეგმა შესრულებული იყო 71,5 პროცენტით, ხოლო საკოლმეურნეო (ხორბლეულის) სათესლე ფონდის შეგროვების გეგმა კი—56,5 პროცენტით

სათესლე მასალების შეგროვებაში გარდატეხა უნდა მოხდეს

საგაზაფხულო თესვის მოსამზადებელი მუშაობის ვადა უკვე მიწურულს უახლოვდება მარტის დასაწყისში საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ჩვეულებრივად იწყებოდა მასიურად ხვნა, მაშასადამე ამ დროისათვის მოსამზადებელი მუშაობაც დამთავრებული უნდა ყოფილიყო. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მოსამზადებელ მუშაობის ძირითად ამოცანებს ამჟამად შეადგენს სათესლე მასალის შეგროვება და მანქანა-იარაღების შეკეთება. უნდა ვთქვათ, რომ ეს ამოცანები გადაჭრილი ჯერ კიდევ არ არის.

მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობით, პირველ მარტისათვის კოლმეურნეობებში შეგროვილი იყო ხორბლეული სათესლე ფონდის 56,5 პროცენტი, სიმინდის სათესლე ფონდის—77,4 პროცენტი. უფრო ჩამორჩენილია 15 პროცენტიან დამზღვევი ფონდების შექმნა. ქერისა და პურის დამზღვევი ფონდის გეგმა 1-ლ მარტისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 47,9 პროცენტით, ხოლო სიმინდის დამზღვევი ფონდი 38,6 პროცენტი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთელ რიგ რაიონებში (ყვარელი, ლაგოდეხი, ახალქალაქის, დუშეთის, აღბულაღ-მანგლისის, ცაგერის, ჩოხატაურის და სხვ.) სათესლე და დამზღვევი ფონდის შეგროვება სრულიად არ უწარმოებიათ.

ეს გარემოება მოწმობს რომ ხსენებულ რაიონების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ ამ საქმეს და სათანადოთ არ იბრძვიან მესამე ბოლშევიკური გაზაფხულის წარმატებით ჩასატარებლად.

უახლოეს დღეებში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში საგაზაფხულო თესვა მასიურად დაიწყება. ეს გარემოება ერთი წუთითაც არ უნდა იქნას დავიწყებული. რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ მასიური მუშაობა სათესლე მასალის შეგროვების უახლოეს დღეებში დასამთავრებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათესლე მასალის ჯიშების შერჩევას, გაწმენდასა და შეწამვლას, რომ ამრიგად უზრუნველყოფილი იქნას მაღალი მოსავლიანობა. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ბოსტნეულის, ნათესი ბალახების, ტექნიკურ კულტურებისა, კარტოფილის სათესლე მასალის შეგროვებას.

გეგმით გათვალისწინებულ 68.176 ცენტნერ სათეს კარტოფილიდან პირველ მარტისათვის შეგროვილი იყო 16.725 ცენტნერი, ანუ 24,4 პროცენტი. საჭიროა ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სათანადოთ იზრუნონ მდგომარეობის გამოსასწორებლად და ყოველი ცალკე კულტურა უზრუნველყონ სათესლე მასალის მთელი საჭირო რაოდენობით.

სათესლე მასალის გეგმის შესრულება—საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების აუცილებელი პირობაა. ამიტომ სათესლე მასალის შეგროვების უახლოეს დღეებში დამთავრება—ადგილობრივმა და ცენტრალურმა ორგანიზაციებმა გადაუდებელ და საბრძოლო ამოცანად უნდა დასახონ.

ნ—ძე.

არ ჩქარობენ

ცაგერი, 3 მარტი. (საკ. კორ.) რაიონში გაზაფხულის თესვასთან დაკავშირებით, მუშა - პირუტყვის აღრიცხვა ძალზე ნელის ტემპით მიმდინარეობს. მუშა - პირუტყვის აღრიცხვის სახელმძღვანელოთ გამოყოფილია რაიონული კომისია, რომელიც უმოქმედობას იჩენს და არ ზრუნავს აღრიცხვის დროზე დამთავრებისათვის.

ყოველივე ეს კი ხელს შეუშლის საგაზაფხულო ხვნა - თესვის დროულად დაწყებას.

საჭიროა აქედანვე იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები მუშა-პირუტყვის აღრიცხვისათვის და საკვების მომარაგებისათვის.

ა. დარჩიაშვილი.

სათესლე მასალის შეგროვება ყურადღების გარეშე

(ს. ნატანები, ოზურგეთის რაიონი)

ნატანების სასოფლო საბჭო თავის დროზე შეუდგა საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას. საგაზაფხულო თესვის გეგმები დამუშავებულ იქნა როგორც პარტკომკავშირის, ისე ღარიბთა ჯგუფებში და ცალკე ბრიგადებში.

ნატანების თემში უნდა დაითესოს სიმინდი 315 ჰექტარი, ბოსტანი 1 ჰექტარი, სასილოსე ნათესი—10 ჰექტარი, სოია (რიგთა შორის) 235 ჰექტარი, ლობიო (რიგთა შორის)—70,5 ჰექტარი და სხვა. თუთის პლანტაცია გაშენდება 1 ჰექტარზე, ჩაი—43 ჰექტარზე. საგაზაფხულო თესვის გეგმები უკვე დაყვანილია თვითეულ ბრიგადამდე.

ნატანების თემში საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით უნდა შემოტანილიყო ერთი ტრაქტორი, 10 გუთანი, და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი მაგრამ აღნიშნულ მანქანა-იარაღებიდან დღემდე არც ერთი ცალი არ არის მიღებული, მიუხედავათ იმისა, რომ მინდვრად მუშაობა უკვე დაიწყო. ხსენებულ კოლმეურნეობას რაიონიდან საჭირო დახმარებას არ უწევენ დაზიანებულ მანქანა-იარაღების შეკეთებაში.

უნდა აღინიშნოს რომ აქ სრულიად ყურადღების გარეშეა დატოვებული მანქანა-იარაღების მოვლის საქმე. ადგილი აქვს გაუპიროვნების აღმაშფოთებელ ფაქტებს. სათესი მანქანები, კულტივატორები და გუთნები უპატრონოდ ყრია მინდვრად და ფუჭდება.

საჭიროა სასწრაფო ღონისძიებების მიღება იმისათვის, რომ ნატანებში დაჩქარებით იქნას გადმოგზავნილი საჭირო საკვები ფურაჟი და იარაღ-მანქანები. დაჩქარებით უნდა შეკეთდეს დაზიანებული მანქანა იარაღები.

ნატანების კოლმეურნეობის გამგეობას დღემდე არავითარი პრაქტიკული მუშაობა არ უწარმოებია სათესლე მასალის შესაგროვებლად. სათესლე სიმინდის გარჩევა და შეწამვლა ჯერაც არ დაწყებულა.

თესლეულის შეგროვებისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება დანაშაულებრივია. ნატანების თემის პარტიულმა, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ მუშაობა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების დარგში.

ტ. აჯანელი.

სათესლე მასალის სიმცირეს განვიცდით

(შირაქი)

საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმები ქედის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებამდე დაყვანილი იქნა დროულად. მანქანა-იარაღების შეკეთება დაკვრითი წესით მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებს არ მიეწოდებათ თესლი საკმაო რაოდენობით, რაც საფრთხეს უქმნის საგაზაფხულო თესვას.

თემში შემავალ კომუნისტებისა, და სას. სამ. არტელებისათვის საჭირო ქერის თესლი 4.800 ფუთის რაოდენობით და პურის თესლი 2.750 ფუთის რაოდენობით, სულ კოლმეურნეობებს აკლიათ 7.550 ფუთი თესლეული.

საჭიროა ქედის თემს დროული დახმარება გაეწიოს თესლეულის მხრივ, მიღებულია ზომები ადგილობრივი სახსრების გამონახვისათვის.

თოდუა.

მანქანა-იარაღების შეკეთება 1 მარტისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

სარემონტო კამპანიის გეგმის მიხედვით, პირველ მარტამდე უნდა შეკეთებულიყო სულ 781 ტრაქტორი.

მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობით. პირველი მარტისათვის ფაქტიურად შეკეთებული იყო მხოლოდ 558 ტრაქტორი, ანუ გეგმის 71,5 პროცენტი. აქედან საბჭოთა მეურნეობებს შეკეთებული ჰქონდათ 214 ცალი ტრაქტორი (გეგმის 58,8 პროცენტი), სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—242 ცალი, გეგმის 79,6 პროცენტი), ხოლო კოლმეურნეობებს—107 ცალი, რაც გეგ. 90 პროცენტს შეადგენს, ამრიგად, 1-ლ მარტს შესაკეთებელი იყო კიდევ 216 ცალი ტრაქტორი.

ამავე რიცხვისათვის შეკეთებული იყო ყველა სექტორებში 523 ცალი ტრაქტორზე მისაბმელი გუთანი (გეგმის 58 პროც.)

უფრო ნელის ტემპით მიმდინარეობს სათესი მანქანების შეკეთება. 1-ლი მარტისათვის შეკეთებული იყო სულ 844 ცალი სათესი მანქანა; შესრულებული იყო გეგმის 42,2 პროცენტი. ამ რაოდენობიდან საბჭოთა მეურნეობებში შეკეთებული იყო 33 ცალი სათესი მანქანა (გეგმის 30 პროც.), ხოლო კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში 811 ცალი, რაც გეგმის 49,3 პროცენტს შეადგენს.

როგორც მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, დირექტივა სარემონტო კამპანიის 1-ლ მარტისთვის დამთავრების შესახებ შესრულებული არ არის.

მანქანა-იარაღების შეკეთებაში არსებული ჩამორჩენა დაკვრითი წესით გამოსწორდეს, მანქანა-იარაღების შეკეთება ყოველ მიზეზს გარეშე უახლოეს დღეებში უნდა დამთავრდეს.

ვემზადებით შესახვედრად

(მცხეთის რაიონი)

მცხეთის რაიონულმა ორგანიზაციებმა დროულად დაამუშავეს საკითხი საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ.

რაიონში გამოყოფილ იქნა მოსამზადებელი მუშაობის სახელმძღვანელო შტაბი. შტაბის მიერ შემუშავებულია გეგმა და პრაქტიკული ღონისძიება. ყველა სოფლის საბჭოებზე მიმაგრებულ იქნენ პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც უკვე შეუდგნენ მუშაობას.

მასიური - პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლით, მოცემული გეგმა დაყვანილ იქნა თვითეულ კოლმეურნეობამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე. მტკიცე დავალება მიეცა კულაკებს და შეძლებულ გლეხობას.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების პერიოდში მუხრანის, საგურამოს, ძეგვის, მცხეთის და სხვა სოფლებში გამოშვებული იქნა კედლის გაზეთები. მიღებულია ზომები შეგროვილი სათესლე მასალის გასაწმენდათ.

მცხეთის რაიონის მაგალითს უნდა მიბაძონ სხვა რაიონებმა.

შ. ფირცხალავა.



გორი, კოლმეურნეობების სათესლე მასალა

ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავის წინ

ცკ-ის ბიუროს მიერ მიღებული დადგენილების რეალიზაციის შესახებ

1. საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ბიუროს 1932 წ. 1 მარტის დადგენილება ამიერ კავკასიის ფედერაციის ათი წლისთავის ჩატარების შესახებ დამუშავებულ იქნას შემდეგი წესით.

2. 5-დან 15 მარტამდე ჩატარდეს ღია პარტიულ-კომკავშირული კრებები უპარტიო მუშათა, კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების და მოსამსახურეების მონაწილეობით. კრებების დღის წესრიგში უნდა იქნეს დასმული—მოხსენება ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლისთავის შესახებ.

3. საქ. კომპ. (ბ) თბილისის კომიტეტმა:

ა) ჩაატაროს მომხსენებელთა საინსტრუქციო თათბირი;

ბ) მიამაგროს საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომებზე ბრიგადები ა.-კ. ფედერაციის 10 წლისთავის ჩატარებაში დახმარების აღმოსაჩენად;

გ) საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და განათლების მუშაკთა ცენტრალური გამგეობის ფრაქციებმა და საინჟინრო-ტეხნიკურმა მუშაკებმა ც. კ-ისა და თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებებთან ერთად დაამუშაონ განათლების მუშაკების, საინჟინრო-ტეხნიკური მუშაკებისა და მუშგლეხკორების მასიური კრებების ჩატარების წესი.

4. საქარ. ლ.ა. კომკავშირის ც. კ-მა შეადგინოს ც. კ-ის ბიუროს დადგენილების შესრულებაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის მიღების გეგმა.

5. განათლების სახალხო კომისარიატმა და განათლების თბილისის განყოფილებამ შეიმუშაონ ამიერ-კავკ. ფედერაციის 10 წლისთავის ჩატარების მასიური დამუშავების გეგმა სასწავლებელთა ყველა რგოლებში (მასიური სკოლა, საშუალო სკოლა, ტეხნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლები).

6. საქართველოს კომპ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ უზრუნველყოს პარტგანათლების ქსელის ყველა რგოლებში დამუშავება თემის—ა.-კ. ფედერაციის 10 წლისთავის და შემოიღოს ამისათვის ერთი მეცადინეობა სოფლის სკოლებისა და დაწყებითი პოლიტსკოლებისათვის 2 საათის ხანგრძლივობით, ხოლო საშუალო რგოლებისათვის—3 საათის ხანგრძლივობით.

დამუშავების დაწყების ვადათ დაწესდეს 5 მარტი.

7. სახელმძღვანელო მასალად გამოყენებულ იქნას საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის ბიუროს 1932 წლის 29 თებერვლის დადგენილება (იხ. 1932 წლის 1 მარტის „ზარია ვოსტოკა" და „კომუნისტი") და ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საქართველოს კომპ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმზე „ამიერ-კავკ. ფედერაციის 10 წლის თავის შესახებ" (იხ. 1932 წლის 1 მარტის „კომუნისტი" და 29 თებერვლის „ზარია ვოსტოკა").

8. ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტმა, მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტმა, საქართველოს კომუნისტურმა უნივერსიტეტმა ც. კ-ისა და თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებებთან ერთად ჩაატარონ ლექციები შემდეგ თემებზე:

ა) ნაციონალური საკითხი მარქს-ლენინ-სტალინის გაშუქებით;

ბ) ამიერ-კავკ. სფს რესპუბლიკა აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდში.

9. გაზეთებმა—„კომუნისტმა", „მუშა"-მ, „ტიფლისკი რაბოჩი"-მ და ბეჭდვითი სიტყვის რაიონულმა ორგანოებმა გააშუქონ ც. კ-ის ბიუროს დადგენილების დამუშავების მიმდინარეობა ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლისთავის შესახებ.

10. რადიოცენტრმა მოაწყოს ლექციების ციკლის გადაცემა ამიერ-კავკ. ფედერაციის 10 წლისთავთან დაკავშირებით.

11. ც. კ-ი წინადადებას აძლევს ყველა საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს და რაიკომებს—ამ დადგენილების რეალიზაციის პროცესში უზრუნველყონ სათანადო ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა ძირეული პარტორგანიზაციებისათვის (ხელმძღვანელ-მომხსენებელთა ინსტრუქტაჟი, ლიტერატურის მიწოდება, მომხსენებლების უზრუნველყოფა და სხვ.).

12. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში

თბილისი, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ამხ. ბერიას

განჯის მებამბეობის ინსტიტუტი, ა.-კ. ფედერაციის 10 წლის თავის აღსანიშნავად, რომელმაც მოიპოვა უდიდესი მიღწევები ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ნაცადი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საფუძველზე, 2 მარტს უშვებს 34 აგრონომს, რომლებმაც წელს პირველად დაამთავრეს ინსტიტუტი და რომლებიც მოეფინებიან ა.-კ. ბამბის მინდვრებს.

ინსტიტუტი პირობას იძლევა მომავალში გააძლიეროს ახალი სპეციალისტების გამოშვება სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის.

ინსტიტუტის სამკუთხედი.

თბილისის პროლეტარიატის სამზადისი

ბაქოს, ლენინის რაიონის მეორე და მეხუთე სარეწაოების მუშების გამოწვევამ ამ.-კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით ხუთწლედის უკანასკნელი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულების შესახებ, ფართო გამოხმაურება ჰპოვა თბილისის პროლეტარიატში.

ამ გამოწვევასთან დაკავშირებით თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში ჩატარდა სახელდახელო მიტინგები, რომელზედაც განხილულ იქნა ბაქოს მუშების მოწოდება.

ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის მუშებმა ბაქოს პროლეტარების გამოწვევის საპასუხოთ წამოაყენეს თავიანთი შეხვედრი გეგმები.

დეპოს მუშების რეზოლიუციაში აღნიშნულია რომ ისინი შესძლებენ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლიან ტრანსპორტზე ამხ. ანდრეევის ბრძანებისა და ამხ. სტალინის ექვსი მითითების განხორციელებას და გაწყვილებული სელის შემოღებას.

26 კომუნარის სახელობის ქარხანაში მოწვეულ კრებაზე, ხელშეკრულებების გასინჯვის შემდეგ მუშებმა წამოაყენეს შეხვედრი გეგმა, რომლის მიხედვით ა.-კ. ფედერაციის 10 წლის თავისათვის გეგმაზე ზევით გამოშვებულ უნდა იქნეს 30 ათასი მანეთის პროდუქცია, ამ დავალების შესასრულებლად გამოიყო დამკვრელი ბრიგადები, რომლებმაც მოითხოვეს სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა. ბრიგადები უკვე შეუდგნენ დავალების განაღდებისათვის მუშაობას.

კალინინის სახელობის ლითონის ჩამომსხმელ ქარხანაში ამიერ-კავკასიის 10 წლის თავთან დაკავშირებით პარტიაში მისაღებად განცხადება შეიტანა 12 კაცმა. იმავე მიტინგზე მუშებმა გამოჰყვეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავის სახელობის 7 ბრიგადა, რომლებიც გადავიდენ სამეურნეო ანგარიშზე. შეხვედრი გეგმის თანახმად და ბაქოს მუშების გამოწვევის საპასუხოთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავისათვის, ქარხანა გეგმაზე ზევით გამოიმუშავებს 20.800 მან. პროდუქციას. მუშები იძლევიან ბოლშევიკურ პირობას, რომ საგრძნობლად გააუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. ამ მიზნით ჩამოყალიბდა 2 დამკვრელი ბრიგადა, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს საამქროებში ახლად ჩამოყალიბებულ წუნთან მებრძოლ მუშათა საგუშაგოებს.

მიტინგზე მუშა-გამომგონებლობათა ბრიგადამ პირობა დასდო, რომ ამიერ-კავკასიის 10 წლის თავისათვის თითოეული მუშა-გამომგონებელი შემოიტანს ორ-ორ რაციონალიზატორულ ხასიათის წინადადებას, რომელიც წარმოებას მისცემს ეკონომიას

ასეთივე მიტინგები ჩატარდა აგრეთვე თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში, ავეჯეულობის, მკერავტრესტის ფაბრიკებში და სხ. საწარმოებში.

შ. მამაგეიშვილი.

უზრუნველვყოთ 1932 წლის გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიის წარმატებით ჩატარება

აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ, და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკებს, თბილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოებს, ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს

(საქ ცაკის დადგენილება)

ამჟამად საბჭოების წინაშე სდგას უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანა — 1932 წლის გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიის ჩატარება. ამ კამპანიის წარმატებით განხორციელებამ სავსებით უნდა უზრუნველყოს: ა) კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცება და ამ საფუძველზე მათი შემდგომი ზრდა-განვითარება; ბ) შემდგომი მიღწევები საქართველოს, როგორც ტეხნიკური კულტურების და პროდუქტიული მეცხოველეობის რაიონის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში; გ) საბჭოთა მეურნეობების გაძლიერება; დ) მეცხოველეობის სასაქონლო-სარძეო ფერმების მოწყობა და განმტკიცება; ე) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გადაქცევა სოფლის მეურნეობის ნამდვილ მომწესრიგებელ ცენტრად მათ სამოქმედო რაიონებში და სხვ.

საბჭოთა ადგილობრივ ორგანოებმა ერთი წუთითაც მხედველობიდან არ უნდა გაუშვან ის გარემოება, რომ აღნიშნული კამპანიის წარმატებით ჩატარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ხუთწლედის დამამთავრებელ წლის გეგმის შესრულება სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში. ამიტომ სავსებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საბჭოთა მთელი ძალების დარაზმვა გაზაფხულის სას.-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

ამ მიზნით თავიდან აცილებულ უნდა იქნეს ის შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლის სას.-სამ. კამპანიის ჩატარების დროს, რაც გამოიხატებოდა შემდეგში:

ა) ხშირად, თავის დროზე არ ხდებოდა მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება და გეგმების დაყვანა სოფლამდე, კოლმეურნეობამდე, ერთპიროვნულ ღარიბ-საშუალო კომლამდე, რაც იწვევდა დანარჩენ სამუშაოთა დაგვიანებით ჩატარებას, რის გამოსასწორებლად მიმართავდენ ადმინისტრატიულ ზომებს მასიურ მუშაობის გაშლის გარეშე, ზოგგან კი თავის დროზე ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა არ იყო ხარისხობრივ მაჩვენებლების მხრით დამაკმაყოფილებელი;

ბ) არ ექცეოდა სათანადო ყურადღება საგაზაფხულო თესვის კამპანიის თესლეულით უზრუნველყოფის საქმეს და დაზღვევის ფონდის მოგვარებას კოლმეურნეობებიდან და ერთპიროვნულ მეურნეობებიდან;

გ) ტეხნიკურ საშუალებების (მექანიკური და ცოცხალი ძალის, სას.-სამ. იარაღების და სხვ.) გაუპიროვნების ნიადაგზე, ადგილი ჰქონდა მათ მოუვლელობას და არსებული სას.-სამ. იარაღების არასაკმაოდ დატვირთვას;

დ) მსხვილი და სამრეწველო ქალაქები (თბილისი, ქუთაისი, ჭიათურა და სხვ.) ვერ უწევდენ სათანადო საწარმოო დახმარებას სოფელს;

ე) ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც სას.-სამ. კამპანიის ჩატარებაში არ იყვნენ ჩაბმულნი ყველა ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ამის გამო აუცილებელია, რათა ზემოაღნიშნული შეცდომებიც არავითარ შემთხვევაში არ იქნეს განმეორებული და ამ კამპანიის ჩატარების დროს იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. გაზაფხულის სას. სამეურნეო კამპანია ჩატარებულ უნდა იქნეს სტალინის 6 ისტორიულ მითითებების და სოფლის მეურნეობის თაობაზ ესაკავშ. კ.პ. (ბ) ც.კ. 1931 წ. ოქტომბრის 31-ს დადგენილების შესრულების ნიშნის ქვეშ;

2. იქ, სადაც რაიაღმასკომებს და სას.-საბჭოებს დღემდე არა აქვთ ჩატარებული სათანადო წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა, — დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს მათი გაფართოებული სხდომები, რომელზედაც დამუშავდეს გაზაფხულის სას. სამეურნეო კამპანიის ჩატარების საკითხები და შედგენილი იქნეს სათანადო სამუშაო გეგმები.

ამ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) სას.-სამ. კამპანიის საწარმოო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება კალენდარულად განსაზღვრულ ვადებში;

ბ) შრომის სოც. მეთოდების ფართოდ და რეალურად გაშლა;

გ) ქალთა მშრომელ მასების აქტიურად ჩაბმა ამ კამპანიის ჩატარებაში, ქალთა სალეგატო კრებებზე დასახელებულ კამპანიის საკითხების დამუშავება;

დ) ღარიბთა ჯგუფების მუშაობის გაცხოველება და მშრომელთა მთელი მასების დარაზმვა ამ კამპანიის გარშემო, სას. საბჭოს ყველა სექციების და, განსაკუთრებით, სას. სამ. საწარმოო თათბირის აქტიურად ჩაბმა ამ მუშაობაში.

ამავე დროს, საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საწარმოო ამოცანების მოგვარებას:

ა) სავსებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების და პროდუქტიულ მესაქონლეობის განვითარება სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის საფუძველზე;

ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურათა განვითარების საქმეში სათანადო რაიონებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ: მათზე დაკისრებული გეგმების სავსებით შესრულებას (ჩაი, ბამბა, თამბაქო, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ.).

ბ) უდიდესი ყურადღება მიექცეს არსებული საბჭოთა მეურნეობების ყოველმხრივ გაძლიერება-განმტკიცებას და ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობას ძირითადათ ახალი მიწის ნაჭრების გამონახვა-დამუშავების საფუძველზე.

გ) საბჭოთა მთელი აქტივის და ყველა მშრომელთა ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება.

დ) გადაჭრით უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების მოწყობა და მათთვის მტკიცე საკვებ ბაზის შექმნა, სასალოხე მშენებლობის გაძლიერების ნიადაგზე.

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას და მუშა-ხელის რაციონალურად გამოყენებას, უპირველეს ამოცანად მიჩნეულ იქნეს საბჭოთა მეურნეობების მუშა-ხელით უზრუნველყოფა, რისთვისაც დაიდვას ხელშეკრულება სათანადო კოლმეურნეობებთან.

ვ) უდიდესი ყურადღება მიექცეს სამანქ.-სატრაქტორო სადგურების მუშაობას და მათი, სოფლის მეურნეობის მომწესრიგებელ ცენტრად გადაქცევას;

ზ) სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს ინდივიდუალურ, ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების ჩაბმა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში. არც ერთი შრომის-უნარიანი მშრომელი არ დარჩეს სას.-სამ. კამპანიის ჩატარების აქტიური მონაწილეობის გარეშე:

თ) საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად მიჩნეულ იქნეს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კადრების მომზადება და გადამზადება:

ი) სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებათა მიცემა და ამავე დროს ძველი ხელმძღვანელების შეცდომებისა და დამახინჯებათა თავიდან აცილება ამ დარგში.

ამრიგად, პარტიის და ხელისუფლების დირექტივების სისწორით დაცვის და პარტიის გენერალურ ხაზიდან გადახრების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის გამოცხადების ნიადაგზე, მესამე ბოლშევიკური საგაზაფხულო კამპანიის გეგმა შესრულებულ უნდა იქნეს არამც თუ 100 პროც., არამედ გადაჭარბებითაც და მით სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს ხუთწლედის დამამთავრებელ წლის ამოცანების რეალურად გატარება სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში. ყველა ამ ამოცანების შესრულება დაკავშირებულ უნდა იქნეს სოფლის საბჭოების მუშაობის გარდაქმნასთან და ახალ სოციალისტურ მეთოდების, სოცშეჯიბრის, დამკვრელობის და სხ. ფართოდ გამოყენების საფუძველზე — სოფლის მშრომელთა მასების — კოლმეურნეების და ერთპიროვნულ ღარიბ-საშუალო გლეხობის გაზაფხულის სას. სამეურნეო კამპანიის საკითხებში ჩაბმის უზრუნველყოფასთან.

არც ერთი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწისა არ დარჩეს მოუვლელი და დაუთესავი. საგაზაფხულო კამპანიის გეგმის არც ერთი დავალება არ დარჩეს შეუსრულებელი ამ ძირითადი ლოზუნგებით უნდა იქნეს ჩატარებული მესამე ბოლშევიკური საგაზაფხულო თესვის კამპანია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

ბამბისა და თამბაქოს კონტრაქტაციის შესახებ

(საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცეკა[illegible]

ბიბლიოთეკა

1932 წელში ბამბის კონტრაქტაციის წარმატებით ჩასატარებლად და შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წლის თებერვლის 10-ის დადგენილებისა (გაზ. „იზვესტია" № 41 1932 წ.) და ა-კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის თებერვლის 21-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა" № 44, 1932 წ.) განსავითარებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ბამბის ნათესი ფართობის კონტრაქტაცია საქართველოს სსრ-ში 1932 წლისათვის 22.125 ჰექტარის რაოდენობით; აქედან 15.000 ჰექტარი (ვარაუდით) კოლმეურნეობებში და 7.125 ჰექტარი ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში.

2. დაწესებულ იქნეს ნედლი ბამბის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე საშუალოდ: 5,64 ცენტნერი (564 კილოგრ.) კოლმეურნეობებში და 5,54 ცენტნერი (554 კილოგრ.) ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში. ბამბის ნათესის მოსავლიანობის ნორმა კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა მტკიცე დავალების მიხედვით დაწესებულ იქნეს 10 პროცენტით მეტი ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მოსავლიანობის ნორმებთან შედარებით.

3. ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა განისაზღვროს 12.497,8 ტონის რაოდენობით' აქედან 8.550 ტონი (ვარაუდით) კოლმეურნეობებში და 3.947,8 ტონი ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში.

4. ავანსის საშუალო რაოდენობა დაკონტრაქტებული ნედლი ბამბის ერთ ტონაზე განისაზღვროს 56 მანეთით: კოლმეურნეობათათვის—61 მან. 35 კაპ. ბამბის ერთ ტონაზე და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის—47 მან. 29 კაპ.

5. ავანსი კონტრაქტანტებს უნდა მიეცეს შემდეგ ვადებზე: კონტრაქტაციის დროს—21 პროც., დათესვისა და ნათესის შემოწმების შემდეგ—47 პროც. და მეორედ გათოხნის შემდეგ—დანარჩენი 32 პროც.

6. დაავანსების ნორმების მიხედვით ფულადი სახსრის საერთო ფონდი დაავანსებისათვის განსაზღვრულ იქნეს 711.000 მანეთის რაოდენობით.

7. ბამბის მთესველთა პურით მომარაგება ერთ ტონა ჩაბარებულ ნედლ ბამბაზე განისაზღვროს საშუალოდ 5.5 ცენტნერით' ამასთანავე უზრუნველყოფილ იქნეს ამ ნორმების შემდეგი დიფერენციაცია სამი ზონისა და ცალკეული სექტორების მიხედვით:

კილოგრამი პური ერთ ცენტნერ ნედლ ბამბაზე.

	კოლმეურნეობისათვის.	ინდივიდ. ღარიბ და საშუალო მეურნ.
1 ზონა—ყარაიას რაიონი	72	57,5
2. ზონა—ბორჩალოს რაიონი	58	46,3
3 ზონა—დანარჩენი რაიონები	50	40

8. პურით მომარაგების ნორმა გადიდებულ იქნეს: იმ კოლმეურნეობათათვის, რომელთაც ბამბის გადასარგავი კულტურა აქვთ,—25 პროცენტით, ხოლო იმ კოლმეურნეობათათვის, რომელთაც თესლით ნათესი კულტურა აქვთ—50 პროცენტით ჩვეულებრივ ნორმებთან შედარებით.

9. კონტრაქტანტებისათვის პურის მიცემა მოხდეს შემდეგ ვადებზე: საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადებისას —10 პროც., დათესვისა და ფართობის შემოწმების შემდეგ—12 პროც., პირველი გათოხნის შემდეგ—15 პროც. (სულ ივლისის პირველამდე 37 პროც.), მესამე გათოხნის შემდეგ—10 პროც. და ნედლი ბამბის ჩაბარებისას—დანარჩენი 53 პროც.

10. კონტრაქტანტების მოსამზადებლად საჭირო პურის საერთო ფონდი განისაზღვროს 7.000 ტონის რაოდენობით.

11. საერთო ფონდი სამრეწველო საქონლისა, რაც ბამბის მთესველთ უნდა მიეცეს (მიეყიდოს) განისაზღვროს 1.956.000 მანეთით მრეწველობის ფასების მიხედვით.

12. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაზე განსაზღვროს ბამბის რაიონებში შესაზიდი სამრეწველო საქონლის ასორტიმენტი და უზრუნველყოს ამ საქონლის შეზიდვა შემდეგ ვადებზე: პირველ კვარტალში—25 პროც., მეორე კვარტალში—15 პროც., ხოლო დანარჩენი 60 პროც. მესამე და მეოთხე კვარტალში იმ ანგარიშით, რომ სამრეწველო საქონლის შეზიდვა სავსებით დამთავრდეს არაუგვიანეს 1932 წლის ნოემბრის 1-სა.

13. სამრეწველო საქონლის საერთო ფონდიდან მებამბეობის რაიონებში შეზიდულ იქნეს 254 ტონა შაქარი და 7.224 კილოგრამი ჩაი. შაქრისა და ჩაის შეზიდვა მოხდეს შემდეგ ვადებზე: პირველ კვარტალში—25 პროც. მეორე კვარტალში 25 პროც. და მესამე კვარტალში დანარჩენი 50 პროც.

14. შეზიდულ იქნეს მებამბეობის რაიონებში 63,5 ტონა ზეთი, რომელიც ერთ ტონა დაკონტრაქტებულ ნედლ ბამბაზე უნდა მიეცეს: კოლმეურნეობებს—5,4 კილოგრამი და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს—4,2 კილოგრამი; ამასთანავე ზეთი შეიძლება შეცვალოს სარეცხი საპნით სათანადო ექვივალენტის მიხედვით.

15. [illegible] რაიონებში 127 ტონა [illegible], რომელიც ერთ ტონა დაკონტრაქტებულ ნედლ ბამბაზე კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს მიეცემათ 8,6 კილოგრამი.

16. მინერალური სასუქი ბამბის მთესველთ უნდა მიეცეს ნისიად ნედლი ბამბის რეალიზაციამდე.

17. კონტრაქტაციის ჩატარება და ბამბის კოლმეურნეობათა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის აგრო-საწარმოო მომსახურეობის გაწევა დაეკისროს ტრაქტორცენტრის სისტემას, რომელსაც დაევალება კონტრაქტაციის ხელშეკრულებანი დადოს ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა ჯგუფებთან და თავი მოუყაროს ამ უკანასკნელთა მიწებს, მიწათმოწყობის წესისამებრ (მიწების მიჭრით) მთლიან მასივებად ტრაქტორებით დამუშავების მიზნით.

18. თესლი კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს მიეცეს ნისიად 4 კაპიკად კილოგრამი, ხოლო კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებს—ნაღდი ანგარიშით 6 კაპიკად კილოგრამი.

19. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს ორი დეკადის ვადაზე განსაზღვროს საქართველოს სსრ-ში გასახსნელი სავაჭრო წერტების (მაღაზიების) რაოდენობა იმ 750 სამრეწველო საქონლის მაღაზიიდან, რაც შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დადგენილია მებამბეობის რაიონებისათვის.

20. კონტრაქტაცია დაწყებულ იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრდეს არა უგვიანეს ა. წ. მარტის 15-სა.

წინადადება მიეცეს ბამბის რაიონების ადგილობრივ საბჭოებს და პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათათვის ა. წ. მარტის 10-მდე მტკიცე დავალებების მიცემა ნათესისა, მისი დამუშავებისა და ბამბის ჩაბარების საქმეში.

21. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბ. გოგია დანიშნულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულად ბამბის კამპანიის ხელმძღვანელობის საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ლ. ბერია.

თამბაქო

მეთამბაქოეობის განვითარებისათვის ხელისშეწყობისა და 1932 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის წარმატებით ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. თამბაქოს ნათესის მთელი ფართობიდან, რაც 28.000 ჰექტ. უდრის, დაკონტრაქტებულ იქნეს კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში 27.155 ჰექტარი, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში—19.742 ჰექტარი და საქართველოს სსრ მეთამბაქოეობის დანარჩენ რაიონებში (აჭარისტანის ავტ სსრ-ის ჩათვლით)—7.413 ჰექტარი.

თამბაქოს სათესი ფართობი საბჭოთა მეურნეობებში განისაზღვროს 847 ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის ჯოგეჯიანში—450 ჰექტარის, გუდაუთის (ჩერნორეჩენსკის) საბჭოთა მეურნეობაში—260 ჰექტარის და სხვა საბჭოთა მეურნეობებში—137 ჰექტარის რაოდენობით.

2. თამბაქოს მოსავლიანობის ნორმად დადგენილ იქნეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ში 6,7 ცენტნერი და საქართველოს სსრ მეთამბაქოეობის დანარჩენ რაიონებში—8 ცენტნერი ჰექტარზე.

თამბაქოს დაკონტრაქტებული მოსავლის რაოდენობა განისაზღვროს 19.156,4 ტონით, საიდანაც აფხაზეთის ავტ. სსრ-ში—13.226 ტონა და დანარჩენ ადგილებში—5.930,4 ტონა.

3. დაწესებულ იქნეს ავანსის საშუალო რაოდენობა თამბაქოს დასაკონტრაქტებელი პროდუქციის ერთ ტონაზე აფხაზეთის ავტ. სოც. საბჭ. რესპუბლიკისათვის—580 მან. და სხვა ადგილებისათვის—360 მან. ავანსის გაცემა უნდა მოხდეს შემდეგ ვადებზე: 1932 წლის მარტის 1-მდე—ავანსის თანხის ერთი მესამედი (სარგავი მეურნეობის ორგანიზაციის მომენტისათვის), 1932 წლის მაისის განმავლობაში ერთი მესამედი. (დარგვის პერიოდში) და 1932 წლის ივლისში ერთი მესამედი—(მოსავლის აკრეფის პერიოდში)

4. დაწესებულ იქნეს ავანსის და პურით მომარაგების რაოდენობის გადიდება კოლმეურნეობებისათვის; ინდივიდუალურ მეურნეობებთან შედარებით; აფხაზეთის ავტ სსრ-ში და ტლოშის და ახალციხის რაიონებში 25 პროც.' ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენ რაიონებში—30 პროც.

5. ავანსების საერთო თანხა თამბაქოს კონტრაქტაციის საქმეში განისაზღვროს 9.145.000 მანეთით, მათ შორის აფხაზეთის ავტ. სოც. საბჭ. რესპუბლიკისათვის—7.009.780 მან. და საქართველოს სსრ სხვა რაიონებისათვის—2.135.220 მან.

6. კონტრაქტანტ-მეთამბაქოეთა პურით მტკიცე მომარაგება დაწესებულ იქნეს 10 ცენტნერი პურის-რაოდენობით ერთ ტონა თამბაქოს ნედლეულზე საქართველოში' ხოლო აფხაზეთისათვის—12 ცენტნერის რაოდენობით; ამასთანავე პური უნდა გაიცეს შემდეგ ვადებზე; 1932 წლის პირველ კვარტალში—10 პროც.; მეორე კვარტალში—25 პროცენტი; მესამე კვარტალში—25 პროც.' აფხაზეთის ავტ. სსრ-ში და 20 პროც. საქართველოს სხვა რაიონებში და მეოთხე კვარტალში—40 პროც აფხაზეთში და 45 პროც. საქართველოში.

7. პურით მომარაგების საერთო ფონდის რაოდენობა განისაზღვროს 21.801 ტონით, მათ შორის აფხაზეთისათვის—15.871 ტონა და საქართველოსათვის—5.930 ტონა.

8. მეთამბაქოეთათვის სამრეწველო საქონლის მიცემის ნორმა საქონლის ნორმალური ბრუნვის წესით დადგენილ იქნეს დაკონტრაქტებული პროდუქციის ღირებულების 30 პროც. რაოდენობით.

9. რათა ლაგოდეხის რაიონში ხელი შეეწყოს საექსპორტო თამბაქოს კულტურის განვითარებას ავანსებისა და პურის პროდუქტებით და სამრეწველო საქონლით მომარაგების ნორმა კოლმეურნეობათათვის და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის დაწესებულ იქნეს 25 პროც მეტი იმ ნორმებზე, რაც მოქმედობს შინაგანი მოხმარების თამბაქოს მწარმოებელ მეურნეობათათვის.

10. მეთამბაქოეთათვის აგრომომსახურეობის გაწევა და თამბაქოს კონტრაქტაცია ლაგოდეხის რაიონის როგორც კოლმეურნეობებში, ისე ინდივიდუალურ მეურნეობებში დაეკისროს საქართველოს ტრაქტორცენტრის სისტემას; სიღნაღის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ჩოხატაურის რაიონებში და აგრეთვე აჭარისტანის ავტ სსრ-ში აგრომომსახურეობა დაეკისროს საკოლმეურნეო სისტემას, ხოლო კონტრაქტაცია—მომარაგების სახალხო კომისარიატის სათანადო დამამზადებელ ორგანიზაციას (ხოლო ამ უკანასკნელის მოწყობამდე—საქართველოს ბაღბოსტანკავშირს).

11. წინადადება მიეცეს საქართველოს კომპარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს და აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განსაზღვრონ აფხაზეთის ავტ. სსრ-ში მეთამბაქოეთა აგრომომსახურეობისა და კონტრაქტაციის ჩატარების წესი და გაანაწილონ ფუნქციები საკოლმეურნეო სისტემასა და თამბაქოს დამამზადებელ ორგანიზაციას შორის.

12. დაევალოს მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემის თამბაქოს დამამზადებელ ორგანიზაციას (ხოლო ამ უკანასკნელის მოწყობამდე—საქართველოს ბაღბოსტანკავშირს) და საქართველოს ტრაქტორცენტრს დაუყოვნებლივ შეუდგნენ თამბაქოს კონტრაქტაციას იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს 1932 წლის მარტის 15-სათვის.

13. დაევალოს მიწათმოქმედების და მომარაგების სახალხო კომისარიატებს, საქართველოს კოლმეურნცენტრთან, თამბაქოს კოლმეურნცენტრთან, საქართველოს ტრაქტორცენტრთან და საქართველოს კოლმეურმშენთან ერთად, შეიმუშაონ საკითხი საპლანტაციო-ტეხნიკურ ნაგებობათა (სარაია, თამბაქოს მშრობი და ცეცხლით სახმობი ნაგებობა) მშენებლობის შესახებ და სხვა ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რაც უზრუნველყოფს თამბაქოს წარმოების გეგმის შესრულებას, და ხუთი დღის ვადაზე წარუდგინონ სათანადო მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

14. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების კომისიას მოისმინოს სათანადო უწყებათა და ორგანიზაციათა პერიოდული მოხსენებანი თამბაქოს კონტრაქტაციის მსვლელობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ბერია.

თბილისის პარტორგანიზაციის მუშაობა ახალ ეტაპზე*)

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931. წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების დროშით

სულ ცოტა ხნის წინად თბილისის პარტორგანიზაციაში ჩატარდა საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია.

ეს სერიოზული პოლიტიკური კამპანია მიმდინარეობა უშუალოდ მას შემდეგ, რაც საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის მოხსენების გამო გამოიტანა ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს მოქმედების გაშლით საბრძოლო პროგრამა ამიერ-კავკასიის ყველა ბოლშევიკებისათვის.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჩვენგან მოითხოვდა, პირველი — დაუყოვნებლივ გამოგვესწორებია ყველა დაშვებული შეცდომები და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მთელი ძალღონე და ყურადღება მიგვეპყრო სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ამოცანების გადაჭრის საქმეზე; მეორე—იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების საფუძველზე გაგვეშალა პროლეტარული თვითკრიტიკა, დაგვენერგა ბოლშევიკური პარტიულობა და დარაზმულობა, რომელთა სერიოზულ მტერს ჩვენში, თბილისის ორგანიზაციაში, წარმოადგენდნენ უპრინციპო ჯგუფობრიობა და ატამანობა.

თბილისის ბოლშევიკებმა საგადარჩევო კამპანიაში სწორედ იმიტომ მიაღწიეს წარმატებებს, რომ მათ მთელ თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდვეს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის 6 მითითება, რომელთაც აქვთ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, ვინაიდან ამხ. სტალინის 6 პირობის გატარებამ ყველას ნათლად დაანახვა ჩვენი გეგმების რეალობა, მათი არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულების შესაძლებლობაც.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების და ამხ. სტალინის მითითებათა დროშით თბილისის ორგანიზაცია, მთელი რიგი დეფექტების მიუხედავად, ამ კამპანიიდან გამოვიდა ბევრად უფრო დარაზმული, ბევრად უფრო მონოლიტური, რომელსაც შესწევს უნარი ბოლშევიკურად დასვას და გადასჭრას სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები, შესწევს უნარი ბოლშევიკურად იბრძოლოს პარტიის გენერალური ხაზისათვის და გამანადგურებელი პასუხი გასცეს ყოველგვარ ოპორტუნიზმის და მასთან შემარიგებლობის გამოხატულებას, დამპალი ლიბერალიზმის გამოხატულებას როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ყველა ცნობები, რომლებიც ამ კამპანიის შედეგების შესახებ მოგვეპოვება.

ბოლშევიკური თვითკრიტიკის და შინა-პარტიული დემოკრატიის გაშლის ნიშნით

ჩატარებულ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია წინანდელი კამპანიებისაგან, იმით განირჩევა, რომ იგი ჩატარდა პარტიული, კომკავშირული და უპარტიო მასების შეუდარებლად უფრო მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აქტიობის პირობებში. ამ საგადარჩევო კამპანიაში თბილისის ორგანიზაციამ შეძლო თვითკრიტიკის გაძლიერებული ბოლშევიკური ცეცხლი წარემართა მის პრაქტიკულ მუშაობაში არსებული დეფექტების წინააღმდეგ, უპრინციპო ჯგუფობრიობის, ატამანობის გამოხატულებების წინააღმდეგ და ამ ბოროტების კონკრეტული მატარებლების გამოაშკარავებისაკენ. კამპანია უდავოდ ჩატარდა ფართო შინაპარტიული დემოკრატიის დაცვის საფუძველზე.

უეჭველია, რომ ამა თუ იმ კამპანიის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია ორგანიზაციის მიერ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის უზრუნველყოფაზე, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ საგადარჩევო კამპანიის ჩასატარებლად მეტად მცირე დრო გვქონდა — სულ 1 თვე, თბილისის ორგანიზაციამ შესძლო მის წინაშე მდგარი ამოცანები მიეყვანა ფართო პარტიული, კომკავშირული და მუშათა მასებამდე და ჩაება ისინი შესრულებული მუშაობის ნამდვილ შემოწმებაში და შემდგომი მოძრაობის გაშლისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვის საქმეში. **პარტუჯრედების ღია კრებებს, როცა მუშავდებოდა ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის დადგენილებანი ძირეული პარტორგანოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის ამოცანების შესახებ, დაესწრო 9006 კომუნისტი (79 პროც.) და 8484 კომკავშირელი (67,8 პროც.). კამათში მონაწილეობა მიიღო 2171 კაცმა, საშუალოდ თითო კრებაზე გამოვიდა 5 კაცი. 7.000-ზე მეტმა კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა ძირეული პარტორგანოების შესამოწმებლად წარმოებულ პრაქტიკულ მუშაობაში.**

თავისი თავი გაამართლა ცენტრ. კომიტ. და თბილისის კომიტ. დიფერენცირებულმა მიდგომამ სხვადასხვა ტიპის უჯრედების წინაშე ამოცანების დასმის საქმეში. ცალკე ორგანიზაციებმა, რომლებიც მოსამზადებელი მუშაობის დროს მოიკოჭლებდნენ, საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ჩატარების მომენტში. ყველა რაიკომების მხრით ხელმძღვანელობის კონკრეტულობამ და ოპერატიულობამ უზრუნველყო ძირეული პარტრგოლების და უჯრედთა ბიუროების საგადარჩევო კრებების მრავალრიცხოვანება, აგრეთვე პარტორგანიზაციების და უჯრედთა ბიუროების საანგარიშო მოხსენებათა განხილვაში კომუნისტების მონაწილეობის დიდი პროცენტი.

ციფრები ამას ნათელყოფენ. **ძირეული პარტრგოლების საგადარჩევო კრებებს დაესწრო 5.021 კომუნისტი 87,8 პროც.) და 36444 კომკავშირელი (66,1 პროც.).**

კამათში კომუნისტების მონაწილეობის პროცენტი აღწევს 23 პროც.-ს უჯრედების ბიუროების საგდარჩევო კრებებს დაესწრო 12.878 (87,6 პროც.) და 11.695 კომკავშირელი (76,4 პროც.).

უჯრედთა ბიუროების საანგარიშო მოხსენებათა განხილვაში მონაწილე კომუნისტების პროცენტი უდრიდა 26-ს.

მაგრამ დამახასიათებელია და საგულისხმო ამ ცნობების შედარება წინანდელი კამპანიის ცნობებთან: უჯრედთა ბიუროების საგადარჩევო კრებების საშუალო დასწრება ამ კამპანიაში უდრის 87,6 პროც.-ს წინანდელი კამპანიის 81,6 პროც. ნაცვლად, კამათში მონაწილეობის პროცენტი შეადგენს 26,7 პროცენტს წინანდელი 21,2 პროც. ნაცვლად.

ძირეული ხელმძღვანელი პროგრამების მუშაობის შემოწმების დროს, რომელშიც ფართო პარტიულმა მასებმა მიიღეს მონაწილეობა, ბოლშევიკურად იქნა გაკრიტიკებული ამ მუშაობაში შემჩნეული დეფექტები. შემოწმებამ ცხადყო, რომ მთელი რიგი ძირეული პარტორგანოები მეტად სუსტად მუშაობდნენ. **ერთი პარტკომის, 71 საერთო საქარხნო, საუბნო და დაწესებულების უჯრედთა ბიუროს და ძირეული პარტიული რგოლების 115 პარტორგანიზატორის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.**

მთელს მოსკოვის ორგანიზაციაში ჩატარებულმა პარტორგანოების გადარჩევამ დაგვანახვა, რომ 100-ზე მეტმა უჯრედმა არადამაკმაყოფილებლად სცნო თავისი ხელმძღვანელობის მუშაობა. მოსკოვის ორგანიზაცია კი, როგორც ცნობილია, 20-25 ჯერ აღემატება თბილისისას.

რით აიხსნება უჯრედების ასეთი დიდი პროცენტი. თბილისის ორგანიზაციაში, რომელთაც არადამაკმაყოფილებლად სცნეს თავიანთი მუშაობა? რა თქმა უნდა, არა იმით, რომ მოსკოვის ორგანიზაციაში თვით კრიტიკა და შინაპარტიული დემოკრატია უფრო ნაკლებად იყოს განვითარებული, ვიდრე თბილისისაში, არამედ ყველაზე უფრო იმით, რომ ჩვენი ძირეული პარტორგანოები მართლაც ცუდად მუშაობდნენ, ვერ ეწყობოდნენ ცხოვრების მოთხოვნილებებს, ვერ იჩენდენ სოციალისტური მშენებლობისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევის უნარს იმ პუნქტში, სადაც პარტიამ ისინი დააყენა. მათ ვერ გამოართვეს პარტიის ნდობა, რის გამო პარტიულმა მასამ ისინი სათანადოთ დასაჯა. ეს უნდა აიხსნას სუსტი შინაპარტ. მუშაობით წარსულში რომლის საფუძველს წარმოადგენდა ის სისტემა, ის ორგანიზაციული აგებულება, ის შინაპარტიული რეჟიმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისის ორგანიზაციაში ძველი ხელმძღვანელობის დროს.

ამიტომაც თბილისის ორგანიზაციამ განსაკუთრებით დიდი გააფთრება გამოიჩინა არა მარტო ხელმძღვანელების და „მთავარი ატამანების" წინააღმდეგ, არამედ ადგილებზე ამ ბოროტების კონკრეტულ მატარებელთა წინააღმდეგაც. კერძოდ, კომუნალური ბანკის უჯრედმა ბოლშევიკურად დაუშილა გვერდი პატარა ატამანს ამხ. ქაჯაიას. უჯრედმა ყურადღება მიაქცია ამ ატამანის ცალკე პრაქტიკულ გამოსვლებს და მოქმედებას. მაგრამ რადგან მას ზურგს უმაგრებდნენ ცალკე ყოფილი ხელმძღვანელები, ის ყოველთვის უვნებელი რჩებოდა, ბოლო თვითკრიტიკას ახშობდენ.

მისი პარტიული სახის ნათელსაყოფად დამახასიათებელია ერთი დოკუმენტი, რომელიც რაიმე განმარტებას არ საჭიროებს. აი, ამხ. ქაჯაიას დახასიათება: „ქაჯაია, აკაკი სპირიდონის-ძე პარტიის წევრი 1918 წლიდან, ბანკის გამგეობის წევრი. იდეოლოგიურად მტკიცე ბოლშევიკი, კარგი ხელმძღვანელი და ადმინისტრატორი, გადახრებში არ არის შემჩნეული, აქვს სწორი ბოლშევიკური ხაზი. ახასიათებს მტკიცე ნებისყოფა და შეუპოვრობა. მისამართი: ლენინის ქ. 42".

და როგორ ფიქრობთ, ვინ იძლევა ამ დახასიათებას? ხელს აწერენ: „გამგეობის წევრი ა. ქაჯაია.

უჯრედის მდივანი თენეიშვილი".

ქვემოდ: „ადგილკომის თავმჯდომარე". არ არის ხელმოწერილი.

(ოქმი № 5, 1931 წ. 4 ივნისი)

როგორც ხედავთ, ქაჯაიას ახასიათებს არა მარტო მტკიცე ნებისყოფა და შეუპოვრობა, არამედ, მეტი რომ არა ვსთქვათ, „ერთგვარი" ყოყოჩობაც.

სრულიად არ არის გასაკვირი, ამიტომ, რომ უჯრედთა მდივნების, უჯრედთა ბიუროების და ძირეული. პარტიული რგოლების შემადგენლობა ძალზე განახლდა —შესაბამისად — 41,2 პროც. 59 პროც და 82,8 პროცენტით.

დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს კომუნისტ-დამკვრელთა გადაჭრით ჩაბმა ხელმძღვანელობაში, რაც მოხდა ძირეული პარტორგანოების გადარჩევის შედეგად, მუშების რიცხვი უჯრედთა ბიუროების და მდივნების შემადგენლობაში უდრის შესაბამისად—74,4 პროც., და 80,8 პროც., წარმოების მუშების რიცხვი —48,8 პროც. და 49 პროც. ამავე დროს განსაზღვრულ წარმატებას მივაღწიეთ აგრეთვე ძირეული პარტორგანოების ხელმძღვანელობაში ქალების და კომკავშირელ - პარტიულების ჩაბმის მხრით.

საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ხელმძღვანელ ორგანოებში არჩეულ იქნა ახალი ხალხი, რომელიც პარტიაში შევიდა 1927 წელს და უფრო გვიან. მათგან ბევრი დამკვრელია. ამ ამხანაგებმა, თუმცა ისინი არც ისე დიდი ხანია პარტიაში არიან, თავიანთ მხრებზე გადაიტანეს და მათ ახლაც გადააქვთ ბრძოლა ჩვენი სატრანსპორტო და სამრეწველო საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ეს ცნობები გვიჩვენებენ იმ წარმატებებს, რომლებსაც თბილისის ორგანიზაციამ ამ მოკლე პერიოდში მიაღწია ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის და შინაპარტიული დემოკრატიის განმტკიცების მხრით.

ამ მიღწევებთან ერთად, თბილისის ორგანიზაციის ცალკე რგოლებში ადგილი ჰქონდა თვითკრიტიკის ჩახშობის ელემენტებს (ა.-კ. კომუნივერსიტეტი, დეპო და სხ.), შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევას (საფაბრიკო - საქარხნო სასწავლებელი, 26 კომუნარის სახელობის რაიონში), „მომენარეხეო" ხასიათის გამოსვლებს გათანაბრების შესახებ (დეპოს სავაგონო პარკი), და სხვა.

მუშათა კლასის მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის საფუძველზე

ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლამ, მთელი მუშათა კლასის ყურადღების მობილიზაციამ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო უზრუნველყო თბილისის მუშათა კლასის მაღალი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა. ზემდგომ პარტიულ კომიტეტების მიერ ქვედა საფეხურის პარტორგანოების გადარჩევის შესახებ მიღებულ დადგენილებათა დასამუშავებლად მოწვეულ კრებებს დაესწრო 19.029 უპარტიო, რაც აბსოლიუტური ციფრით შეადგენს უფრო მეტს, ვიდრე პარტიისა და კომკავშირის იმ წევრთა საერთო რიცხვი (18.440), რომლებიც დაესწრენ ამ კრებებს. ძირეული პარტრგოლების და უჯრედების ბიუროების საგადარჩევო კრებებს დაესწრო პარტიის და კომკავშირის 10.084 წევრი (64,1 პროც.) და 18.464 მუშა (55,8 პროც.).

მარტო დეკემბერში 1650 მუშამ შემოიტანა განცხადება კომპარტიის რიგებში მიღების შესახებ.

პარტიის ზემდგომ ორგანოების დირექტივებს იმის შესახებ, რომ საჭიროა მუშათა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამოაშკარავების გაძლოლა და ამ ინიციატივის გამოყენება ამხ. სტალინის მითითებათა და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, თბილისის ორგანიზაცია გამოეხმაურა მასიური მოძრაობის გაშლით შრომის სოციალისტური ფორმებისათვის (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა), შრომის ისეთი უმაღლესი ფორმებისათვის, როგორიცაა სამეურნეო ანგარიშზე ბრიგადები და სხვ.

საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის დროს თბილისში მოეწყო 522 დამკვრელი ბრიგადა, რომლებშიაც ჩაბმულია 5132 მუშა, ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 3463 მუშა. მოეწყო 181 სამეურნეო ანგარიშის ბრიგადა, სადაც 1666 კაცია, ინდივიდუალურ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია 141 დაზგა.

შრომის სოციალისტური ფორმებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ათასობით ჩაბმული მუშები ცხადათ გვაძლევენ იმის ნიმუშებს, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ სატრანსპორტო და სამრეწველო - საფინანსო გეგმის არა მარტო რიცხვობრივი, არამედ აგრეთვე ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების და თვითღირებულების შემცირებისათვის.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ზოგიერთი ბრიგადის და ცალკე ამხანაგების მუშაობა, რომლებმაც საანგარიშო -საგადარჩევო კამპანიის დროს თავი გამოაცხადეს სოციალისტური მშენებლობის დამკვრელებად.

ამ მხრით უეჭველად დიდ ინტერესს წარმოადგენს ამხ. **პროხოროვის** (26 კომუნარის სახ. ქარხანა). მანქანათმშენებლობის ბრიგადა. იგი შესდგება 7 მუშისაგან, მოეწყო როგორც დამკვრელი ბრიგადა 1931 წლის 1 მაისს. პარტიულობის მიხედვით 3 კომუნისტი, 2 კომკავშირელი და 2 უპარტიოა. თვითონ ამხ. პროხოროვი პარტიულია. ამხ. პროხოროვის ბრიგადამ 1931 წ. ოქტომბერში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 65 პროცენტით (ნაწილობრივ ნედლეულის უქონლობის გამო), ნოემბერში შეასრულა 95 პროც.-ით, მაგრამ დახარჯა 7 პროც.-ით უფრო მეტი დრო, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო გეგმით. ბრიგადას ჰქონდა 7 საათის დაგვიანება. დეკემბერში, ძირეული პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით, ბრიგადა გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე. ბრიგადაში მოეწყო პარტჯგუფები. ბრიგადებმა გააჩაღეს ენერგიული მუშაობა, სრულიად მოსპეს სამუშაო დღეების გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევები, დაიწყო გარდატეხა. **დეკემბრის გეგმა ბრიგადამ შეასრულა 100 პროცენტით და ერთი თვის განმავლობაში მოგვცა 49 მანეთის ეკონომია საწარმოო მასალის ხაზით და 618 მან. 66 კაპ. ეკონომია ხელფასის დარგში. ბრიგადის წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ მუშაობაში.**

ავიღოთ მეორე მაგალითი ამხ. **ბაღდასაროვის** სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ დაზგის შესახებ (26 კომუნარის სახ. ქარხნის სახარატო საამქრო).

საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით, ხარატი ბაღდასაროვი შევიდა პარტიაში და თავისი დაზგა გადაიყვანა სამეურნეო ანგარიშზე 1931 წლის დეკემბრიდან. მიცემული დავალებანი ამხ. ბაღდასაროვმა შეასრულა 134 პრ. ამასთან მთელი მუშაობა გეგმით დაწესებულ 600 საათის ნაცვლად შეასრულა 382 საათში, რისთვისაც მიიღო პრემია 59 მანეთი. დაზგის რემონტისათვის მუშაობის პროცესში დაზიანების დროს გეგმით გათვალისწინებულია 30 მანეთი, მაგრამ ამხ. ბაღდასაროვმა დაზგა შეინარჩუნა სრულიად დაუზიანებლად და ამრიგად მოგვცა 20 მან. ეკონომია, რისთვისაც იგი დაჯილდოებულ იქმა 10 მანეთით. ამხ. ბაღდასაროვს დეკემბრის განმავლობაში არ მიუღია წუნდებული საქონელი, ამისათვისაც მან ჯილდოთ მიიღო 2 მან. 50 კაპ. ბაღდასაროვს არ გაუცდენია არც ერთი სამუშაო დღე, დაჯილდოებულია და წარმოადგენს სამაგალითო დამკვრელ და კარგ საზოგადოებრივ მუშაკ როგორც საამქროში, ისე მთელს ქარხანაში.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ მაგალითები უპარტიო ბრიგადირების ამხ. **ეფიმოვის** (სერგო ორჯონიკიძის სახ. ქარხნის შემკრებ ზეინკლების ბრიგადა) და **დგებუაძის** (სარემონტო ქარხნის შემკრები საამქრო) სანიმუშო მუშაობის შესახებ.

მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც საკმაოდ ცხადათ მოწმობენ, თუ როგორი მიღწევების და როგორი ეფექტის მიღება შეიძლება შრომის უმაღლესი სოციალისტური ფორმებისათვის გაჩაღებული ბრძოლის სწორი ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის დროს. ამხ. ბაღდასაროვმა, პროხოროვმა, ეფიმოვმა და დგებუაძემ სავსებით დაიმსახურეს, რომ მათ იცნობდეს თბილისის მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა, როგორც მოწინავე მებრძოლებს დიადი სოციალისტური მშენებლობისათვის.

ამ პერიოდში გაიზარდა აგრეთვე ახალგაზრდობის შრომითი ენტუზიაზმი.

ამხ. **მორიტის** (სარემონტო ქარხანა) ბრიგადის მუშაობა, რომელიც შესდგება ახალგაზრდა მუშებისაგან, გვიჩვენებს იმის ნიმუშს, თუ როგორაა საჭირო ბრძოლა სატრანსპორტო - საფინანსო გეგმის რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის.

1928 წლის დასაწყისში თბილისის სარემონტო ქარხნის სამგზავრო ვაგონების საამქროში გამოიყო პატარა ბრიგადა ამხ. **მორიტის** ხელმძღვანელობით. ეს ბრიგადა შესდგებოდა 12 ახალგაზრდა მუშისაგან, და იგი იყო პირველი ბრიგადა, რომელმაც გადაამოისროლა სოცშეჯიბრების ლოზუნგი. ამ ქარხანაში. მღებავთა ჯგუფები და საამქროს ადმინისტრაცია უარყოფითად უყურებდენ ამ ბრიგადის შექმნას. ამავე დროს **მორიტის** ბრიგადამ ყველა სამუშაოთა ღირებულება შეამცირა 5 პროცენტით და შეჯიბრებაში გამოიწვია მღებავთა დანარჩენი ჯგუფები, სავაგონო საამქრომ 1930 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმა ვადამდე შეასრულა, ხოლო საუკეთესო მწრიგადათ საამქროში აღიარებულ იქნა ამხ. **მორიტის** პირველი ბრიგადა, რომელმაც მიიღო გარდამავალი ჯილდო. 1931 წლის დამლევს ბრიგადა გადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშზე. დეკემბერში ბრიგადამ მოგვცა 901 მან. და 26 კაპ. ეკონომია მასალის ხარჯვაში და 114 მან. 71 კაპ. მუშა-ხელის ხაზით, ამასთან სამრეწველო - საფინანსო გეგმა შეასრულა 113 პროც.-ით.

გარდა ამისა, ბრიგადამ შეიტანა მთელი რიგი სასარგებლო სარაციონალიზაციო წინადადებანი, რომლებიც წლიურად გვაძლევენ 2 ნახ. ათასი მანეთის ეკონომიას. ამჟამად ბრიგადა ჩაება საკავშირო კონკურსში ახალგაზრდობის საუკეთესო ბრიგადისათვის და იბრძვის გეგმის რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საანგარიშო საგადარჩევო კამპანიის დროს შემოვიდა 880 სარაციონალიზაციო წინადადება, მოეწყო 191 ბრიგადა ჩვენი საწარმოოთა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, [illegible]. ამ ბრიგადებში 707 დამკვრელი მუშაა, გარდა ამისა მოეწყო ტეხნიკური დახმარების 78 წრე, რომლებშიაც ჩაბმულია 1645 კაცი. ბოლოს, თბილისის მუშათა კლასის შრომითი ენტუზიაზმის ზრდამ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის დროს [illegible] გამოხატულება ჰპოვა ტრანსპორტისა და მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებაში მე-4 კვარტალის მანძილზე, ვინაიდგან თუ ავიღებთ საერთო პროდუქციის გამოშვების პროცენტს

---

*) წერილი წარმოადგენს თბილისის კომიტეტის პლენუმზე გაკეთებული მოხსენების გადამუშავებულ სტენოგრამას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის ორგანიზაციის შესახებ კოლმეურნეობებში 1932 წელს

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქცია

1931 წელს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საქმეში ადგილი ჰქონდა მრავალ ნაკლს, რომელთაგან უმთავრესია შემდეგი:

ა) მთელ რიგ კოლმეურნეობებში სანარდო სისტემა ფორმალურად იყო გატარებული;

ბ) სათანადოდ არ იყო დაყენებული აღრიცხვის საქმე, კოლმეურნეობათა საგრძნობ ნაწილში შრომის აღრიცხვა სწარმოებდა არა ნამუშევარის რაოდენობისა და ხარისხის, არამედ ნამუშევარი დროის (დღეების, საათების) მიხედვით;

გ) არ იყო მოგვარებული მუშა-ხელის განაწილება და ბრიგადების ორგანიზაცია (არსდებოდა ბრიგადები: კომლობრივი, ნათესაობის მიხედვით, სოციალური ნიშნით, ტერიტორიალური და სხვა);

დ) საწარმოო საშუალებათა (ინვენტარი, იარაღ-მანქანები, მუშა-საქონელი, საწარმოო ნაკვეთები) გამოყენებაში გაბატონებული იყო გაუპიროვნება;

ე) შრომის აღრიცხვისა და შემოსავლის განაწილების საქმეში ზოგან ადგილი ჰქონდა „გათანაბრებას“ და სხვა.

კოლმეურნეობათა საორგანიზაციო - სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცების უზრუნველსაყოფად და ჩამოთვლილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად შრომის ორგანიზაციის სისტემა კოლმეურნეობებში 1932 წ. უნდა გარდაიქმნას შემდეგ საფუძველზე.

I. ბრიგადების შესახებ

1. საკავშირო კ.პ. (ბ) ცეკას 1932 წ. 4 თებერვლის დადგენილებასთან შეფარდებით კოლმეურნეობა მთელ თავის ფართობს ჰყოფს დარგების მიხედვით, ხოლო დარგების შიგნით საწარმოო ნაკვეთებად, არკვევს ამ ნაკვეთებისათვის საჭირო მუშა-ხელის რაოდენობას, იარაღ-მანქანებს და გამწევ ძალას სეზონების და თვეების მიხედვით წლიური საწარმოო გეგმის და სამუშაო გეგმების საფუძველზე.

2. ნაკვეთების სიდიდის და მთავარ კულტურების მიხედვით იქმნება დარგობრივი საწარმოო ბრიგადები კოლმეურნეთა მუდმივი შემადგენლობით, იმ ანგარიშით, რომ, როგორც წესი, ასეთი ბრიგადები განსაზღვრულ ნაკვეთებზე ასრულებდენ ყველა სას.-სამ. სამუშაოებს მთელი სას.-სამ. წლის განმავლობაში.

3. ბრიგადების რაოდენობა და სიდიდე განისაზღვრება სას.-სამ. დარგის ხასიათით, საწარმოო ნაკვეთებისა და საწარმოო დავალებათა სიდიდით, იმ ვარაუდით, რომ ბრიგადების შემადგენლობა 30 კაცს არ აღემატებოდეს.

4. მუდმივი შემადგენლობით შექმნილ ბრიგადებს კოლმეურნეობის გამგეობა ამაგრებს საწარმოო ნაკვეთებზე სას.-სამ. სამუშაოთა მთლიანად შესასრულებლად, საჭირო რაოდენობის იარაღ-მანქანებზე და მუშა-საქონელზე.

5. ბრიგადებისათვის მიწის ნაკვეთებზე მიმაგრების დროს დაცულ უნდა იქნას ისეთი წესი, რომ საწარმოო ნაკვეთები არ იყოს მეტისმეტად დაქუცმაცებული, რაც იწვევს გადასვლა-გადმოსვლაზე დროის უნაყოფოდ დახარჯვას.

6. ადგილობრივი პირობების, კოლმეურნეობის სიდიდის, მისი ორგანიზაციულად მოწყობის და დარგებისათვის სეზონობით საჭირო მუშა-ხელის რაოდენობის მიხედვით დასაშვებია, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა განსაზღვრულ პერიოდებში (ხვნა, თოხნა, მოსავლის აღება, თივის აღება, საკვების დასილოსება, მეაბრეშუმეობა და სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა სხვა სეზონური სახეები) მოეწყოს აგრეთვე სეზონური ბრიგადები, რომლებიც მიმაგრებულ უნდა იქნან მიწის ნაკვეთებზე ამ პერიოდებისათვის.

7. მეცხოველეობის ბრიგადები იქმნება აგრეთვე დარგობრივი საწარმოო პრინციპის მიხედვით (მეცხვარეობის, მეღორეობის, მერძეობის, მეფრინველეობის და სხვა), ბრიგადების რიცხვი განისაზღვრება ფერმების ან დარგის სიდიდით, ჯოგის რაოდენობასთან შეფარდებით და ბოსლებისა და ბინების მდებარეობის მხედველობაში მიღებით.

8. ბრიგადა სავსებით პასუხისმგებელია მიცემული იარაღ-მანქანების და გამწევი ძალის მოვლისათვის, გამოყოფილ ნაკვეთების დამუშავებისა და აგრო-ტეხნიკური დავალებათა შესრულებისათვის.

9 „კოლმეურნეთა შრომა დღის შეფასება უნდა გადიდებულ და შემცირებულ იქნას იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებით მუშაობს ბრიგადა“ (საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილებიდან). ამასთან შეფარდებით, როგორც წესი, ბრიგადებს, დასახულ აგრო-ღონისძიებათა და საწარმოო დავალებათა დაწესებულ ვადაზე ადრე ან დაგვიანებით შესრულებისათვის და ამ დავალების ხარისხობრივ მაჩვენებელთა შესრულების ან შეუსრულებლობის მიხედვით, დამატებით დაერიცხებათ ან შეუმცირდებათ შრომა-დღეები.

10. ბრიგადების შიგნით კოლმეურნეთა დანაწილებას ჯგუფად, ამ ჯგუფებისათვის და ცალკე კოლმეურნეთათვის ჯგუფში საწარმოო დავალებათა მიცემას, კოლმეურნეთა შორის იარაღ-მანქანების, ინვენტარის და მუშა-საქონლის განაწილებას აწარმოებს ბრიგადირი.

11. მუშა-საქონლის და ინვენტარის მოვლისათვის ბრიგადის შიგნით უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან ის კოლმეურნეები, რომლებიც ამ პირუტყვით და ინვენტარით მუშაობენ.

12. ბრიგადაზე მიმაგრებულ იარაღ-მანქანებს, მუშა-საქონელს, თესლს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვ. კოლმეურნეობის გამგეობა აბარებს ბრიგადირს განსაკუთრებული აღწერილობით, რომლის ერთი ცალი ინახება ბრიგადირთან, ხოლო მეორე კოლმეურნეობის გამგეობაში.

13. ბრიგადისათვის მისაცემ საწარმოო დავალებაში კოლმეურნეობის გამგეობამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს და აღნიშნოს:

ა) შესასრულებელ სამუშაოთა სახეები და სიდიდე (განსაზღვრული ფართობის მოხვნა, დათესვა, გათოხნა, მოსავლის აღება და სხვა);

ბ) დავალებულ სამუშაოთა თვითეული სახის დაწყების და დამთავრების ვადა;

გ) ცალკე კულტურების და სამუშაოთა თვითეული სახის შესრულების აგრო-საწარმოო მოთხოვნები და ხარისხი (მისაღებ მოსავლის სიდიდე, მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავალი, მოხვნის, გათოხნის, მორწყვის ხარისხი და სხვა);

დ) გამომუშავების ნორმები თვითეული სახის სამუშაოზე;

ე) თვითეული სახის სამუშაოს შეფასება შრომა-დღეებში და იმ შრომა-დღეების რაოდენობა, რაც უნდა დაერიცხოს ბრიგადას საწარმოო დავალების შესრულებისათვის.

14. საწარმოო დავალებასთან შეფარდებით კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია შეარჩიოს ბრიგადების შემადგენლობა იმ ანგარიშით, რომ ბრიგადა უზრუნველყოფილ იქნას სათანადო კვალიფიკაციის მუშაკებით.

15. საწარმოო ბრიგადების შექმნის და მათი შემადგენლობის შერჩევის დროს ანგარიშში უნდა ვაქციოთ კოლმეურნეთა ტერიტორიალურ სიახლოვეს, მაგრამ არ უნდა იქნას დაშვებული ბრიგადების შედგენა ტერიტორიალური პრინციპის (კომლობრივი ბრიგადები), სოციალური ფენების (მოჯამაგირეთა, ღარიბთა, საშუალო გლეხთა ბრიგადები) ან ნათესაობის მიხედვით.

II. ბრიგადირების შესახებ

1. შრომის ორგანიზაციის სწორად დაყენების და ბრიგადის წევრთა რაციონალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობის გამგეობამ ბრიგადირებად უნდა შეარჩიოს აქტიური დამკვრელი კოლმეურნეები, რომელთაც აქვთ ყველაზე მეტი სამეურნეო გამოცდილება, ავტორიტეტი და შეუძლიათ დარაზმონ კოლმეურნეები საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

2. ამასთან შეფარდებით კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია:

ა) ორი კვირით ადრე თესვის კამპანიის დაწყებამდე დაამთავროს კოლმეურნეობის ფართობის საწარმოო ნაკვეთებად დაყოფა, ბრიგადების მოწყობა და ბრიგადირთა დანიშვნა;

ბ) დაწვრილებით გააცნოს ბრიგადირს საწარმოო დავალებანი, მიუთითოს საწარმოო ნაკვეთები და გადასცეს საჭირო იარაღ-მანქანები, თესლი, მუშა-საქონელი და სხვა;

გ) გააცნოს და განუმარტოს ბრიგადირებს შრომადღეების დამატებით დარიცხვის და დაკლების წესები;

დ) მისცეს ბრიგადაში შემავალ კოლმეურნეთა რიცხვის მიხედვით საჭირო რაოდენობის შრომის წიგნაკები და შრომის აღრიცხვის დანარჩენი ფორმები და

ე) დაწვრილებით განუმარტოს მათ აღნიშნული ფორმების შევსების ვადები და წესები.

3. ბრიგადირთა დანიშვნა ან მოხსნა უნდა ხდებოდეს მხოლოდ კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებით.

4. კოლმეურნეობის გამგეობამ პერიოდულად უნდა მოიწვიოს ბრიგადირები საწარმოო თათბირებზე, გაუწიოს მათ ინსტრუქტაჟი მეურნეობის ყველა საკითხებზე და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს მიცემულ საწარმოო დავალებათა შესრულების საქმეში.

5. საწარმოო დავალების მიღების შემდეგ ბრიგადირი ვალდებულია მუშაობის დაწყებამდე ჩაატაროს საწარმოო თათბირი ბრიგადაში შემავალ ყველა კოლმეურნეთა მონაწილეობით, რომელზედაც უნდა განიხილოს ბრიგადის საწარმოო დავალება და ღონისძიებანი მისი წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად, გაანაწილოს ბრიგადის წევრთა შორის მოვალეობა, მუშა-საქონელი და ინვენტარი და მისცეს კოლმეურნეთა თვითეულ ჯგუფს საწარმოო დავალება მთელი პერიოდისათვის.

6. ბრიგადირი, როგორც წესი, განთავისუფლებული არ უნდა იყოს ფიზიკურ სამუშაოდან, ხოლო ბრიგადირის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულ დატვირთვის გამო მას კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებით დამატებით დაერიცხება მის მიერ ფაქტიურად გამომუშავებულ შრომა-დღეების რაოდენობაზე 20-დან 30 პროცენტამდე.

ბრიგადის მიერ საწარმოო დავალების წარმატებით შესრულების ან შეუსრულებლობის მიხედვით ბრიგადირს გაუდიდდება ან შეუმცირდება გამომუშავებული და დარიცხული შრომა-დღეების მთელი რაოდენობა საწარმოო დავალების გადაჭარბების ან შეუსრულებლობის პროცენტის შეფარდებით.

III. სანარდო მუშაობის შესახებ

1. ტეხნიკურ კულტურების, მრავალწლიან ნარგავების და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის პროდუქციის ზრდის, თესვის ვადების შემოკლების, აგრო და ზოოტეხნიკურ ღონისძიებათა ფართოდ გამოყენების, ნათესი ფართობების უკეთესად დამუშავების და პროდუქტიულ პირუტყვის მოვლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მუშაობის სანარდო სისტემა კოლმეურნეობებში აგებულ იქნას შემდეგ საფუძვლებზე:

ა) ყველა ისეთ სამუშაოებზე, სადაც კოლმეურნეს საქმე აქვს უშუალოდ პროდუქციის მიღებასთან (ლეწვა, ბამბის მოსავლის აღება, ჩაის ფოთლის კრეფა, თამბაქოს ფოთლის შეტენვა და ანეშვა, ხილის და ყურძნის კრეფა, ბოსტნეულის აღება, ძროხების და ცხვრების წველა, წიწილების გამოყვანა, მატყლის პარსვა და სხვა), ნამუშევრის შეფასება უნდა ხდებოდეს გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით; ამასთან მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სამუშაოთა შესრულების ვადა, გამომუშავების ნორმების შესრულება, დანაკარგების თავიდან აცილება და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლები;

ბ) მუშაობის იმ ცალკეული პროცესების დროს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არ არიან პროდუქციის მიღებასთან, ნამუშევრის შეფასება უნდა ხდებოდეს ჰექტარების, პირუტყვის და სხვ. რაოდენობაზე, ხოლო ამასთან აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას დაწესებულ აგრო და ზოოტეხნიკურ ღონისძიებათა გატარება.

2. პრაქტიკულად ეს შემდეგი გზით ხორციელდება:

1) სანარდო მუშაობა ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის მიღებასთან:

ა) **მემინდვრეობაში** — ყველა კულტურების მოსავლის აღების დროს (პურის ლეწვა, სიმინდის, სოიას, ლობიოს და სხვ. ცეხვა, კარტოფილის და ჭარხლის ამოღება და სხვა) ნამუშევრის შეფასება ხდება იმ პროდუქციის მიხედვით (ცენტნერებში), რაც მიღებულია დაწესებულ ვადებში და დაუზიანებლად;

ბ) **მევენახეობასა და მებაღეობაში** — მოკრეფილი ყურძნის და ხილის წონის მიხედვით და პროდუქციის ხარისხის მხედველობაში მიღებით;

გ) **მებოსტნეობაში** — აღებული ბოსტნეულის რაოდენობისა (ცენტნერებით, კალობით და სხვა) და ხარისხის მიხედვით;

დ) **მებამბეობაში** — ბამბის აღების დროს — აღებული ბამბის წონის მიხედვით, სათანადო ხარისხის დაცვით;

ე) **ჩაის კულტურაში** — მოკრეფილი ჩაის ფოთლის და მიღებული თესლის წონის მიხედვით, სათანადო ხარისხის გათვალისწინებით;

ვ) **მეთამბაქოეობაში** — თამბაქოს ფოთლის შეტენვის დროს: ანესხილ ზონრების მიხედვით და პროდუქციის ხარისხის მხედველობაში მიღებით;

ზ) **თივის აღების დროს** — თივის იმ რაოდენობის მიხედვით (ცენტ., ზვინები, ურმები და სხვა), რაც აღებულია დაწესებულ ვადებში მშრალად და გაუფუჭებლად;

თ) **მეცხოველეობაში** — მერძეობის ფერმაში: მოწველილი რძის რაოდენობის, გაზრდილი ხბოების რაოდენობის და საქონლის ცოცხალი წონის ნამატის მიხედვით.

ი) **სახბოვე ფერმებში** — გაზრდილი ხბოების რაოდენობის და მათი წონის ნამატის მიხედვით;

კ) **მეცხვარეობაში** — მოპარსული მატყლის რაოდენობის (ცენტნერებში), მიღებულ ხორცის რაოდენობის, მოზარდი ცხვრების ნამრავლის და მოწველილი რძის რაოდენობის მიხედვით;

ლ) **მეღორეობაში** — გაზრდილი გოჭების რაოდენობისა და ხარისხის, ღორების წონის ნამატის და სიმსუქნის მიხედვით;

მ) **მეფრინველეობაში** — კვერცხების და გაზრდილი წიწილების რაოდენობის და ხორცის ნამატის მიხედვით და სხვა.

2) სანარდო მუშაობა ისეთ სამუშაოზე, რომლებიც უშუალოდ არაა დაკავშირებული პროდუქციის მიღებასთან

ა) **ხვნაზე, ზარვაზე და მიწის გადაბრუნებაზე** (პლანტაჟი) სამუშაოთა შეფასება უნდა ხდებოდეს ჰექტარების მიხედვით აგროტეხნიკურ დავალებათა შესრულების აუცილებლივ გათვალისწინებით (მოხვნის და დაბარვის სიღრმე, უხარვეზობა, შესრულების ვადა, გამომუშავების ნორმები);

ბ) **ფარცხვაზე** — შეფასება ხდება ჰექტარობით, ნამუშევრის ხარისხის აუცილებლად გათვალისწინებით (ბელტების დაფხვნა, დაფარცხვის სისწორე, სიწმინდე და სხვა);

გ) **თესვაზე** — შეფასება ხდება ჰექტარობით, თესვის ვადების, სათესი ნორმების, თესლის დახარჯვის, ჩათესვის სიღრმის, დათესვის თანაბრობის მხედველობაში მიღებით;

დ) **სათოხნი და ტეხნიკური კულტურების თესვაზე** — შეფასება ხდება ჰექტარობით, მწკრივთა შორის დასატოვებელი ზოლის დაწესებული სიფართოვის შესრულების, მწკრივების წესიერი მიმართულების დაცვის, თესვის ვადებისა და ნორმების შესრულების მხედველობაში მიღებით;

ე) **ბაღის და ვენახის გაშენებაზე** — დარგული ძირების რაოდენობის მიხედვით, დარგვის სიღრმის, სისწორის, მწკრივებს შორის სათანადო მანძილის დაცვის და სხვა მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით;

ვ) **ბოსტნეულის დარგვის დროს** — შეფასება ხდება ჰექტარობით, დარგვის ნორმების შესრულების, კვალებს შორის თანაბარი მანძილის დაცვის (შემოწმება ხდება ამოსვლის შემდეგ), განსაზღვრულ სიღრმეზე დარგვის და სწორი კვლების გაყვანის მხედველობაში მიღებით;

ზ) **გადასარგავი კულტურების** — (თამბაქო, ბამბა, თუთა, რამი და სხვა) გადარგვის დროს — შეფასება ხდება ჰექტარზე გადარგული და გახარებული ნერგების რაოდენობის მიხედვით, ნერგებს შორის სათანადო მანძილის დაცვის, მწკრივების წესიერად გაყვანის და სამუშაოთა ვადაზე შესრულების მხედველობაში მიღებით;

თ) **თოხნის დროს** — სამუშაოთა შეფასება ხდება ჰექტარების მიხედვით, ნამუშევრის ხარისხის მხედველობაში მიღებით (გათოხნის სიწმინდე, გათოხნის შესრულება და დაწესებულ ვადებში, სარეველა ბალახების მოსპობა, მცენარეთა დაუზიანებლობა და სხვა);

ი) **მარცვლეული კულტურების აღების დროს** — (თიბვა, მკა) შეფასება ხდება ჰექტარების მიხედვით, სამუშაოთა ვადაზე შესრულების, თავთავების ჩაუბნევლობისა და მინდვრად დაუტოვებლობის, მომკის სიწმინდის მხედველობაში მიღებით.

3. მოსავლიანობის აწევის და პროდუქციის გამოსავლის გადიდების, დაწესებულ აგრო და ზოოტეხნიკურ ღონისძიებათა წარმატებით გატარების და სამუშაოთა ვადების შემცირების უზრუნველსაყოფად დაწესდეს ბრიგადების და კოლმეურნეების მიერ გამომუშავებულ შრომა-დღეების გადიდება და შემცირება:

ა) სამუშაოთა ვადამდე და ვადაზე შესრულებისა და გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის შრომადღეების დამატებით დარიცხვა ფაქტიურად გამომუშავებულ შრომა-დღეების 15-დან 25 პროც. რაოდენობით, მიცემულ დავალებათა ხასიათის, სიდიდისა და მნიშვნელობის მიხედვით;

ბ) თესვის, დამუშავების და მოსავლის აღების ვადების და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეუსრულებლობისათვის ფაქტიურად გამომუშავებული შრომა-დღეების დაკლება 15-დან 25 პროც. ამ დაკლების იმ კოლმეურნეებზე დაკისრებით, რომლებსაც უშუალოდ მიუძღვით ბრალი სამუშაოს შესრულების ვადის დაგვიანებაში.

4. მოსავლის მდგომარეობის საბოლოოდ გამორკვევის დროს იმ ბრიგადებს, რომელთა ნაკვეთებზე მიღებულია გეგმით გათვალისწინებულზე უფრო მაღალი მოსავალი, დამატებით დაერიცხებათ შრომა-დღეები, ხოლო იმ ბრიგადებს, რომელთა ნაკვეთებზე ცუდი მუშაობის გამო მიღებულია გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლები მოსავალი, უმცირდებათ შრომა-დღეები, გეგმით გათვალისწინებული მოსავლის გადიდების ან შემცირების შეფარდებით.

5. მოსავლის აღების დაწყების წინ კოლმეურნეობის გამგეობა ხორბლეულ კულტურების გასასინჯი გალეწვის განსაზღვრულ საკონტროლო ნაკვეთზე სხვა კულტურების მოსავლის აღების გზით აწესებს ერთ ჰექტარზე ასაღებ პროდუქციის სიდიდეს (ცენტნერებში), რაც წარმოადგენს საკონტროლო დავალებას მოსავლის აღებისათვის.

IV. სანარდო, მუშაობის სახეების შესახებ

1. კოლმეურნეობათა პრაქტიკულ მუშაობაში მიღებული და შემოწმებული გამოცდილების მიხედვით სანარდო მუშაობა ძირითადად უნდა ტარდებოდეს წვრილ-ჯგუფური და ინდივიდუალური წესით. სანარდო მუშაობის ამ სახეების გამოყენება სხვადასხვა დარგებსა და სამუშაოებში უნდა ხდებოდეს შესასრულებელ სამუშაოთა პირობების გათვალისწინებით, გათანაბრებისა და გაუპიროვნების ლიკვიდაციის წინააღმდეგ ბრძოლის მუშა-ხელისა და საწარმოო საშუალებების, რაციონალურად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების აწევის და ნამუშევარის ხარისხისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების თვალსაზრისით. ამასთან შეფარდებით ისეთი სამუშაოები, რომელთა შესრულების დროს შესაძლებელია თვითეული კოლმეურნის გამომუშავების რაოდენობისა და ხარისხის პირდაპირი აღრიცხვა მიწის ფართობის დანაწილებისა და ყოველდღიური აზომვის გარეშე, მიზანშეწონილია სრულდებოდეს ინდივიდუალური სანარდო წესით. ასეთ სამუშაოებად, მაგალითისათვის, შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: ბამბის აღება, ჩაის ფოთლის კრეფა და თესლის შეგროვება, ყურძნის და ხილის კრეფა, ვაზის მყნობა, ნერგების დარგვა, ძროხის წველა, მატყლის პარსვა, კარტოფილის ამოღება, ბოსტნეულის აღება, თამბაქოს ფოთლის შეტენვა, ანეშვა, დახარისხება და სხვა.

2. ამავე დროს არ უნდა იქნეს დაშვებული „სანარდო სისტემის ინდივიდუალური ფორმებით გატაცება იქ, სადაც ამას არ მოითხოვს, წარმოების პირობები (მაგ. ხვნასა და გალეწვაში)“ (საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილებიდან). კოლექტიური შრომის ორგანიზაციის უხეშ და დაუშვებელ დამახინჯებად უნდა ჩაითვალოს ბრიგადების გაუქმება და ცალკეულ კოლმეურნეებსა და კომლებზე განსაზღვრული ნაკვეთების მთელი წლით მიმაგრება.

3. ისეთი სამუშაოები, რომელთა ხასიათიც აძნელებს მუშა-ხელის ინდივიდუალურად განაწილებას, მის სათანადოდ დატვირთვას და თვითეული კოლმეურნის ნამუშევრის აღრიცხვას, სრულდება წვრილ-ჯგუფური სანარდო მუშაობის წესით (3—5 კაცი ჯგუფში): მემინდვრეობაში — ხვნა, თესვა, ფარცხვა თოხნა; მევენახეობაში — გასხვლა, წალმის აკრეფა, ვაზის შესხურება, შეხვევა; მებაღეობაში — გასხვლა, ძირების შემოთხრა, შეწამვლა; მეაბრეშუმეობაში — თუთის ფოთლის კრეფა, ჭიის მოვლა და სხვა.

V. გამომუშავების ნორმები

ვინაიდან სწორი გამომუშავების ნორმების, კოლმეურნეთა მიერ შესრულებულ სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის აღრიცხვის და თვითეულ სახის სამუშაოს შრომადღეებში შეფასების გარეშე არ არსებობს ნამდვილი სანარდო სისტემა, საჭიროა:

1. არა უგვიანეს 15 მარტისა ყველა კოლმეურნეობამ ყველა სახის სამუშაოზე უნდა დააწესოს გამომუშავების ნორმები, რომლებსაც საფუძვლად უნდა დაედოს საუკეთესო კოლმეურნეთა და საუკეთესო საკოლმეურნეო ბრიგადების მუშაობის გამოცდილება, ამავე დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას კოლმეურნეობებისა და ბრიგადების დახელოვნება საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციაში, ნიადაგის პირობები, სას.-სამ. იარაღ-მანქანების და გამწევ ძალის ხარისხი და სხ.

2. გამომუშავების ნორმების დაწესებაში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველა კოლმეურნემ, რისთვისაც გამგეობა აგრონომის და საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეთა მონაწილეობით ადგენს გამომუშავების ნორმებს, სავარაუდოდ მიცემული რესპუბლიკანური და რაიონული ნორმების გამოყენებით.

3. ნორმების დაწესების დროს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს როგორც დაბალი, ისე აშკარად გადიდებული ნორმების დაწესებას, რათა ამით თავიდან აცილებულ იქნეს როგორც სამუშაოთა ვადების გაჭიანურება, მოსავლიანობის შემცირება, კოლმეურნეობებში ზედმეტი მუშა-ხელის დაბანდება და შრომა-დღის გაუფასურება, ისე ნამუშევრის ხარისხის გაუარესება და საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობა.

4 გამგეობის მიერ შედგენილი გამომუშავების ნორმების პროექტი განიხილება საწარმოო თათბირებზე ბრიგადებში, გაირჩევა გამგეობის სხდომაზე და საბოლოოდ დასამტკიცებლად წარედგინება კოლმეურნეთა საერთო კრებას, რის შემდეგაც გამოკრულ უნდა იქნეს თვალსაჩინო ადგილას ყველა კოლმეურნის სახელმძღვანელოდ.

VI. სამუშაოთა შეფასება შრომადღეებში

1. მუშაობაში მეტი სტიმულის შექმნისათვის და „გათანაბრებასთან“ ბრძოლის მიზნით ყველა სახის სამუშაოები უნდა დაიყოს 5 ჯგუფად სიმძიმისა და კვალიფიკაციის მიხედვით და შეფასდეს შრომა დღეებში შემდეგი გამოანგარიშების მიხედვით:

ჯგ. 1-ლი—მსუბუქი—0.50 შრომადღე დღიური გამომუშ. ნორმაზე.

ჯგ. მე-2—საშუალო—0,75 შრომადღე დღიური გამომუშ. ნორმაზე.

ჯგ. მე-3—მძიმე მარტივი—1,0 შრომადღე დღიური გამომუშ. ნორმაზე.

ჯგ. მე-4—მძიმე, რომელიც მოითხ. სპეც. გამოცდ.—1,25 შრომადღე დღიური გამომუშ. ნორმაზე.

ჯგ. მე-5—კვალიფიკაც.—1,50 შრომადღე დღიური გამომუშ. ნორმაზე.

2. სამუშაოთა ამა თუ იმ ჯგუფზე მიკუთვნებას აწარმოებს ყოველი კოლმეურნეობა დამოუკიდებლად, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, ხოლო სავარაუდოდ შეიძლება მიღებულ იქნას შემდეგი დაჯგუფება:

ჯგ. 1-ლი მსუბუქი სამუშაოები: ხარების გაძღოლა, წალმის აკრეფა, დოის მეხრე, სიმინდის გარჩევა, ჩალის კონვა, თივის გადაბრუნება, და სხვა.

ჯგ. მე-2 საშუალო სამუშაოები: სარის ჩეჩვა, სარის დასმა, ყურძნის კრეფა, კარტოფილის დარგვა, ამოღებული კარტოფილის გადარჩევა, მოფოცხვა ცხენის ფოცხით, სილოსის მასის დატკეპნა, ბოსტნეულის აღება და დახარისხება და სხვა.

ჯგ. მე-3 მძიმე მარტივი—თოხნა, ვაზის გაფურჩქვნა, ვაზის მავთულზე შეკვლა, ძირნაყოფის ამოთხრა, ბამბის აღება, თამბაქოს ფოთლის შეტენვა და ასხმა, ღამის მეხრე, ხვნა, თესლის გაწმენდა მანქანით, ვაზის დარგვა, ვაზის დასარგავი ორმოების დამზადება, ბარვა და სხვა

ჯგ. მე-4 მძიმე, რომელიც მოითხოვს სპეციალურ გამოცდილებას. გუთნის დედა, ახოს გატეხვა, ვაზის და ხეხილის გასხვლა, ვაზის შეწამვლა, შხამ-ქიმიკატის ხსნარის დამზადება, დურგლობა, კალატოზობა, ხელით თესვა, სათეს მანქანაზე მუშაობა, ტრაქტორისტის თანაშემწეობა და სხვ.

ჯგ. მე-5 კვალიფიციური—მჭედელი, ზეინკალი, მებოსტნე, მებაღე, ტრაქტორისტ-მესაჭე, ვაზის მყნობა, უფროსი მწყემსი, ფერმის ან დარგის გამგე და სხვა.

3. სამუშაოთა ზემოაღნიშნული სავარაუდო დაჯგუფების საფუძველზე ყოველმა კოლმეურნეობამ არა უგვიანეს 15 მარტისა უნდა განიხილოს სამუშაოთა არსებული შეფასება და დააწესოს ახალი შეფასება და დაჯგუფება, თავისი მეურნეობის პირობებთან შეფარდებით.

VII. შრომის აღრიცხვა

1. ყველა კოლმეურნეობამ სანარდო მუშაობის გატარების დროს მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ „საბჭოების მე-6 ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა ნამდვილად განხორციელება, რომლებიც ეხებიან სანარდო მუშაობის გატარებას, აღრიცხვის გაუმჯობესებას და ყოველ კოლმეურნის შრომის შეფასებას მის მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, კვლავ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება“.

2. შრომადღეების გადაჭარბებული რაოდენობით დარიცხვასთან ბრძოლის მიზნით შემოღებულ უნდა იქნას შემდეგი წესი:

ა) ყოველი ბრიგადისათვის საწარმოო დავალების მიცემის დროს დავალების შესრულების ვადასთან და ხარისხთან ერთად კოლმეურნეობის გამგეობა განსაზღვრავს შრომადღეების იმ რაოდენობას, რომელზე მეტიც ბრიგადირმა არ უნდა დახარჯოს მთელ ბრიგადის მიერ შესრულებულ სამუშაოზე;

ბ) ადმინისტრატიულ-სამეურნეო პერსონალისათვის დარიცხული შრომადღეების რაოდენობა და მთელი შემოსავალი, რაც ერგება შრომადღეებზე ამ კატეგორიებს, არ უნდა აღემატებოდეს მსხვილ კოლმეურნეობებში საერთო შემოსავლის 1 ნახევარ 2 პროცენტს, ხოლო წვრილ კოლმეურნეობებში 2—3 პროცენტს.

3. კოლმეურნეთათვის შრომადღეების დაწერის დროს უნდა აღირიცხოს თვითეულ კოლმეურნის ნამუშევარის რაოდენობა და ხარისხი, რის მიხედვითაც კოლმეურნის მიერ გამომუშავებულ შრომადღეებს შრომის წიგნაკში სწერს უშუალოდ ბრიგადირი.

4. იმ ბრიგადებში, რომელნიც განსაკუთრებით რთულ სამუშაოებს ასრულებენ და აგრეთვე ისეთ ბრიგადებში, რომელთაც წერაკითხვის მცირე მცოდნე ბრიგადირები ჰყავთ, დასაშვებია ბრიგადირის დასახმარებლად გამოიყოს სპეციალური აღმრიცხველი, რომლის შრომის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს კოლმეურნეობის გამგეობა.

5. ყველა სამუშაოებზე შესრულებულ სამუშაოს აღრიცხვა უნდა ხდებოდეს ყოველ დღე, ხოლო შრომის წიგნაკებში შრომა დღეების ჩაწერა არა უგვიანეს, ვიდრე 5 დღეში ერთხელ.

6. მეცხოველეობაში კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვა ხდება ყოველ თვე, პირუტყვის წონის ნამატის გამორკვევის მიხედვით.

7. მერძეობის სასაქონლო ფერმებში მწველავების აღრიცხვა ხდება ყოველდღიურად, მოწველილი რძის რაოდენობის მიხედვით, ხოლო შრომის წიგნაკებში შრომა დღეების ჩაწერა არა უგვიანეს, ვიდრე ხუთ დღეში ერთხელ.

8. კოლმეურნეობის გამგეობის იმ წევრს, რომელიც განაგებს შრომის ორგანიზაციას, და მოანგარიშეს ევალებათ მათი პირადი პასუხისმგებლობით არა უგვიანეს შემდეგი თვის მე-5 რიცხვისა გამოიანგარიშონ კოლმეურნეობის მიერ გამომუშავებულ შრომადღეების საერთო რაოდენობა და ჩაწერონ შრომადღეების აღსარიცხავ სპეციალურ დავთარში.

9. რაიკოლმეურნკავშირმა 15 დღით ადრე სას.-სამ. სამუშაოთა დაწყებამდე უნდა უზრუნველყოს კოლმეურნეობანი შრომის აღრიცხვის საჭირო ფორმებით, ხოლო კოლმეურნეობათა გამგეობებმა დაურიგონ წევრებს შრომის წიგნაკები და არა უგვიანეს 15 მარტისა გამოიანგარიშონ და ჩაუწერონ შრომის წიგნაკებში 1 იანვრიდან 15 მარტამდე გამომუშავებული შრომადღეები.

VIII. მუშაობის ხარისხი, ბრძოლა მოსავლიანობის აწევისა და მეცხოველეობის გადიდებისათვის

1. ბრიგადის შიგნით აგრო-ზოოტეხნიკური ღონისძიებათა გატარებაში მუშაობის ხარისხისათვის პერსონალურად პასუხისმგებელია ბრიგადირი

2. ბრიგადების მუშაობის კონტროლსა და შემოწმებას აწარმოებენ კოლმეურნეობების გამგეობის წევრები საწარმოო დავალებათა უშუალოდ შესრულების (თესვა, მწკრივთა შორის დამუშავება, მოსავლის აღება, დაგროვების კამპანია, ხბოების, გოჭების მოგება) მიმდინარეობის დროს, რისთვისაც გამგეობის თვითეული წევრი მიმაგრებული უნდა იყოს ბრიგადების განსაზღვრულ რაოდენობაზე.

თესვის დამთავრებისა და ნათესის ამოსვლის შემდეგ ბრიგადებისა და ბრიგადირებისაგან შესრულებულ სამუშაოს მისაღებად და შესამოწმებლად როგორც რაოდენობის, ისე განსაკუთრებით ხარისხის მხრივ საუკეთესო კოლმეურნეთა და გამგეობის წევრთა შემადგენლობით იქმნება საკონტროლო-შემმოწმებელი კომისიები, რომელნიც სამუშაოს ადგილზე არკვევენ:

ა) შეეფერება თუ არა დათესილი ფართობის სიდიდე ბრიგადის მიერ წარმოდგენილ ცნობებს;

ბ) შეეფერება თუ არა ნამუშევრის ხარისხი და აგრო-ტეხნიკური წესები იმ დავალებებს, რომლებიც კოლმეურნეობის გამგეობას მიეცა;

გ) შეეფერება თუ არა ბრიგადირის მიერ დარიცხულ შრომადღეების რაოდენობა კოლმეურნეობის გამგეობის საკონტროლო დავალებას.

საკონტროლო-შემმოწმებელმა კომისიებმა შემოწმების შემდეგ უნდა შეადგინონ წერილობითი აქტი და თავიანთი ხელმოწერით გადასცენ კოლმეურნეობის გამგეობას.

3. იმ მოწინავე კოლმეურნეთა, ბრიგადირთა, ფერმების გამგეთა წასახალისებლად, რომელნიც იძლევიან მუშაობის საუკეთესო მაგალითებს და საუკეთესო შედეგებს სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში, ყოველ კოლმეურნეობაში, მისი სამეურნეო სიმძლავრის მიხედვით, უნდა შეიქმნას სპეციალური დასაჯილდოებელი ფონდი, საიდანაც საუკეთესო კოლმეურნეთ, შრომადღეებში შეფასების გადიდების გარდა, ეძლევათ ჯილდო არა მარტო რაოდენობითი წარმატებისათვის, არამედ უმთავრესად მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის.

IX. გარესამუშაოზე გასვლის ორგანიზაცია

1. იმ მიზნით, რომ შესრულებულ იქნას მთავრობის დავალება სოციალისტური მრეწველობის მუშა-ხელით უზრუნველყოფის შესახებ, ყველა კოლმეურნეობის გამგეობამ წლიური საწარმოო გეგმის და პერიოდულ სამუშაო გეგმის საფუძველზე უნდა გამოარკვიოს ჭარბი მუშა-ხელის რაოდენობა, რისთვისაც უნდა გაითვალისწინოს მუშა-ხელის, იარაღ-მანქანების და გამწევი ძალის მაქსიმალურად დატვირთვა და ქალთა და მოზარდთა შრომის მაქსიმალურად გამოყენება.

2. ყოველმა კოლმეურნეობამ უნდა აღრიცხოს როგორც ის კოლმეურნენი, რომელთა გარესამუშაოზე გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ისე ისინიც, რომელნიც შეიძლება გაშვებულ იქნან მთელი წლით.

3. ამის და მიხედვით, უახლოესი დროის განმავლობაში კოლმეურნეობის გამგეობამ უნდა დასდოს ხელშეკრულებები სამრეწველო საწარმოებთან, ახალშენებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვ. კოლმეურნეობის ჭარბი მუშა-ხელის გარესამუშაოზე ორგანიზაციულად გაგზავნის შესახებ და ყოველმხრივ უზრუნველყოს დადებულ ხელშეკრულებათა მთლიანად შესრულება.

4. კოლმეურნეობათა გამგეობებმა უნდა უზრუნველჰყონ განსაზოგადოებული მუშა-საქონლის და საჭირო სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალურად გამოყოფა გარე-სამუშაოზე მიმავალ კოლმეურნეთათვის.

5. ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც კოლმეურნეობათა გამგეობები კოლმეურნეთა გარე-სამუშაოზე მუშაობისათვის დამოუკიდებლად აწარმოებენ ანგარიშსწორებას სამეურნეო ორგანოებთან, ხოლო გარესამუშაოზე მყოფ კოლმეურნეებს ანგარიშს უსწორებენ შრომა-დღეებით.

სამეურნეო ორგანოები უშუალოდ უნდა აწარმოებდენ ყოველგვარ ანგარიშსწორებას გარესამუშაოზე მყოფ კოლმეურნეებთან.

6. აგრეთვე დაუშვებელია გარესამუშაოზე გასულ კოლმეურნეთა ხელფასიდან დაწესებული ანარიცხების გადიდება; ანარიცხების სიდიდის განსაზღვრის დროს კოლმეურნეობებმა მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ შემდეგით:

ა) გარესამუშაოზე გასულ კოლმეურნის ხელფასიდან არტელის საზოგადოებრივ ფონდებში გადაირიცხება 3-დან 10 პროც., მაგრამ ამ ანარიცხიდან თავისუფლდებიან ის კოლმეურნენი, რომელნიც დაკონტრაქტებულნი არიან სახელმწიფო მრეწველობაში, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, სახელმწიფო მშენებლობაზე, სამომხმარებლო და საბინაო კოოპერაციის მშენებლობაზე, ხე-ტყის დამზადებასა და დაცურებაზე და სხვ., თუ ისინი სამუშაოს არ დასტოვებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. (იხ. საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1931 წლის 30 ივნისის დადგენილება);

ბ) როდესაც კოლმეურნე გარესამუშაოზე მიდის კოლმეურნეობის მუშა-საქონლით, ხოლო საქონლის საკვებს ღებულობს სამეურნეო ორგანოდან, ან ხარჯავს თავის საკვებს, მაშინ მას შეაქვს კოლმეურნეობაში თავისი ხელფასის არა უმეტეს 30 პროცენტისა.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გარესამუშაოზე გასული კოლმეურნე სარგებლობს კოლმეურნეობის საკვებით, მას კოლმეურნეობაში შეაქვს არა უმეტეს თავისი ხელფასის 50 პროცენტისა.

X. შრომის სოციალისტური ფორმები სოც.-შეჯიბრება და დამკვრელობა

1. კოლმეურნეთა მასების შემოქმედებითი ინიციატივის და აქტივობის გაძლიერების მიზნით საჭიროა ფართოდ შთაინერგოს მუშაობის ორგანიზაციის სოციალისტური მეთოდები და მოეწყოს სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში კოლმეურნეთა მასების ფართოდ ჩაბმა.

2. კოლმეურნეობის სოცშეჯიბრებას მეორე კოლმეურნეობასთან საფუძვლად უნდა დაედვას საწარმოო გეგმა, ბრიგადის და ჯგუფის შეჯიბრებას ბრიგადასთან და ჯგუფთან — სათანადო საწარმოო დავალებები, ხოლო დამკვრელ კოლმეურნეთა აღრიცხვა უნდა ხდებოდეს დავალებების თვითეულ კოლმეურნემდე ინდივიდუალურად დაყვანის საფუძველზე. ამასთან დასახულ უნდა იქნას ამოცანად ინდივიდუალურ დამკვრელობიდან დამკვრელ ჯგუფებზე, ბრიგადებსა და კოლმეურნეობებზე გადასვლა.

3. დამკვრელებს ამტკიცებს ბრიგადების და კოლმეურნეობის საერთო კრება. დამკვრელთა მუშაობის შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველ თვეს და შედეგები უნდა გაეცნოს მთელ კოლმეურნეობას საერთო კრებების, საწარმოო თათბირების და კედლის გაზეთების საშუალებით.

4. ყოველ კოლმეურნეობაში შემოღებულ უნდა იქნას დამკვრელთა წითელი წიგნები, რომელშიაც შეტანილ უნდა იქნან დამკვრელი კოლმეურნეები ხოლო ყოველ დამკვრელ კოლმეურნეს მიეცეს წიგნაკი და გულზე სატარებელი ნიშანი.

5. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს იმ კოლმეურნეთა ყოველნაირად წახალისებას, რომლებსაც შეაქვთ წინადადებები საკოლმეურნეო წარმოების რაციონალიზაციისა და გაუმჯობესების შესახებ; ამ მიზნით უნდა მოეწყოს საუკეთესო წინადადებათა შეტანის ცალკე კამპანიები, როგორც კოლმეურნეობაში, ისე რაიონის მასშტაბით და საუკეთესო კოლმეურნეთა გამოცდილება გადატანილ იქნას დანარჩენ კოლმეურნეობებშიაც.

XI. საწარმოო თათბირები

1 საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საქმეში კოლმეურნეთა მასების მობილიზაციის მიზნით ყოველ კოლმეურნეობაში, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმაში, დარგსა და ბრიგადაში უნდა მოეწყოს საწარმოო თათბირები.

2. საწარმოო თათბირების ძირითადი ამოცანაა საკოლმეურნეო წარმოების და შრომის ისეთი ხარისხის ორგანიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება დაწესებულ ვადებში, და აგრეთვე ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესება (მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქციის აწევა, მარცვლოვან და ტეხნიკური კულტურების და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება).

3. საწარმოო თათბირების ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებში ევალება რაიკოლმეურნკავშირებს, ხოლო ბრიგადების საწარმოო თათბირების ხელმძღვანელობა კოლმეურნეობის გამგეობას.

4 საერთო საწარმოო თათბირებთან ერთად აუცილებლად უნდა მოეწყოს ქალთა სპეციალური საწარმოო თათბირები.

საწარმოო თათბირს უნდა ჰქონდეს მუშაობის გარკვეული გეგმა, რომლის შესრულებაც კოლმეურნეობის გამგეობამ სისტემატიურად უნდა შეამოწმოს და აღრიცხოს.

საქ. კოლმეურნცენტრის გამგეობის თავმჯდომარე
პ. წულუკიძე.

წლიურ გეგმასთან შეფარდებით, მივიღებთ შემდეგ სურათს: პირველ კვარტალში—15,5 პროც., მეორე კვარტალში—21,8 პროც., მესამე კვარტალში—22,2 პროც., და მეოთხე კვარტალში—24,4 პროც.

თუ ავიღებთ ცალკე მე-4 კვარტალს და განვიხილავთ მრეწველობის მუშაობას თვეების მიხედვით, დავინახავთ, რომ დეკემბერში ყველაზე მეტად შესრულდა გეგმა. მიუხედავად ამისა, როგორც ვიცით, 1931 წლის პროგრამა ვერ შევასრულეთ მთლიანად.

ამგვარად ძირეული პარტორგანოების საანგ.-საგადრჩევო კამპანია ჩატარდა თბილისის მუშათა კლასის მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის საფუძველზე.

ჩაუდგეთ სათავეში მუშათა მასების გაძლიერებულ აქტივობას

იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე 1932 წელს, როცა უნდა დავაბანდოთ 80.000.000 მანეთზე მეტი კაპიტალური მშენებლობისათვის მრეწველობაში და ტრანსპორტზე და 20 მილიონზე მეტი საქალაქო მეურნეობის მშენებლობისათვის, როცა უნდა უზრუნველვყოთ თბილისის მრეწველობის პროდუქციის ზრდა 80 პროცენტით და მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ საგეგმო ორგანოების მიერ გათვალისწინებული ხარისხობრივი მაჩვენებლები, როცა არსებული მატერიალური სახსრებით ჩვენს ქვეყანას უნდა მივცეთ მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია და გავაუმჯობესოთ ტრანსპორტის მუშაობა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობის „ვიწრო ადგილს“, — ჩვენ გვმართებს უფრო გადამწყვეტი მობრუნება მშრომელთა ფართო მასების შრომითი ენტუზიაზმის გაძლიერების საქმეში.

ამ უდიდესი ამოცანების ძლევამოსილად განხორციელებისათვის საჭიროა, რომ ყველა ჩვენმა მასიურმა ორგანიზაციებმა — პროფკავშირებმა, კომკავშირმა, ქალთა სადელეგატო კრებებმა და საბჭოებმა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, ისწავლონ მუშაობა ახალი წესით.

ამ მხრით დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი პროფესიონალური ორგანიზაციების წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში პროფკავშირებმა ამ მიმართულებით ჩაატარეს დიდი მუშაობა და საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს, გასულ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიაში საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების 14 პროცენტის მუშაობა ცნობილი იქნა სუსტად. ეს შემთხვევითი მოვლენა როდია, ვინაიდან ჩვენი პროფკავშირები ჯერ კიდევ საკმაოდ არ მობრუნებულან პირით წარმოებისაკენ, ჯერ კიდევ ყველგან არ იბრძვიან როგორც საჭიროა მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ავიღოთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საკითხი. მოწინავე ტეხნიკის გაბედულად დანერგვასთან ერთად, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად საჭიროა შრომისადმი შეგნებული კომუნისტური დამოკიდებულება ყოველი მუშის მხრით, შრომის ნაყოფიერების გადიდების ხაზით მიცემულ დავალებათა შეუსრულებლად. ჩვენ ვერ შევძლებთ ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებას, რადგან შრომის ნაყოფიერება წარმოადგენს ძირითად ფაქტორს ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების საქმეში.

ცნობები თბილისის 61 საწარმოს შესახებ, რომლებშიაც 24.174 კაცი მუშაობს, მოწმობენ, რომ ყველა სახის სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია მუშათა 77 პროც., ხოლო ინდივიდუალურ შეჯიბრებაში — 49 პროც. ისეთი საწარმოებში, როგორიცაა ტყავის ქარხანა № 1, ჯგუფურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 1.520 კაცი, ინდივიდუალურ შეჯიბრებაში კი 264. მაუდის ფაბრიკაში, სადაც 1700 მუშაა, ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობს 850 კაცი და სხვ.

უჯრედების ბიუროების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის დროს თითქმის ყველგან გამოირკვა, რომ საკმაოდ განვითარებულ საბრიგადო დამკვრელობისა და სოცშეჯიბრებასთან ერთად, ინდივიდუალურ დამკვრელობასა და შეჯიბრებაში ბრიგადის შიგნით სრულიად არა საკმაოდ არიან ჩაბმულნი მუშები.

საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას ეს მნიშვნელოვანი ნაკლი. საჭიროა ფართოდ და ღრმად გავშალოთ ინდივიდუალური დამკვრელობა და შეჯიბრება. პროფკავშირებმა ენერგიულად უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს და მოსპონ ჩამორჩენა, ვინაიდან ინდივიდუალური დამკვრელობა და შეჯიბრება სოციალისტური შრომის ყველაზე უფრო ეფექტიური და ნაყოფიერ ფორმას წარმოადგენს.

რაც შეეხება მოძრაობას სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის ისეთი უმაღლესი ფორმებისათვის, როგორიცაა სამეურნეო ანგარიშის ბრიგადები, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრით ჩვენ ძალზე მოვიკოჭლებთ. 1932 წლის 1 იანვრისათვის თბილისში სულ იყო 427 სამეურნეო ანგარიშის ბრიგადა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 8418 მუშა.

რით აიხსნება ასეთი ჩამორჩენა ამ დარგში და ისიც მას შემდეგ, როცა საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პირდაპირი მითითება მოგვცა ამ საკითხის შესახებ? მხოლოდ იმით, რომ ბევრი ჩვენი სამეურნეო პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაცია სათანადოთ არ აფასებს სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების როლს, სხვანაირად როგორ შეიძლება ავხსნათ ის მდგომარეობა, რომ უდიდეს საწარმოებშიც კი ასე მცირე რაოდენობის სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებია. მაგალითად, 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში არის 26 ბრიგადა, № 1 თამბაქოს ფაბრიკაში—4, ორჯონიკიძის სახ. ქარხანაში—8, ხოლო ზოგიერთ საწარმოში ძალზე სუსტადაა განვითარებული ეს მოძრაობა. (პოლიგრაფიული მრეწველობა, საფეიქრო და პურის მრეწველობა და სხ.).

ამ მოძრაობას უმთავრესად აბრკოლებს აღრიცხვის მოუწესრიგებლობა; ზოგჯერ კი მისი სრული უქონლობა და ცუდი დაგეგმვა საამქროს შიგნით.

აღრიცხვის უქონლობის გამო სრულიად ჩაიშალა ზოგიერთი სამეურნეო ანგარიშის ბრიგადის მუშაობა სარემონტო ქარხანასა და სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში.

საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა იმ სამეურნეო ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი ბიუროკრატიული დამოკიდებულებით აფერხებენ და შლიან კიდეც სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების მუშაობას. ყველა სამეურნეო მუშაკებს როდი ესმით, რომ ბრიგადების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე, სხვა დადებით შედეგებთან ერთად, იძლევა მასალის მომჭირნეობასაც, რაც ასე საჭიროა ჩვენთვის.

ამ ღონისძიების განხორციელების დიდ მნიშვნელობას მოწმობენ ამხ. **ჯალალოვის** და **ცარკოვის** (დურგალი) ბრიგადები. ახალი მექანიკური ქარხნის მშენებლობაზე.

პირველის ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა სამუშაოთა გეგმა და მოგვცა 1276 მანეთის ეკონომია, ხოლო მეორე ბრიგადამ 8.798 მანეთის მასალის ეკონომია.

უნდა ვეცადოთ, რომ დამკვრელი ბრიგადა გადავიდეს სამეურნეო ანგარიშზე. პროფკავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ საქმეს. უნდა ვაიძულოთ სამეურნეო მუშაკები მოაგვარონ აღრიცხვა, ვინაიდან აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია შეჯიბრებაში მონაწილეთა შემოწმების და თვითშემოწმების საქმის სწორად დაყენება, ხოლო შეუმოწმებლად არ არსებობს შეჯიბრება, შეუმოწმებლად ძნელია იმის გამორკვევა, თუ ვინ არის ნამდვილი დამკვრელი და ვინ ცრუ დამკვრელი. აი ამიტომ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: „საჭიროა საწარმოო მაჩვენებლების სწორი, თვალსაჩინო აღრიცხვის საქმის მოგვარება, შეჯიბრებაში მონაწილეთა სისტემატიური შემოწმების და თვითშემოწმების მოწყობა. მხოლოდ ამ ღონისძიებათა ნამდვილად განხორციელებით და არა დამკვრელთა რიგების ხელაღებით წმენდით, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ზოგიერთ საწარმოში, უზრუნველყოფენ ნამდვილად პარტიული ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის საქმის ხელმძღვანელობას ფართო პროლეტარულ მასებს შორის, აგრეთვე დამკვრელობის შემდეგომ გაშლას, დამკვრელთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას და დამკვრელთა მოძრაობისა და სოციალისტური შეჯიბრების აყვანას უმაღლეს საფეხურზე“.

პროფკავშირებმა უნდა მოაგვარონ მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმის კონკრეტული ხელმძღვანელობა. მიუხედავად მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის უეჭველი გაუმჯობესებისა, ზოგიერთ რგოლში ადგილი აქვს ერთგვარ ჩამორჩენას იმის გამო, რომ ჩვენი პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციები ვერ ახერხებენ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის კონკრეტულად შესწავლას, მის გაუმჯობესებას და ნაკლებად ზრუნავენ ამ საქმეზე.

რა თქმა უნდა, ძნელია მუშების ერთბაშად დაკმაყოფილება ყველაფრით, ბინით, კლუბებითაც, და ხსვ., მაგრამ რაც კი შეგვიძლია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამ მიმართულებით. პარტიულმა ორგანიზაციებმა „მათი (პროფკავშირების) ყურადღება უნდა მიაქციონ მთავარს და ძირითადს — კონკრეტულ ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით სამ დარგში: შრომის ხელფასი, შრომის დანორმვა და ბრძოლა მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის: ბარაკები, ბინები, მათი რემონტი, სასადილოები, მომარაგება, კოოპერაცია“ (კაგანოვიჩი).

გადავიდეთ კომკავშირის მუშაობაზე. ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, თუ როგორი აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის ორგანიზაციებმა ძირეული პარტორგანოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიაში. გაიზარდა ახალგაზრდობის ხვედრითი წონა ჩვენს საწარმოებში. სარემონტო ქარხანაში ახალგაზრდობის ხვედრითი წონა შეადგენს 25 პროც., მაუდის ფაბრიკაში—87 პროც., № 1 მკერავში—5 პროც., № 2 თამბაქოს ფაბრიკაში — 22 პროც., № 2 მკერავში—83 პროც., ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში—5 პროც., სტალინის სახელობის ფეხსაცმელების ფაბრიკაში — 23 პროც., ტრამვაი—34 პროც.

კომკავშირი იზრდება სწრაფი ტემპებით. მარტო 1931 წელს კომკავშირში მიღებულია 6.000 კაცი, ზემოჩამოთვლილ საწარმოებში ახალგაზრდობის 100 პროცენტი კომკავშირშია. ცხადია, რომ ასეთ პირობებში კომკავშირს შეუძლია დიდი როლი შეასრულოს. სატრანსპორტო და სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებაში და უნდა შეასრულოს კიდეც. საჭიროა მხოლოდ კომკავშირის ორგანიზაციების უზრუნველყოფა შესაფერი პარტიული ხელმძღვანელობით, საჭიროა კომკავშირელთა მასების ენერგიის მოხერხებულად გამოყენება და მათი აქტიურად ჩაბმა სამეურნეო ცხოვრებაში. ფართოდ უნდა გავრცელდეს პრაქტიკაში ახალგაზრდობის ცალკე ბრიგადების და საამქროების მოწყობა, ვინაიდან ეს ბრიგადები მეტად დიდ შედეგებს გვაძლევენ (შორეტის ბრიგადა და სხვ.).

ძირეულ პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიამ ერთხელ კიდევ ცხად ჰყო, რომ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს და ვერ უზრუნველყვეს კომკავშირის კონკრეტული ხელმძღვანელობა.

კომკავშირმა დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნას თავისი რიგები საკ. ა.ლ.კ.კ.-ის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. კ.-კავშირი მხოლოდ იმ შემთხვევაში გარდაქმნის სწრაფად თავის რიგებს, აღმოფხვრის დეფექტებს თავის მუშაობაში, გაუძღვება მთელი ახალგაზრდობის აქტივობას და დარაზმავს მას 1932 წლის პროგრამის რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესასრულებლად, თუ მტკიცედ დაიცავს შინაკავშირულ დემოკრატიას და გაშლის თვითკრიტიკას.

ქალთა შორის მუშაობა მთელი პარტორგანიზაციის საქმეა. ეს მუშაობა იმგვარად უნდა შეიცვალოს, რომ იგი გადაიქცეს მთელი პარტიული აპარატის საქმედ. ამას გვავალებს ქალთა რიცხვის ის ზრდა ჩვენს საწარმოებში, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს თბილისში. თუ 1926 წელს მუშა-ქალების ხვედრითი წონა ჩვენს საწარმოებში შეადგენდა 9,2 პროც., 1930 წელს შეადგენდა 12,7 პროც., ხოლო 1931 წელს—15 პროცენტს.

(დასასრული ხვალ)

ა. წითლიძე.

ოქტომბრელთა ერთთვიური

სკოლის ასაკამდე ლაშქრობის ცენტრალური შტაბი, მუშა-ქალის საერთაშორისო დღესთან—8 მარტთან დაკავშირებით, შეუდგა „ოქტომბრელთა“ ერთთვიურის ჩატარებას. ერთთვიური გასტანს 25 მარტამდე. მთელს რესპუბლიკაში 3 მარტს რადიოთი მოეწყობა მოხსენებები ქართულ და რუსულ ენებზე სკოლის ასაკამდე აღზრდის და სკოლის ასაკამდე საყოველთაო აღზრდის ამოცანების შესახებ, მთლიანი კოლექტივიზაციის და ტეხნიკურ კულტურათა რაიონებში გაიხსნება ხუთი საბავშვო ბაღი და 20 საბავშვო კერა. ამ დაწესებულებათათვის კადრების მოსამზადებლად იხსნება მოკლევადიანი კურსები. გარდა ამისა, თბილისსა და რაიონებში ეწყობა 6 პედაგოგიური კონსულტაცია. საქართველოს განსახკომი 8 მარტისათვის თბილისში სძირკვავს [illegible] პირველ სასწავლო-[illegible] საბავშვო ბაღის შენობას (150 ბავშვისათვის), სადაც მოეწყობა სასკოლო მუზეუმიც. სწარმოებს საბავშვო ასაკის ყველა ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში. საქართველოს სახკინმრეწვი ამზადებს სპეციალურ კინო-ფილმებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის. თბილისის ახალგაზრდა მაყურებლის თეატრში 8 მარტს ბავშვებისათვის დაიდგმება დილის სპეციალური წარმოდგენები. სასკოლო ასაკამდე ლაშქრობის ცენტრალურმა შტაბმა, 8 მარტის აღსანიშნავად, წინადადება მისცა რაიონებს მსხვილ საწარმოებში და მსხვილ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან მოაწყონ გამოფენები სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში. სწარმოებს სკოლის ასაკამდე აღზრდის და კულტარმიელთა შეგროვება (ადს).

კომუნისტი

შაბათი, 5 მარტი 1932 წ. № 54 (3308)

ვემზადოთ 8 მარტისათვის

ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩატარების შესახებ

ს.ს.რ. აფხაზეთის, სსრ აჭარისტანის, სამხ.-ოსეთის ავტ. ოლქს და ყველა რაიაღმასკომებს

ცირკულიარული წერილი.

მიმდინარე წლის ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე—8 მარტი, უნდა ჩატარდეს ქალთა ფართო მასების მობილიზაციის ნიშნის ქვეშ პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მდგომ ამოცანათა შესრულებ[ის], ირგვლივ. საკავშირო კ.პ. (ბ) ცკ-ს 31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციის, ა.-კ. და კერძოდ საქართველოში გლეხობის საკითხში დაშვებულ შეცდომათა დაუყოვნებლივ გამოსწორების მიზნით და უნდა მოხდეს საქ. კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის და საქ. კ.პ.(ბ) მე-17 კონფერენციის დადგენილებათა ფართო პოპულიარიზაცია მშრომელ ქალთა მასებში. საბჭოებმა უნდა დარაზმონ, კოლმეურნე, საშუალო, ღარიბი და მოჯამაგირე ქალთა მასები მე-3 ბოლშევიკური საგაზ. სახოფლო სამეურნეო თესვის კამპანიის წარმატებით შესრულებისათვის, კოლმეურნეობათა ორგანიზაციული, სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, ქალის შრომის ფართოდ გამოყენებით და მისი სწორი ორგანიზაციით, კოლმეურნეობებში.

საქ. ცაკი წინადადებას აძლევს ს.ს.რ აფხაზეთის, სსრ აჭარისტანის, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის და ყველა რაიაღმასკომებს გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. გამოჰყონ ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის 8 მარტის ჩამტარებელი კომისიები შემდეგი შემადგენლობით: აღმასკომის თავმჯდომარე (იგივე კომისიის თავმჯდომარე). რაიკომის ქალთა სექტორი, კომკავშირის, პროფსაბჭოს, კოლმეურნეობათა კავშირის, განათ. განყ., ჯანმრთელობის განყ. და ადგილობრივი პრესის წარმომადგენელი და რაიაღმასკომის ქალთა კომიტეტის პ.-მგ. მდივანი.

2. კომისიებმა წინასწარ უნდა გამოიმუშაონ 8 მარტის ჩატარების კონკრეტული გეგმა, რისთვისაც რაიონის ცენტრებში მოწვეულ უნდა იქნეს თათბირი სამეურნეო, კოოპერატიული, პროფესიონალური, კულტურულ-განმანათლებელი და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

3. 8 მარტის დღის ჩატარება მტკიცედ უნდა დაუკავშირდეს საგაზ. თესვის კამპანიას: ჩამოყალიბდეს 8 მარტის სახელობის ბრიგადები თესვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოცშეჯიბრის და დამკვრელობის ფართოდ გაშლის საფუძველზე.

4. ს.ს.რ. აფხაზეთის, ს.ს.რ. აჭარისტანის, სამხ. ოსეთის, ავტ. ოლქის და ყველა რაიაღმასკომებმა და სასოფლო საბჭოებმა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა კოლმეურნეობებში ქალთა შრომის გამოყენების და ქალთა საწარმოო თათბირების შემოწმებაში, მათი შემდეგი განმტკიცების მიზნით.

5. სადელეგატო კრებების გადარჩევები უკავშირდება 8 მარტის ჩატარების პერიოდს, ამისათვის სსრ აფხაზეთის, სსრ. აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქს და ყველა რაიაღმასკომებს და სოფ. საბჭოებს ევალებათ უზრუნველჰყონ მასიური კრებების ჩატარების დროს მუშა, კოლმეურნე, საშუალო და ღარიბი გლეხ-ქალთა მომსახურეობა ერთდღიური საყოფაცხოვრებო დაწესებულებებით. (კრებებით და საბ. ბაღებით).

6. რაიაღმასკომებმა და რაიონში შემავალ სხვა ორგანიზაციებმა გეგმაში გათვალისწინებული კულტყოფაცხოვრებითი დაწესებულებების გახსნა უნდა დაუკავშირონ ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს—8 მარტს.

7. მოეწყოს ყველა სოფ. საბჭოებთან კოლმეურნე ქალთა საბჭოთა მამულებში მომუშავე ქალთა, დელეგატ და საშუალო და ღარიბ გლეხ-ქალთა ფართო კრებები, სადაც გაშუქებული იქნას ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის მნიშვნელობა, და აგრეთვე დასმული უნდა იქნას საკითხი საბჭოების მუშაობის შესახებ, შემოწმებული იქნეს, თუ რამდენად არიან საბჭოს, წევრი ქალები ჩაბმული სექციონურ მუშაობაში.

8. აღრიცხვაზე უნდა იქნენ აყვანილნი საბჭოს წევრი ქალები წ.-კ. უცოდინარი და მცირემცოდნენი და მათთვის დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს წ.-კ. უცოდინარობის და მცირე მცოდნეთა წრეები.

9. აღმასკომებთან არსებულ ქალთა კომიტეტებმა უნდა გამოგზავნონ მოხსენება 8 მარტის დღის ჩატარების შესახებ საქ. ცაკის პრეზიდიუმთან არსებულ ქალთა კომიტეტში არა უგვიანეს 15 მარტისა.

საქ. ცაკთან გამოყოფილ, ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის — 8 მარტის ჩამტარებელ კომისიის თავ-რე ს. თოდრია.

8 მარტის ჩამტარებელი კომისია

საქართველოს ცაკმა გამოჰყო ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩამტარებელი ცენტრალური რესპუბლიკანური კომისია, რომელშიდაც შედიან ამხ. ს. თოდრია, (კომისიის თავმჯდომარე), ჯორჯაძე (საქართველოს კ.პ.(ბ) ცკ-ს ქალთა სექტორი), მარ. ორახელაშვილი (გან. კომის), გ. კუჭაიძე (ჯანსახკომი), ლორსმანიშვილი (საქ. პროფსაბჭო), ს. ცუცქირიძე (ცაკის საორგ. განყ.), ჩხიძე (ამიერ კავკასიის ცაკი) და შერმადინი (საქართველოს ცაკის ქალთა განყ).

8 მარტის ჩამტარებელი კომისიის დადგენილება

ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის აღსანიშნავად, საქართველოს ცაკთან გამოყოფილმა კომისიამ აუცილებლად სცნო რომ უზენაესი სასამართლოს და პროკურატურის ხაზით გატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები: სახალხო სასამართლოებს მიეცეს დირექტივა, გამოჰყონ და რიგს გარეშე გაარჩიონ ის საქმეები, რაც უშუალოდ მშრომელ ქალებს ეხებათ (საალიმენტო-საყოფაცხოვრებო დანაშაულობის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები). ყველა ასეთი საქმეები უნდა იქნეს გარჩეული აუცილებლად 30 მარტამდე, ხოლო თუ საქმის შინაარსი განსაკუთრებით საყურადღებოა უნდა მოეწყოს საჩვენებელი პროცესებიც.

დაევალოთ პროკურორებს—გამოვიდნენ სასამართლოებში ბრალმდებლებად, რომელშიც იმ საქმეებზე, რაც მშრომელ ქალთა ინტერესებს ეხება. გამომძიებლებს—გამოჰყონ და დაამთავრონ ყველა ის საქმეები, რაც შეეხებათ მშრომელ ქალებს, აღმასრულებლებს—დაუყოვნებლივ მოიყვანონ სისრულეში სასამართლოს დადგენილებები. დამცველთა კოლეგიას—უფასოთ დაიცვან მშრომელ ქალთა საქმეები 1-ლი მარტიდან 30 მარტამდე.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა აღნიშნული დადგენილება შესასრულებლად გადაუგზავნა უზენაეს სასამართლოს და პროკურატურას. აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ცაკებს დაევალათ გასცენ განკარგულება აღნიშნული დადგენილების განხორციელების შესახებ.

1000 მანეთი საზოგადოებრივ სამრეცხაოს გასახსნელად

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო ქალთა საერთაშორისო დღის ჩამტარებელი სპეციალური კომისია, რომლის დადგენილებითაც გადადებულია 1000 მანეთი სტალინის რაიონში საზოგადოებრივ სამრეცხაოს გასახსნელად.

8 მარტის აღსანიშნავად გადაწყვეტილია ჩატარებულ იქნეს ქალთა კრებები: ამავე დღის აღსანიშნავად უნდა მოხდეს მშრომელ ქალთა დაწინაურება მაღალ თანამდებობებზე თბილისის საბჭოში. თბილისის საბჭოს საუკეთესო მუშა-ქალები დაჯილდოვებულ იქნებიან საჩუქრებით.

თბილისის რაიონის სოფლებში იგზავნება ბრიგადა ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებების ჩასატარებლად.

ახალი ხურდა ფულის გამოშვება

სსრ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

ნიკელის წვრილი ფულის მოჭრისა და გამოშვების შესახებ

წვრილი ფულის ტრიალის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განვითარებისათვის ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: 1. დაევალოს ს.ს.რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოუშვას ნიკელის ხურდა ფული ათი (10) ხუთმეტი (15) და ოცი (20) კაპეიკის ღირებულებისა.

2. ნიკელის ხურდა ფული იქნება ხმარებაში და მისი მიღება სავალდებულოა ისევე, როგორც ვერცხლის ფულის.

3. ფულის წონა და ზომა წესდება შემდეგი:

10 კაპეიკი—წონა 1.8 გრამი და დიამეტრი 17.27 მილიმეტრი;

15 კაპეიკი—წონა 2.7 გრამი და დიამეტრი 19.56 მილიმეტრი;

20 კაპეიკი—წონა 3.6 გრამი და დიამეტრი 21.84 მილიმეტრი.

4. ნიკელის ხურდა ფულის მოჭრის დროს აღნიშნული ფულის ათას მანეთზე დასაშვებია ორი მესამედი ნაწილი (2 პროც.) მეტი ან ნაკლები წონა იმასთან შედარებით, რაც აღნიშნულია ამ დადგენილების მესამე მუხლში.

5. ნიკელის ხურდა ფულის გარეგნულ სახეს აწესებს ს.ს.რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რის შემდეგაც იგი დაწვრილებითი აღწერით ქვეყნდება ყველას საყურადღებოთ.

6. ამ დადგენილების საფუძველზე გამოსული ფულის გამოშვების, ტრიალის და ხმარებიდან გამოსვლის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას ის წესები, რომლებიც დადგენილია ვერცხლის ფულისათვის ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 22 თებერვლის დადგენილებით ვერცხლის და სპილენძის საბჭოთა ფულის მოჭრისა და გამოშვების შესახებ (ს.ს.რ. კავშირის ცაკის, სახალხო კომისართა საბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს უწყებები № 3 გვ. 61, 1924 წ.) და 1925 წლ. 30 იანვრის დადგენილებით ვერცხლის და სპილენძის ფულის გამოშვების შესახებ (ს.ს.რ.კ. კანონთა კრებული № 6 გვ. 58).

ს.ს.რ.კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯ-რე: **მ. კალინინი.**

ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე: **ვ. მოლოტოვი** (სკრიაბინი).

ს.ს.რ.კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი, კრემლი.

1932 წლ. 27 თებერვალი. № 225.

საუბარი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისართან ამხ. გრინკოსთან

ნიკელის ხურდა ფულის გამოშვებასთან დაკავშირებით საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა ს.ს.რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისართან.

ამხ. გრინკომ განაცხადა შემდეგი:

— ჯერ კიდევ ომამდე ევროპის და ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში ხურდა ფულს სჭრიდნენ ნაწილობრივ ნიკელიდან (სუფთა ან სპილენძნარევს). ომის შემდეგ ეს ფული კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა და ამჟამად ხმარებაშია 36 ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთში, გერმანიაში, შეერთებულ შტატებში, კანადაში, შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიაში, თურქეთში, ესპანეთში, ეგვიპტეში, იაპონიაში და სხვ.

ნიკელის ფულის უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში:

1. იგი ძნელი გამოსადნობია, რაც შეუძლებელს ხდის იმ ლითონის გამოყენებას (ვადადნობის გზით), რომელსაც ფული შეიცავს. და აძნელებს ყალბი ფულის მოჭრას.

2. ლითონი მაგარია და მას ვერცხლთან შედარებით უფრო მეტი გამძლეობა აქვს ატმოსფერულ და სხვ. ზეგავლენის მხრით, რაც უზრუნველყოფს ფულის ხანგრძლივობას.

ზარაფხანას მოწყობილობის მდგომარეობის გამო ჩვენ სხვა ქვეყნებთან შედარებით რამდენიმე დავიგვიანეთ ნიკელის ხურდა ფულის გამოშვება. ამ ბოლო დროს მოვახდინეთ ზარაფხანას ტეხნიკური რეკონსტრუქცია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მთლიანად უზრუნველვყოთ ხურდა ფულით ჩვენი ქვეყნის საქონლის და ფულის ბრუნვა, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება, და კერძოდ მოვჭრად და გამოვუშვათ ახალი ფული, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნე, მთელი რიგი უპირატესობა აქვს ვერცხლის ფულის წინაშე. როგორც ზომით, ისე წონით გამოშვებული ნიკელის ფული არ განსხვავდება ვერცხლის ფულისაგან.

ნიკელის ფული იქნება ხმარებაში ვერცხლის ხურდა ფულთან თანასწორ საფუძველზე.

ახალი ნიკელის ფულის—20, 15 და 10 კაპეიკიანის აღწერილობა

ნიკელის ხურდა ფულის გარეგნული სახე განისაზღვრება შემდეგი აღწერილობით:

ნიკელის ხურდა ფულის—20, 15 და 10 კაპეიკიანის პირის და მეორე მხარის ნახატი ერთნაირია ყველა სამი ზემოჩამოთვლილი ღირებულების ფულისათვის, გარდა მისი ზომისა და ღირებულების ციფრობრივი ნიშნებისა, რომელიც იცვლება ამ ღირებულების მიხედვით.

ფულის პირი. შუაში მოთავსებულია საბჭოთა კავშირის ღერბი ამომავალი მზის სხივებზე, დედამიწის ბურთი, მასზე გადაჯვარედინებული ნამგლით და ჩაქუჩით, გარშემორტყმული პურის თავთავებისაგან შეკრული გვირგვინით, რომელსაც ქვევით შემოვლილი აქვს ლენტი, ხოლო მარცხენა და მარჯვენა ნახევარზე სამ-სამი ფენა ლენტი თითო ნახევარზე; დედა მიწის ბურთზე გვირგვინის ორივე ნახევრის თავთავებს შორის მოთავსებულია პატარა ხუთსხივიანი ვარსკვლავი. ღერბის ირგვლივ შემოვლილია რგვალი ხაზოვანი სალტე; სალტესა და არშიას შორის არის წარწერა, რომელიც იწყება ღერბის ქვევით, მარცხნით: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფულის მეორე მხარე. შუაში: სამი მეოთხედით მარჯვნივ მობრუნებული მუშის ფიგურა მუხლამდე, მუშის ტანისამოსში, გახსნილი საყელოთი, დაკაპიწებული მარჯვენა ხელით და წინსაფარით; მუშას უჭირავს მორგვალებული სამკუთხიანი ფარი ამოჭრილი ზედა კუთხეებით; ფარზე აღნიშნულია ფულის ღირებულება ორ სტრიქონში—ციფრი მსხვილი შრიფტით, ხოლო ერთეულის სახელწოდება წვრილი შრიფტით, 20 კაპ. 15 კაპ., 10 კაპ. მარცხენა ხელში მუშას უჭირავს მარცხნით გადაწეული ჩაქუჩი. ფარს ზევით მარჯვნით აღნიშნულია ფულის მოჭრის წელი 1931 წ. მუშის ფიგურის ირგვლივ შემოვლებულია რგვალი ხაზოვანი სალტე, რომელიც ორ ადგილას გაწყვეტილია—ზევით მუშის თავის ნაწილით, ხოლო ქვევით ფარის სამკუთხედის ბოლოთი. ირგვლივ სალტესა და არშიას შორის არის წარწერა, რომელიც იწყება მუშის თავიდან მარჯვნით: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ხელოვნება

შევქმნათ მომღერალთა გუნდი

სტატისტიკური ცნობით თბილისში, საოპერო და აკადემიური გუნდების გარეშე, ხუთასზე მეტი დაბალხარისხოვანი საგუნდო მომღერალია, რომლებიც დროგამოშვებით „კომერციული“ ან სხვა რაიმე მოსაზრებით ჯგუფდებიან ცალკე ერთეულებად სხვადასხვა, უმეტეს შემთხვევაში, უკვალიფიკაციო „ლოტბარების“ ხელმძღვანელობით. სწავლება წარმოებს ზეპირი, ანტიმუსიკალური, ანტიჰიგიენური და, რაც უფრო მთავარია, შეუმოწმებელი რეპერტუარით, სრულიად უკონტროლოდ მზადდება ძველი, ფეოდალური ცრუეთნოგრაფიული და აქა იქ ფსევდორევოლიუციონური სიმღერები. ამგვარი მომზადებით და ასეთი საეჭვო ღირსების პროგრამით გუნდები ეძებენ მთელ ქალაქს. მართავენ კონცერტებს მეტწილად მუშათა კლუბებში. მრავალკეცი ხალტურა, იდეოლოგიურად მოდებილი მუსიკის პოპულიარიზაცია, აი რას ვღებულობთ ყოველივე ამის შედეგად. ცრუეთნოგრაფია, რასაკვირველია, მავნებელია, მაგრამ არც ყველა ეთნოგრაფიულ სიმღერების კულტივიზაცია და საჯაროდ ასრულება აგვაშორებს ზიანს. ეთნოგრაფიის მუსიკა, როგორც ძველი შემოქმედების ნაშთი, ბევრ შემთხვევაში გაჟღენთილია წარსულის იდეოლოგიით, ის ასახულია შესაფერი ტექსტით. ამიტომ მათი მიწოდება მუშა-მაყურებლისათვის იქნება ძველის აგიტაცია.

მაგრამ ეთნოგრაფიულ სიმღერებში არის მრავალი ისეთებიც, რომელნიც ასახავენ ძველ დუხჭირ ცხოვრებას, რომელნიც თავადაზნაურულ „ლოთი-ფოთურ“ სიმღერებიდან განირჩევიან თავიანთი იშვიათი მუსიკალობით, აზრობრივი სიღრმით და, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი სოციალური აქტუალობა. ამიტომ საჭიროა ამ საქმისადმი ნამდვილი, მეცნიერული მიდგომა, საჭიროა ეთნოგრაფიული სიმღერების გულდასმით გადარჩევა. ისინი ამ მხრივ უნდა იქნან თქმული, შესწავლილი და გამოყენებული სათანადო დაწესებულებებში—მუსიკალურ სასწავლებლებში, მარქს-ლენინის ინსტიტუტში, სამეცნიერო აკადემიაში და სხვაგან.

ეთნოგრაფიისათვის ცალ-ცალკე გუნდების შენახვა იმ სახით, როგორც ისინი ამჟამად არსებობენ, მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა ერთი მთლიანი, პასუხისმგებელი საგუნდო ერთეულის ჩამოყალიბება. ამ ერთეულს უნდა მიეცეს სწორი იდეოლოგიურ-მხატვრული ხელმძღვანელობა, საკმაო ნივთიერი სახსარი, სათანადო უფლებრივი მდგომარეობა და უნდა დაევალოს საგუნდო მუშაობის წარმოება ცენტრში და პროვინციებშიაც.

ასეთი ერთეულის ჩამოყალიბებისათვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ დღემდე არსებული გუნდების ყველა მიღწევები. ახალი, გაძლიერებული გუნდი ჩვენ უნდა შევავსოთ მუშა-ახალგაზრდობით, მივსცეთ მას სათანადო წვრთნა და ყოველგვარი დახმარება. ეს გუნდი ჩვენ უნდა შევიყვანოთ სახელმწიფო ოპერაში. ამ ახალი გუნდის მუშა-ახალგაზრდობით ჩვენ თანდათან უნდა შევცვალოთ სახელმწიფო ოპერის გუნდის უვარგისი ელემენტები. ეთნოგრაფიული გუნდების მოწყობის საკითხი კი უნდა გადაეცეს ჩვენს მუსიკალურ ინსტიტუტს.

მუსიკოსი

—:—

პოეზიის საწარმოო თათბირი

5 მარტს, საღამოს სრულ 7 საათზე გ. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლეში შესდგება პოეზიის საწარმოო თათბირი. მოსმენილი იქნება ამხ. დ. ბენაშვილის და ხამ. ჩიქოვანის მოხსენება თემაზე: მდგომარეობა პოეზიის ფრონტზე.

შესვლა თავისუფალია.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებული სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დაფინანსების სპეციალური საქალაქო ფონდების შესახებ

საბინაო-საიჯარო კოოპერაციის საფინანსო მდგომარეობის განსამტკიცებლად და საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებული საბინაო ფონდის საჭირო რემონტით უზრუნველსაყოფად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო „ა.-კ.ფ.ს.ს.რ. ადგილობრივი ფინანსების დებულების“ მე-30 მუხლის თანახმად (ა.-კ.ს.ფ.ს.ს.რ. კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ 657), ადგენს:

I.

1. მოეწყოს იმ ქალაქებში, რომელთა სია დამტკიცდება საქართველოს ს.ს.რ. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი—საქართველოს ს.ს.რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებულ სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დაფინანსების სპეციალური ფონდები.

2. აღნიშნული საქალაქო ფონდები სპეციალური დანიშნულებისა შედგება:

ა) საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა წმინდა შემოსავლის ანარიცხებისაგან ისეთი რაოდენობით, რასაც დააწესებს სათანადო საქალაქო საბჭო;

ბ) საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობათათვის იჯარით გადაცემულ სახლებში მოთავსებული სავაჭრო-სამრეწველო, სასაწყობო და სხვა არა საცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირისაგან.

შენიშვნა. საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის წმინდა მოგებად ითვლება ის თანხა, რაც დარჩება ამ ამხანაგობის განკარგულებაში მისი საერთო შემოსავლიდან შემდეგი ხარჯების დაფარვისას:

ა) ნორმალიზებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯებისა;

ბ) ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი გაერთიანებული გადასახდელისა (საიჯარო ქირა);

გ) კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის გადასახადების ანარიცხებისა;

დ) სხვა სავალდებულო ხასიათის გადასახდელისა.

3. აღნიშნული საქალაქო ფონდები სპეციალური დანიშნულებისა სათანადო საქალაქო საბჭოების განკარგულებაშია და იხარჯება მათ მიერ დამტკიცებული გეგმების თანახმად და მათივე კონტროლით:

ა) საბინაო კოოპერაციის საქალაქო და სარაიონო კავშირების მიერ საბინაო საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებული შენობების კაპიტალურ რემონტზე;

ბ) მცირე-ძალოვან საბინაო საიჯარო-კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ მათთვის იჯარით გადაცემული მუნიციპალიზებული შენობების მიმდინარე რემონტზე.

4. აღნიშნულ ფონდებში სახსართა შევსების დაწვრილებითი წესი და აგრეთვე ამ ფონდების შენახვისა და გამოყენების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

II.

ფინანსთა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს გამოსცენ ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქცია და დაამტკიცონ იმ ქალაქთა სია, სადაც უნდა მოეწყოს ზემოაღნიშნული ფონდები სპეციალური დანიშნულებისა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. 13 თებერვალი.
ტფილისი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს, უჯრედებს და პროპაგანდისტებს, ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის გამო, პოლიტგანათლების ქსელის და წრეების მორიგი მეცადინეობა გადმოიტანონ და ჩაატარონ 7 მარტს. თანახმად თბილისის კომიტეტის 14 და 28 თებერვლის დადგენილების პარტგანათლების მთელ ქსელში უნდა დამუშავდეს შემდეგი საკითხები:

1. მრეწველობის ამოცანები 1932 წელს. 2 საათში.

2. პარტგანათლების ქსელი, როგორც პარტიაში მიზიდვის ორგანიზატორი. (თბილისის პარტორგანიზაციის ზრდის და მოწესრიგების შესახებ. „ტიფლისკი რაბოჩი“ 3 მარტი 1932 წ.—1 საათი).

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი, ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩასატარებლად მობილიზაციის წესით იწვევს შემდეგ ამხანაგებს. ლენრაიკომში—ლიზა ანდრიაძე, გაბერკორი, ნინა ალაჯანოვა, მანდენოვა, (ამიერ-კავკ. ფვ. სკოლა), ლუკინა, (თბილ. განათ. განყ.), გალკინი (ამიერ-კავკ. საკონტ. კომისია) მანჯგალაძე (საქ. პროფსაბჭო) ნინა ძიძიგური

5 მარტს, დღის 1 საათზე საქ. კომპ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილებაში (ოთახი № 5) შესდგება თათბირი ქ. თბილისში სკოლის ასაკამდე საყოველთაო სწავლების საკითხზე. აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ნუცუბიძე, (რაიპროფსაბჭო). თოიძე (თბილისის ალ. განათ. გან-ბა), ქუნქუკოვი, კოვალევა, (სკოლის ასაკამდე ლაშქრობის შტაბი), ბარსმანოვი (ბინათკავშ.), ბოკერია (საზ-ბა „ბავშთა მეგობარი“) და საქართველოს ს.შ. უ. საბჭოს, დამზღვევ სალაროს და სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენლები.

ორჯონიკიძის სახ. რაიკომი—თამარა ჭყონია, ნინა მახარაძე, ჩალახიანი, მარია შიუკაშვილი, ამატუნი (მარქ. ლენ. ინსტიტუტი), კასუმოვა (ამიერ-კავკ. საგეგმო კომისია), კამალოვა (ცენტრ. საქ. კომისია), ულინსკაია (ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი), ხეჩუმიანი (ამიერ-კავკ. ცაკი) და მეტონიძე (ცენტრ. საქ. კომისია).

საქართ. კომპ. (ბ) ცკ-ს კულტპროპი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ № 19 ოთახში 12 საათზე ამხ. ვართანოვთან. ლეჟავშელი (რაიგანათ. განყ.), თოფურია (სამთო მეტ. ინსტიტუტი), ლარიბაშვილი (პედინსტიტუტი), ბუაჩიძე (მედინსტიტუტი), აბაშიძე, მღებრიშვილი (საბჭ. სამართ. ინსტ.), ჩხიკვაძე (იქედანვე) და გაბუნია.

5 მარტს, საღამოს 7 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში შესდგება კომუჯრედის ღია კრება კომკავშირთან ერთად.

ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საკონტროლო კომისია იუწყება, რომ დღეს 5 მარტს, დღის ორ საათზე გამოძახებული არიან შემდეგი პარტუჯრედების მდივნები: ლაფინის კულტურის ინსტიტუტი, მედინსტიტუტი, გლარჯა და ამხ. ჯიბლაძე (ნინოშვილის ქ. № 4).

სტალინის რაიკომში—მარიამ ორახელაშვილი თამარა ადამიძე, ბუნიატოვი, (ამ.-კავკ. მუშმღებინი) ჩერქეზიშვილი (სასოფ. სამ. ინსტიტუტი), ვალოვი (თბილ. კომიტეტი), შალამიანი („მკერავი“ № 1), მარო მაჩაიძე, ლუსკინა, ლეონზნიანსკაია, შულგინა. (ბავშთა კომისია).

26 კომუნარის სახ. რაიკომში—სუს. შავერდოვა, მარჯადიროვა, ან. ესაიანი, ან. მატინიანი, აშ. ვართაპეტოვა, მარო ზურაბიანი, ჯორჯაძე (ცეკა), გრიშენკო (ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი) ბროშიკერი (ცეკა).

სახელმწ. ოპერა

დღეს 18 აბ. 8 წ. **მეკობრე**

6 მარტს 1 აბ მე-11 წ ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით **ქარმენ**

7 მარტ 17 აბ. 7 წ ს. ი. მიგაის მონაწილეობით **ბალ-მასკარადი**

12 მარტს დღისით ს. ი. მიგაის მონაწ. **დემონი**

ყველა აბონენტების მე-8 მორიგი შესატანი მიიღება ყოველდღე 11 დან 2 საათამდე 6 დან 8 საათამდე. ვინც მე 7 სააბონიმენტო შესატანს, არ გადაიხდის ნაშუადღევის 2 საათზე წარმოდგენაზე არ იქნება დაშვებული და მათი ადგილები გაიყიდება ჩვეულებრივი წესით. ნ. 415

სახ. დრამა სსრ. სახ. არტ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

6 მარტ. აბ გარ. **ურიელ აკოსტა**

7 მარ. აბონ. გარ. [illegible]

9 მარტს 7 აბ. 7 წ. **პური**

ამ დღეებში მორიგი პრემიერა გერცელ ბააზოვის „როცა მუნჯები ალაპარაკდებიან“. ნ. 414

რუსთაველის თეატ. [illegible] ხელმძღვანელობით სეზონი 1931-32 წ.

პ. სამსონიძე პრემიერა 5 მარტს **სალტე** აბონემენტის გარეშე 4 მარტისათვის აღებული ბილეთები გამოდგება 5 მარტისათვის.

7 აბოს. 6 წარ. **სალტე**

5 გადასახადი სავალდებულოა.

ნ. 413 დირექცია.

სახ. ცირკი დასაწყ. 8 15 წ.

დღეს და ყოველდღე ახალი პროგრ. **„ღამე ინდოეთში“** მწვრთნელის ნ. პ. გლადილშჩიკოვის გამოსვლა მხეცების კვება ცირკის არენაზე!!! ახლად ჩამოსულ მსახიობთა დებიუტები

6 მარტს დღის დიდი წარმოდგენა

ნ. 417

ხმოვანი კინო **ოქტომბერი** (ყ. აპოლო) სეან. 4, 6-30, 8-30, 10-30.

დღის კინო **სპარტაკი** სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.

საღამოს კინო **სპარტაკი** სეან. დას 6. 7-30. 9. 10-30.

კინო დამკვრელი (ყოფ. პალასი) სეან. დას. 6, 7-30. 9, 10-30.

რ. ლიუქსემბურ სახ (ყოფ. ძინიონი) სეან. დას. 6-30. 8. 9-30, 11.

კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30. 9. 10-30.

დღეს 3 მარტს ნამდვილი მოლაპ. ხმოვანი ფილმი **ოქროს მთები**

კომედია [illegible] ი. ილინსკის მონაწილეობით.

ახალი მხატვრული ფილმი **უცხო ნაპირი**

მხატვრ. სურათი **ძია თომას ქოხი** ბიჩერ სტოუს მოთხრობის მიხედვით.

ამერიკული კომედია **უკანასკნელ წუთში**

მხატვრული სურათი [illegible]

თბილისის საბჭოსთან არსებული წყალდიდობასთან მებრძოლი ცენტრალური კომისია

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც აქვთ საწყობი შენობები ისეთ ადგილებში, რომლებსაც წყალდიდობა ემუქრება, ორი დღის ვადაში წარმოუდგინონ თბილისის საბჭოს კომუნალურ მეურნეობაში (თავისუფლების მოედანი 1, ოთახი № 110) კომისიის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. კობახიძეს ცნობები: 1) იმ ქონების რაოდენობის შესახებ, რომელიც გამოზიდულ უნდა იქნას წყალდიდობის შემთხვევაში და 2) გამოზიდვის დაწვრილებითი გეგმა.

ამის შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

ნ. 416 კომისიის თავ-რე კილურაძე.

დ. ლ. თევზაძე დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ქონქაძის (ყ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება სალ. 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ტელ. 28—68

ექიმი **მ. ღ. ხანდუქელი** შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტრო-სინათლის სამკურ. კაბინეტი. პეტრიაშვილის ქ. (ყ. უდელ.) 79 № 11. იღებს სალ. 7—8. ტელ. № 21-45. 25—18

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა განათ. სახ. კომისარიატის ჟურნ. „კულტ. აღმშენებლობის“ ნაცვლად **„კომუნისტური აღზრდისათვის“** დააჩქარეთ ხელისმოწერა. წელიწადში ღირს 6 მან. ორ ვადაში გადახდით: ნახევარი, ხელის მოწერისთანავე და მეორე ნახევარი 1 ივნისამდე. მისამართი: თბილისი, განსახკომი „კომუნისტური აღზრდისათვის“. 1920

ექიმი **ქ. თ. [illegible]** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ, კანის და შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1 დილ. $8^1/_2$—9 საღ. 7—8 77886 13—1

ექიმი **[illegible]** სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყ. დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. ლიდიმთავრის ქუჩა) ინდუსტრ. ტეხნიკუმის გვერდზე, 13—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე** კალინინის, № 33. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურათ: შარდ სასქესო ორგანოები (სუსუნატი და მისი გართულება), კანის და სიფილისი. საღამოს 6—8 საათამდე. 1647 25—1

ექიმი **ა. დ. ქლენტი** შინაგანი სნეულებანი. სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე. ოთხშაბათობით უფასოდ. წყნეთის ქ. № 8 0—7

ექიმი **ს. ა. დიშელი** დაამთავრა პარიზის და ბერლინ [ინს]ტიტუტები **სახის სილამაზის მოვლა** რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აკერცლას, თმის გაცვენას, ქერტს და სხვ. ძნელაძის ქ. № 22. 13—3 5464

ექიმი **ბ. ნ. ონანოვი** სიფილ., ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრ. სისუსტ. მკურნალობა. ავადმყოფთა მიღ. დილ. 6—11 ს. საღ. 5-8 ს. ნინოშვილის ქ. (ყ. ალექსანდროვ[სკ]ის) № 5. 25—12 8189

ექიმი **პირაქოვი** ვლ. ვას. [illegible]ულის და ფილტვების სნეულებანი. მიღება საღამოობით 6—7 ს. ფიოდოსიევის ქ. № 22. 13—1

ექიმი **ტერ-ოვაკიმოვი** სპეციალურად სიფილ. და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობა, სქესობრივი ნევრასტენიას, პსიქოტერაპ. მიღ. დილ. 10-ნახ.-12 ს., საღ. 6—8 ს., 6-კ. ფედერაციის ქ. (ყ. ელიაშოვის) № 22, 25—10

გაუბედურებული მშობლები: ვერა და ვალოდია მალანიები იუწყებიან, რომ ერთადერთი იმედის **თენგიზლას** ხსოვნის აღსანიშნავად, 6 მარტს, 5 ნახევარ საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საკუთარ ბინაზე (მარცხენა ვაკე მე-2 პარალელური ქ.)

ბიძა ექ. სანდრო ბალარჯიშვილი, მეუღლე მარიამით, რძალი მარიამ ბაზირაშვილისა, ბიძაშვილები: მელო, გიორგი ბაზირაშვილები აუწყებენ საზოგადოებას ახალგაზრდა **ირაკლი თედოს ძე ჭრელაშვილის** უდროოდ დაკარგვას

[...]დის ამხანაგები: ელ. შარუხია, ნ. მესხი, ე. ჩიქოვანი, თამარა და შალიკო ლობჟანიძეები დავსტირით **მარო კრავეიშვილი-ბაკურაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 საათზე, ბათომის ქუჩა № 14.

გაუბედურებული მშობლები: დედა ჭინადოლია, მამა არქიპო, ძმები: ვალოდია, სერგი, ცელიკო, დები: თამარა, ბაბულა კალანდაძეები იუწყებიან დაუვიწყარ **ანდრო (ანდრუშა) არქიპოს ძე კალანდაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქალ. ზესტაფონში 6 მარტს 5 საათზე.

გულმოკლული დეიდები: ლიუბა, ნადია და ნინა ქმრებით, სონიკო, ბიცოლა, იულია, ბიძები გრიგოლ და დათიკო ტაბატაძეები იუწყებიან საყვარელი **ანდრუშა არქიპოს ძე კალანდაძის** ხანგრძლივ ავადმყოფობის გამო უდროოთ გარდაცვალებას

გაუბედურებული მშობლები: გაბო და ანასტასია ებრალიძენი, ძმა დავითი და ბებია ეფემია იუწყებიან უსაყვარლესი **პატარა რეზიკოს** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, პლეხანოვის 141, ვერის სასაფლაოზე.

ტეხნიკურ კულტურათა სამმართველო აუწყებს საზოგადოებას და მეგობრებს თანამოსამსახურის გაბო ებრალიძის უსაყვარლესი შვილის **პატარა რეზიკოს** უდროოდ გარდაცვალებას

მეგობრები: წერეთელი, ი. ჯაფარიძე, ბახტაძე, თულაშვილი, პაპუაშვილი, ენგიაძე, კობახიძე, კარტოზია, სტურუა, ბალანჩივაძე, კ. ჯაფარიძე, ხასაია, ცაგარელი, ჯანელიძე, კობალაძე, გოგიბერიძე მწუხარებას გამოსთქვამენ გაბო ებრალიძის შვილის **რეზიკოს** გარდაცვალების გამო

ლიზიკო და ამბროსი ინწკირველი მწუხარებით იუწყებიან, რომ 6 მარტს, 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი **მაკრა ფირცხალავას** ხსოვნის აღსანიშნავად.

გულმოკლული დოროთე, ქეთო და გიგი ფირცხალავები იუწყებიან, რომ 6 მარტს, 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ **მაკრა ფირცხალავას** ხსოვნის აღსანიშნავად.

[...]ოლდათუთქული, გაუბედურებული ცოლი ნინა, შვილით სოსლანით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს, რომ მათთვის დაუვიწყარ **ექიმ სოსიკო მაჭარაძის** ხსოვნის აღსანიშნავად 6 მარტს 2 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საკუთარ ბინაზე თეატრის შეს. № 7.

მეუღლე აგრაფინა, დედა ვასასი შვილებით: ვალო, გრიგოლი, დათიკო, იოსები გულნარა, ნატაშა, ჟუჟუნა, გუგული, სიძეები: გ. მახარაძე, ა. გიორგაძე, ს. ჭიჭინაძე იუწყებიან **ნიკო ვაშალომიძის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 ს. მიხეილის საავადმყოფოში. 1934

ნინო და გაბრიელ გოგუაძეები გლოვობენ ძვირფასი სიძის **ნიკოლოზ სიმონის ძე ვაშალომიძის** უდროოდ დაკარგვას

საქ. გან. მუშაკთა კავშირის მე-46 ადგილკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 3 მარტს გარდაიცვალა ამავე ადგილკომის თავმჯდომარე „აკი“-ს სახ ინტერნაციონალური სკოლის მასწავლებელი **ნიკოლოზ (ნიკო) ვაშალომიძე**

დამწუხრებული მშობლები: ანტონი, ანიჩკა კიკნაძეები და არჩილი ჯილაური, ბებია ტასო ჯილაური იუწყებიან, რომ 5 მარტს ს. პატარძეულში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ანტონ კიკნაძის **პატარა შოთიკოს** ხსოვნის აღსანიშნავად

დამწუხრებული მშობლები: ვანო, მაშიკო, ბაბუა პეტრე, დები: ვარა, ნატა, ძმები: გრიგოლი, პეტუშა, ჰეჰულა, ბიძინა იუწყებიან **ხერგო (ხერიოჟა) ივანეს-ძე ბრეგვაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება ცეტკინის 118, ავლაბრის სასაფლაოზე. 1931

ღრმად დამწუხრებული დეიდა ივლიტა შვილებით; ფროსინე გობეჯიშვილი ქმარშვილით, კოლია ცოლშვილით, ონისიმე ცოლშვილით, ნინა ოლიმპია, ოლა და მალაქია დავლიანიძეები იუწყებიან ძვირფას დისწულის და დეიდაშვილის **ხერგო ივანეს ძე ბრეგვაძის** უდროოდ დაკარგვას

დეიდა პელო კაციტაძე, დეიდაშვილები: სონია ტოროშელიძე ქმრით, მარო ოდიშარია ქმარშვილით და ვალოდია საგანელიძე მეუღლით იუწყებიან ძვირფას **ხერგო ივანეს ძე ბრეგვაძის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 4 ნახევარ საათზე ავლაბრის სასაფლაოზე.

დამწუხრებული მშობლები: ზაქრო, მარიამი, ძმები: ივანე, გაიოზი, დები: ანა, რუიზანი იუწყებიან **ვახტანგ ზაქარიას ძე ხანდაველის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5 მარტს 4 ს სტაროპოლის ქ. № 3.

დამწუხრებულნი: მეუღლე დათა, დედა ნინო, ძმა ვანო, და ზაზუცა, რძალი ნინა [...]იხაშვილები იუწყებიან მათთვის ძვირფასი **ქითო იოსების ასული სორაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, კლარა ცეტკინის ქ. № 10 ქუკიის სასაფლაოზე

მეუღლე პოლიქტორი, შვილები: ოთარი და თინა, მშობლები: ოლინკა. გიორგი, დედამთილი მაკა, მამამთილი პავლე იუწყებიან, რომ საყვარელ **მარგარიტა ხარჯველაძე-კოზალაძის** ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ა/წ. 5 მარტს, 2 საათზე. ქ. ბათომში. 1930

დამწუხრებული მამიდა რახილო, ბიძა ალექსი შვილებით: შალვა, ლადიკო, ცუცა და მარო ანთაძეები იუწყებიან, რომ **მარგარიტა ხარჯველაძე-კოზალაძის** ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 5 მარტს. 2 საათზე, ქ. ბათომში სოუქსუს სასაფლაოზე. 1930

დამწუხრებული მშობლები: სიმონი, ზინა; დიდედა მაგდანი, დები: ელენა, ნათელა. მამიდაშვილი ეკარა, იუწყებიან ერთადერთ საყვარლის გ. მ. ი. ინსტ. მექ. ფაკ. მეოთხე კურსის სტუდენტის **ანდრო (ანდრუშა) სიმონის ძე ტორიკაშვილის** ტურკესტანში უდროოთ გარდაცვალებას

ულრმესად დამწუხრებული ბიძაშვილი გიორგი ფეოდოროვი აუწყებს ყველა ნაცნობებს რომ ტურქსიბის რკ. გზაზედ უდროოთ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი ა/კ. ძ. მ. ი. ინსტიტუტის მექანიკურ ფაკულტეტის მე-IV კურსის სტუდენტი. **ანდრო (ანდრუშა) ტორიკაშვილი** 1932

დამწუხრებული დომენტი ზუაძე ცოლშვილით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამა წლის 2 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა დაუვიწყარი სიმამრი **მაქსიმე ჭოხონელიძე** დაკრძალვა მოხდა 4 მარტს ქ. თბილისში.

მ. მ. ასათიანი, დედა ეკატერინე, ცოლი ლიუბა, შვილი ნინა და ალექსანდრე ჭრელაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათი ძვირფასი **ირაკლი ჭრელაშვილის** გარდაცვალებას. 1927

გულმოკლული ლადიკო და თიკო შვილებით: პოლიევქტორი, გერონტი, ვარლამ, ლიუდმილა, ნინა, ვასასი, რძლებით: მაროთი და გალინათი იუწყებიან **ბაბილინა ჩიჩუა-წეროძის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 6 საათზე, 1-ლი ტყეკულტურის № 19. 1925

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: არჩილ და ნინა შვილებით: კარლო, ნონა, ჟორა, კლარა და რძლით მარგო, შვილიშვილები: ლეილა, რენატა წეროძეები იუწყებიან ძვირფას დაუვიწყარ **ბაბინე ჩიჩუა-წეროძის** უდროოდ დაკარგვას. 1925

თბილისის სატყეო ინსტიტუტის სატრანსპორტო განყოფილების მე-2-ე კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე კურსის სტუდენტის ძვირფ. ამხ. კლიმენტი წეროძის დედის **ბაბილინას** უდროოდ დაკარგვის გამო. 1912

ღრმად დამწუხრებული შვილი ნინა. სიძე რაჟდენი შვილიშვილებით: ელენა. ქეთო მელქაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ **ნატა ექვთიმეს-ას. ჯამბურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 მარტს ჩხენისში. 1929

ღრმად დამწუხრებული შვილები: იასონი, დარისპანი, თედორე, რძლები: ლიუბა, კატუშა, კატო ჯამბურიები იუწყებიან დაუვიწყარ და ძვირფას დედის **ნატა ექვთიმეს-ას. ჯამბურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 მარტს ჩხენისში. 1929

დედა ეკატერინე, და-ძმა: ქეთო, მარო ქმარშვილით, გოგია ცოლშვილით და ლევანი იუწყებიან, რომ **ზაქრო (ზაქარია) ალექსის ძე ჭანჭაველის** ხსოვნის აღსანიშნავად 6 მარტს, ვერის ახალ სასაფლაოზე 1 ნახევარ საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი.

გულდამწვარი შვილი მარო და მეუღლე გერასი ლაშხი შვილებით: ქეთო, გრიგოლი, მატიკო ნანუშათი იუწყებიან დაუვიწყარ **ციცია გრიგოლ მიქიაშვილის-ას. შარაბიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 მარტს, 4 ს. 1940

დამწუხრებული შვილი სანდრო, რძალი გალინა შვილებით: ლენინა, მაისოთი იუწყებიან საყვარელ **ციცინა გრიგოლის-ას. შარაბიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6 მარტის შეს. 5, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1940

კულითადი ამხანაგები: მიხა ლომთაძე, კაკო შარაბიძე, ეფრემ, თეოფილე და აკაკი ისაკაძენი მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას ამხანაგის სანდრო დავითის-ძე შარაბიძის დედის **ციცია გრიგოლის-ას. შარაბიძის** გარდაცვალების გამო. 1939

კოოპ. არტელის თანამშრომლები: ლ. ჭყონია, გ. დანიელოვა, ჯობავა, ე. ისაკაძე, გ. მჭედლიძე, ან. ნადირაძე, გ. ბიჭაშვილი, ბ. მუსერიძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მათი თავმჯდომარის სანდრო შარაბიძის ძვირფასი დედის **ციციას** გარდაცვალების გამო. 1928

ქმარი ნესტორ ქორიძე შვილით ვლადიმერით, რძალი მარიამით იუწყებიან, რომ 6 მარტს 5 ნახ. საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი **ოლღა ქორიძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 1934

მეუღლე ნინა გოგინაშვილი ჟუჟიშვილი, ცოლის და ხონა ჟუჟუაშვილი გოგია. ქმრით ბიქტორი შვილებით: ვენერა და გივი იუწყებიან მათთვის ძვირფასი **მახილი იოსების-ძე გოგინაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6 მარტს 4 ს. კალინინის ქ. № 3. 1933

ბებია სოფიო, ანიჩკა, ქეთო, კესარია, ქეთო, მიხაკო, დიმიტრი მგელაძეები ოჯახობით დასტირიან დაუვიწყარ **ვალოდია მგელაძის** უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი 7 საათზე. გამოსვენება 6 მარტს, 4 საათ. თეატრის შესახვევი 11. 1900

ნატალია პავლოვისა, ნინა გოგიტიძისა, ელენა გალიცკისა, ბარბალე მიშელისა, ლიუბა ალადაშვილისა ოჯახობით, თამარა მგელაძე დასტირიან საყვარელ ძმისწულის **ვალოდია (შალვა) მგელაძის** დაკარგვას. დასაფლავება 6 მარტს, 4 საათზე. 1904

ტოლია. ლიუცია, თინა გალიცკები, რიტა ანიკო, ქეთო პავლოვები, ვახტანგ, ნათელა და შვილები დასტირიან საყვარელი ბიძაშვილის **ვალოდია მგელაძის** უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს 4 ს. 1905

გიორგი, შალიკო, მაქსიმე, ბორისი ქსენია, მიშა, ვიქტორი მიქაძეები და სიძე ვასილ მელქაძე დავსტირით დაუვიწყარი ბიძის **ფუხუ მიქაძის** ტრაგიკულად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 საათზე საკუთარ ბინაზე. 1936

დამწუხრებულნი ძმები: მელიტონი, ნესტორი, გერასიმე, დათა, რძლები: ელათი, მარიამი, ელისაბედი, პელაგია მწუხარებით აუწყებენ **ფუხუ მუხაძის** ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება 6 მარტს, დღის 4 საათზე ნაძალადევი ჩერქეზიშვილის 1-ლი ჩიხი № 4. 1936.

ქალაქ სტალინისის საალმშენებლო ტეხნიკუმის პედაგოგიური პერსონალი და პირველი და მეორე კურსის მსმენელები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 28 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი **გიორგი გიორგის-ძე კორძოტაძე** ნ. 417

გულმოკლული მამა ერასტი, ბებია მატრონა, ძმა დათიკო, დედინაცვალი ვარა იუწყებიან ინჟინერის—ხიპსის ასპირანტის **პავლე ერასტის-ძე მჭედლიძეს** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 7 ს. გამოსვენება 6 მარტს, 4 ნახ. საათზე, პასტერის ქ. № 5, კუკიის სასაფლაოზე. 1938

ეფროსინე. ვალენტინა, თამარა და მამია შერგულაშვილები თავისი შვილებით. აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათ დაკარგეს საყვარელი მამიდა **დაფინა სიმონის-ას. შავგულიძისა** 1957

გულდამწვარი ქმარი სერგო ბაკურაძე, მამა კოტე, დედა ელპიტე, და ელენე, ძმა შოთა, ქალიშვილები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ **მარო კრავეიშვილი-ბაკურაძის** გარდაცვალებას.

დეიდები: ოლია, ლუბა, ნინა ქმრებით, პ. კიკაჩეიშვილი, გ. ფაილაძე, პ. ოხილავა; ბიძია აკ. დუნდუა იუწყებიან **მარო კრავეიშვილი-ბაკურაძის** გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, კუკიის სასაფლაოზე.

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 998